

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

საქართველოს ისტორიის წყაროები

6



ეკიბრაფიკული ქვებზე და ხელნაწერთა
მინაწერები

II

ზაზა ალექსიძე

ატენის სიონის
სომხური წარწერები

„მეცნიერება“
თბილისი
1978

მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლაძე, რ. კიკნაძე, (მთ. რედ. მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედ. მოადგილე).

სერიის რედაქტორი
ტომის რედაქტორი

ზ. ალექსიძე
ბ. აბრამიშვილი

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашиа (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзигური (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Меликишвили, Е. П. Метревели, Э. В. Хоштариа.

Редактор серии
Редактор тома

З. Н. АЛЕКСИДЗЕ
Г. В. АБРАМИШВИЛИ

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

ზ. ალექსიძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ე. გაბაშვილი, თ. გამყრელიძე, კ. გრიგოლია, ი. დოლიძე, მ. ღუმბაძე, რ. კიკნაძე, ქ. ლომთაოძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. შელიქიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ე. მეტრეველი (თავმჯდომარის მოადგილე), ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (თავმჯდომარე), ა. სურგულაძე, მ. შანიძე, ნ. შოშიაშვილი, ე. ხომტარია, ნ. ჯანაშია, ს. ჯიქია.

კომისიის მდივანი მ. აბაშიძე

КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

З. Н. Алексидзе, А. Г. Барамидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Т. В. Гамкрелидзе, К. Г. Григолия, Н. С. Джанашиа, С. С. Джикия, Ш. В. Дзидзигური (председатель), И. С. Долгидзе, М. К. Думбадзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикиадзе, К. В. Ломтатидзе, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Мелихишвили (зам. председателя), Е. П. Метрели (зам. председателя), А. Н. Сургуладзе, М. А. Шанидзе, Н. Ф. Шошиашвили, Э. В. Хоштариа.

Секретарь комиссии М. Д. Абашидзе.

პირველად ქვეყნდება ატენის სიონის ფასადისა და ინტერიერის კედლებზე სხვადასხვა დროს (X—XVIII სს) ამოკვეთილი სომხური წარწერების სრული კრებული.

წარწერები მნიშვნელოვანია როგორც საკუთრივ ატენის სიონის მშენებლობის ისტორიის, ისე კავკასიაში ჯვრის ტიპის ტაძრების გენეზისის პრობლემასთან დაკავშირებული ზოგი საკითხის შესასწავლად. კერძოდ, გაშიფრულია წარწერა, რომელიც არქიტექტორ თოდოსაკის სარესტავრაციო სამუშაოებს 982—986 წწ-ით ათარილებს.

ატენის სიონის სომხური წარწერები უეჭველად დაინტერესებს, აგრეთვე, სომხურ პალეოგრაფიასა და ისტორიულ დიალექტოლოგიაში მომუშავე სპეციალისტებს.

Впервые публикуется полный свод армянских надписей, исполненных в разное время (X—XVIII вв.) на стенах фасада и интерьера Атенского Сиона.

Публикуемый материал привлекает внимание, и первую очередь, своей важностью в деле изучения как истории построения и реставрации самого Сиона, так и вопросов, связанных с генезисом храмов типа Джвари на Кавказе. В частности, расшифрована надпись, датирующая реставрационные работы архитектора Тодосака 982—986 годами.

Армянские надписи Атенского Сиона безусловно вызовут интерес также специалистов, работающих в области армянской палеографии и исторической диалектологии.

ქელენება
გივი მაჭავარიანის
ხსოვნას

წინასიტყვა

ატენის სიონის ფასადისა და ინტერიერის კედლები მთლიანად დაფარულია ლაპიდარული და ფრესკული წარწერებით თუ პილიგრიმული გრაფიტებით. აურაცხელი რაოდენობის ქართულ წარწერებთან ერთად, აქ გვხვდება ბერძნული, სომხური, სირიული და სხვ. წარწერები. მართალია, ატენის სიონის წარწერების შესახებ გამოქვეყნებულია სპეციალური მონოგრაფია და რამდენიმე ნაშრომი, მაგრამ მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ამოკითხული. ბოლო ხანებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ეპიგრაფიკის სექციისა და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კომპლექსურმა ექსპედიციებმა დიდი შრომა გასწიეს ატენის სიონში ყველა სახის წარწერის გამოვლენისა (ბევრი მათგანი XI ს-ის ფრესკებით არის დაფარული) და ფიქსაციისათვის. წინამდებარე ნაშრომი ერთ-ერთი შედეგია დასახელებული ექსპედიციების საქმიანობისა.

სომხური წარწერების შესწავლა საქართველოში ამ ნაშრომით არ იწყება, მაგრამ საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ეპიგრაფიკის სექციის განზრახვით, იგი უნდა გახდეს გეგმიური და თანამიმდევრული შესწავლის დასაბამი, რათა მომზადდეს ნიადაგი ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაცული სომხური წარწერების კორპუსის გამოსაცემად.

საამშენებლო წარწერა

1. სომხური საამშენებლო წარწერა, რომელსაც თოდოსაკის წარწერასაც უწოდებენ, მოთავსებულია ატენის სიონის სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთ ნიშაში, ქვის ფილების ქვემოდან მესამე წყობაზე (ტაბ. 1)^{*}. იგი ერთი წინადადებისგან შედგება და უკავია ნიშის ხუთივე კვადრი. პირველი სტრიქონით წარწერა არ მთავრდება და ბოლო სიტყვის ნაწილი გადმოდის პირველსავე კვადრზე. წარწერის სიგრძეა 215 სმ, გრაფემათა სიმაღლე 12 სმ, სიგანე 4—5 ან 8—9 სმ, კვეთის სიღრმე 0,5 სმ.¹ იგი ჩაწერილია ოთხ პარალელურ ხაზში და მთლიანად შეღებილია წითელი საღებავით². წარწერა ძლიერ არის დაზიანებული არა მარტო უამთა სიავისაგან, არამედ, როგორც ჩანს, ადამიანის აქტიური ზემოქმედებითაც³. მისი დღევანდელი მდგომარეობა უფრო მძიმეა, ვიდრე XIX ს-ის მიწუ-

* ნახატი გ. აბოამიშვილისა.

¹ იხ. А б р а м и ш в и л и, Два стронительных периода, стр. 33.

² შუა საუკუნეების სომხეთში ქვაზე ამოსაკვეთ წარწერას ხშირად წინასწარ საღებავით (უმეტესად წითლით, ზოგჯერ შავითაც) მოხაზავდნენ და შემდეგ ამოჭრიდნენ ხოლმე. არის შემთხვევები, როდესაც წარწერა ნაწილობრივ ამოუკვეთიათ, ხოლო ნაწილი მხოლოდ საღებავით დაწერილი დარჩენილა. ისეთი შემთხვევებიც არის დადასტურებული, როდესაც საღებავით დაწერილი ტექსტი მთლიანად ხელუხლებული დაუტოვებიათ (იხ. Ռ ա յ լ խ ու ղ ա լ յ ա ն, Միջնուդարյան... էջ 206—207). ჩვენი წარწერის ანალოგიურად წითლად უნდა ყოფილიყო შეღებილი ბავაენისა და ალამნის წარწერების ასოთა ლარებიც (იხ. Օրբელი, Багаванская надпись, გვ. 174; მისივე, Шесть армянских надписей, стр. 419).

³ კიდევ უფრო მეტად არის დაზიანებული ატენისავე სიონის ჯვრის პოსტამენტის ვრცელი ქართული ასომთავრული წარწერა. იგი იმდენად საგულდაგულად არის ნასროლი ტყვიით (თუ წერაჰქვია?) ნათხარი, რომ დღეს ცალკე ასოების გარჩევალა ხერხდება.

რულში იყო. მაგრამ პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებული მონახაზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ⁴, წარწერის წაკითხვის მაშინდელ და დღევანდელ შესაძლებლობებს შორის არსებითი განსხვავება არ უნდა იყოს⁵.

2. სომხურ საამშენებლო წარწერას სპეციალისტები 1919 წლამდე შემდეგნაირად კითხულობდნენ:

ლიუბუა დე მონპერე: *Moi Bogos (Paul), coustructeur de sette saint église*⁶ — „მე, ბოგოს (პოლ). ამ წმიდა ეკლესიის მშენებელი“.

მ. ბროსე: *Moi Thodora (i. e. Théodore), constructeur de sette saint église*⁷ — „მე, თოდოსა (ანუ თეოდორ), ამ წმიდა ეკლესიის მშენებელი“.

ა. მურავიოვი: Я, Годьза (т. е. Θεодор) строителъ⁸.

ბ. უვაროვა: Я, Родосак, строителъ святой церкви⁹.

ივ. ჭავჭავიძე: *სა ლიუბიუა უვილი სისიეს...*¹⁰ — „მე, თოდოს, მშენებელი წმიდა ეკლე...“

წარწერის უკანასკნელი სიტყვის ნაკლებ ბოლო გრაფემათა ნაშთი 1919 წელს შენიშნეს გ. ჩუბინაშვილმა და ლ. მელიქსეთ-ბეგმა¹¹. ამის შემდეგ უკვე წარწერის პუბლიკაციამ საბოლოო სახე მიიღო;

1 ჟ. სს ლიუბიუა უვილი სისიეს

2 [ს] [ლი] [ს] [ს]

„მე, თოდოსაკ [ამ] ეკლე[სიის] მშენებელი“.

3. თოდოსაკის წარწერას თარიღი არა აქვს, ამიტომ იგი პირდაპირი გზით ვერც ძეგლს ათარიღებდა და ვერც თავის თავს. იმ ხანებში, როდესაც იგი ცნობილი გახდა მეცნიერთათვის, და შემდეგაც

⁴ У в а р о в а, Материалы, стр. 152.

⁵ პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებულ მონახაზთან პარალელურად ლ. სალოიანის მიერ შესრულებული ასლისათვის იხ. М у р а д я н, Армянская надпись, табл. 6.

⁶ Dubois, Voyage, p. 214.

⁷ Grosset, Rapports, p. 21.

⁸ М у р а в ъ е в, Грузия и Армения, стр. 106.

⁹ У в а р о в а, Материалы, стр. 153.

¹⁰ Дж а в а х и ш в и л и, К вопросу..., стр. 295; ასევე კითხულობდა ლ. მელიქსეთ-ბეგი. იხ. მისი, ძველი სომხური ქრესტომათია, გვ. 112.

¹¹ Ч у б и н а ш в и л и, Памятники, стр. 161; მსიქის-მსიქ, V II դ ა ს - რ ი ..., էვ 4.

კარგა ხანს, სომხური პალეოგრაფია ჯერ კიდევ არ იყო ისეთ დონეზე, რომ ტექსტის ენას ან გრაფიკას რაიმე ქრონოლოგიური საყრდენი მიეცა მისთვის. ამდენად, წარწერის თარიღის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა ძეგლის დათარიღებაზე. მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული არქიტექტურის ისტორიის მეცნიერული ქრონოლოგია.

ატენის სიონის დასათარიღებლად თავდაპირველად იყენებდნენ სამხრეთის ფასადის ქართულ წარწერას, რომელშიც ქალაქ ატენის მშენებლობაზეა ლაპარაკი და იხსენიება ბაგრატ მეფე. მკვლევართა ერთი ნაწილი „ბაგრატ მეფეში“ ბაგრატ II-ს ხედავდა, მეორე — ბაგრატ III-ს, ხოლო მესამე — ბაგრატ IV-ს და ძეგლიც შესაბამისად X—XI სს-ით თარიღდებოდა¹².

ბაგრატის წარწერაში რომ ატენის სიონი უკვე აგებულად იგულისხმება, პირველად შეამჩნია ე. შტაკელბერგმა და ძეგლი დაათარიღა 787—826 წლებით¹³.

მალე დ. ბაქრაძისათვის ცნობილი გახდა სიონის ინტერიერში. სამხრეთის ფასადის დასავლეთ კედელზე მოთავსებული 853 წლით დათარიღებული ფრესკული წარწერა, რის შემდეგაც აშკარა გახდა, რომ საჭიროა ძეგლის აგების თარიღის არსებითად შესწორება. მანვე პირველმა მიაქცია ყურადღება ატენის სიონისა და მცხეთის ჯვრის ხუროთმოძღვრულ მსგავსებას და ჯვართან ერთად სიონიც VII ს-ით დაათარიღა¹⁴.

მომდევნო ეტაპი ატენის სიონისა და მისი წარწერების შესწავლაში შექმნა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც ძეგლი ასევე 853 წელზე ადრე აშენებულად მიიჩნია. მანვე სპეციალური ყურადღება მიაქცია თოდოსაკის წარწერას და მისი თარიღიც IX ს-ის შუა ხანებზე აღრიხდელი პერიოდით განსაზღვრა¹⁵.

უკანასკნელი სიტყვა ატენის სიონის დათარიღებაში ეკუთვნის გ. ჩუბინაშვილს. მან სიონი შეისწავლა კავკასიური ჯვრის ტიპის ძეგლებად

¹² Dubois, Voyage, p. 210—214; Brosset, Rapports, p. 21—25; Муравьев, Грузия и Армения, стр. 102—108; Иоселиани, Города, стр. 23; Уварова, Материалы, стр. 152; Бакрадзе, Кавказ, стр. 31—32.

¹³ Le Caucase... expl. des pl. LVII dans 18-e livr, LXIII, LXXXVI, LXXXVII et LXXXVIII dans 19-e livr.

¹⁴ ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორიული შენიშვნები; მისივე, ისტორია საქართველოსი, გვ. 218—219.

¹⁵ Джавахишвили. К вопросу..., стр. 277—297.

ბის მთელ სისტემაში და დაასკვნა, რომ ატენის სიონი აგებულია VII ს-ის 30-იან წლებში¹⁶. გ. ჩუბინაშვილი სპეციალურად შეეხო სომხურ საამშენებლო წარწერასაც: «Как отмечает акад. И. А. Орбели, надпись является вполне характерной надписью VII века по всем полеографическим данным... Как отмечено выше, надпись эта несомненный типичный образчик строительных армянских надписей VII века в их первоначальной не переписанной форме. Но факт этот мог быть установлен только при постановке армянской эпиграфики на действительно научные основы, какие она получила трудами акад. Н. Я. Марра и И. А. Орбели»¹⁷.

ამის შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი, თითქოს ი. ორბელი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა VII ს-ის სომხური საამშენებლო წარწერები, თოდოსაკის წარწერას პალეოგრაფიულად VII ს-ით ათარიღებდა¹⁸.

ბ. მარი ჯერ კიდევ კ. კოსტანიანცის ნაშრომისათვის წამძვარებულ წინასიტყვაობაში წერდა, რომ შესაძლოა VII ს-ით დათარიღებული სომხური წარწერებიდან არცერთი არ იყოს იმ ხანისა, რომელიც მათში აღნიშნულია და შესრულებული იყოს გაცილებით უფრო გვიან: «...к VII веку принадлежат далеко не все [надписи], которые датированы событиями VII столетия. Быть может, реально-критическая работа над текстами армянских надписей со временем установит, что у нас в распоряжении нет и подлинно в VII веке начертанных надписей»¹⁹.

ბ. მარის დებულება გაიზიარა და ყველა წარწერის დეტალური შესწავლის შემდეგ კიდევ უფრო განავითარა ი. ორბელმა. VII ს-ის ქტიტორული წარწერების შესწავლისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში იგი წერდა: «Таким образом, в настоящей статье собраны пять древнейших армянских датированных ктиторских надписей. Называя их древнейшими, я отнюдь не хочу сказать, что мы имеем их действительно в древнейшем виде, в том, в каком их текст был составлен. Ни развитая и прочно установившаяся форма букв

¹⁶ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 128—136; მისივე, Памятники, стр. 44—49, 115—117; 121—123, 156—176.

¹⁷ Ч у б и н а ш в и л и, Памятники, стр. 161.

¹⁸ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ატენის სიონის რელიეფი, გვ. 70; მისივე, Два строительных периода, стр. 34.

¹⁹ Летопись на камнях, стр. XVIII—XIX.

этих надписей, ни идеальная полнота алфавита, ни язык, изобилующий явными вульгаризмами и неологизмами, не позволяют считать их дошедшими до нас в своем первоначальном виде»²⁰.

დაახლოებით ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს ი. ორბელი VII ს-ის 13 სომხური წარწერისათვის შედგენილ საძიებელში: «...для Указателя использованы и такие надписи, которые сливут за памятники VII века, на самом же деле могут быть позднейшими их копиями или таковыми являются. По всем видимостям, не одной еще надписи из считающихся за подлинники VII века предстоит перейти в число сомнительных, а из сомнительных и в отвергнутые»²¹.

სომხური მეცნიერული პალეოგრაფიის ფუძემდებლების ამ ზოგადი შეხედულებების გაცნობის შემდეგ უფრო ადვილი იქნება გარკვევა ი. ორბელის პოზიციაში ატენის სიონის ქტიტორულ წარწერასთან დაკავშირებით, რომელიც მკვლევარმა შესაძარებლად გამოიყენა ბაგავანის ორი წარწერის შესწავლისას. ბაგავანის წარწერები ი. ორბელს განხილული აქვს იმ ექვს სომხურ წარწერას შორის, რომლებიც მას მხოლოდ შინაარსით მიაჩნია VII ს-ად, ხოლო პალეოგრაფიულად უფრო გვიანი ხანისად თვლის. ბაგავანის 639 წლით დათარიღებული ქტიტორული წარწერის პალეოგრაფიული ანალიზისას, იგი შემდეგისიტყვებით იფარგლება: «Детальный разбор форм каждой буквы в отдельности при скудости имеющегося пока у нас сравнительного материала и не имеет смысла. Ограничусь поэтому указанием на большую правильность и изящество и на несколько большую ширину Багаванской надписи по сравнению с буквами других надписей VII в., из которых ближе всего к нашей надписи подходят Аламнская, Атенская и Нахчаванская»²².

ახლა, როდესაც უკვე ვიცით, თუ რა აზრით უწოდებდა ი. ორბელი VII ს-ისას სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების ერთ ნაწილს და მათ შორის, პირველ რიგში, თვითონ ბაგავანის 639 წლით დათარიღებულ წარწერას, რომელთან მსგავსებასაც ხედავდა ალამნის, ატენისა და ნახიჩევანის წარწერებში, ცხადია ჩვენთვის, რომ არც ამათ თვლიდა იგი VII ს-ის კუთვნილებად. ამის ჩვენება სულ ადვილია ალამნისა და ნახიჩევანის წარწერების მიხედვით.

²⁰ Избранные труды, стр. 372.

²¹ იქვე, გვ. 424.

²² იქვე, გვ. 374.

ალამნის 637 წლის საამშენებლო წარწერა, ი. ორბელის აზრით, შემოკლებით არის გვიან გადაწერილი „სიგლის უფრო ვრცელი დედნიდან“²³. ხოლო ნახიჩევნის წარწერის შესახებ მკვლევარი მოგვიანებით წერდა: «В числе армянских надписей, относимых к VII в., уже приходилось упоминать Нахчаванскую, как близко находящую по внешнему характеру, по форме букв и по месту расположения на стене храма к надписям Багаванской, Аламнской и др...»²⁴ Нахчаванская надпись относится по содержанию к концу VII века»²⁵.

ამრიგად, ალამნისა და ნახიჩევნის წარწერები, რომლებსაც ამგავსებს ატენის სიონის ქტიტორულ წარწერას, ი. ორბელს მიაჩნია VII ს-ის წარწერებამ მხოლოდ შინაარსით და არა პალეოგრაფიულად. მაგრამ ჩვენ გვაქვს უფრო ზუსტი მითითებებიც, თუ რა ხანით განსაზღვრავდა პალეოგრაფიულად თოდოსაქის წარწერას ი. ორბელი. ბაგავანის მეორე წარწერის განხილვისას, მკვლევარმა კვლავ გაიხსენა ატენის სიონის საამშენებლო წარწერა და მასთან მეტი სიახლოვე დაინახა, ვიდრე ბაგავანისავე 639 წლით დათარიღებულ წარწერასთან: «По характеру букв эта надпись примыкает к главной Багаванской надписи, но все же наблюдаются некоторые отличия, несколько меньшая симметричность и выдержанность букв, большая их вытянутость в вышину (что, следовательно, приближает их к буквам Атенской и Аламнской надписей)»²⁶. იქვე ი. ორბელს მოცემული აქვს ბაგავანის ორივე წარწერას ამოკვეთის თარიღის განსაზღვრის ცდა და, თუმცა თავის შეხედულებას კატეგორიულად არ აცხადებს, შესაძლებლად თვლის გამოთქვას შემდეგი ვარაუდი: ბაგავანის მთავარი წარწერა (639 წლით დათარიღებული) შესრულებული უნდა იყოს არა უადრეს VIII ს-ის დამლევისა, ხოლო მეორე წარწერა (რომელიც უფრო მეტად წააგავს ატენის სიონის წარწერას) — არა უადრეს IX ს-ის დასაწყისისა.

ამრიგად, მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ი. ორბელს შეცდომით მიეწერა ატენის სიონის სომხური საამშენებლო წარწერის პალეოგრაფიულად VII ს-ით დათარი-

²³ იქვე, გვ. 395

²⁴ იქვე, გვ. 430.

²⁵ იქვე, გვ. 439.

²⁶ იქვე, გვ. 387.

ლება. ვინაიდან ამ წარწერას იგი ამსგავსებდა ისეთ სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომლებიც, მისი აზრით, VIII ს-ის დამლევზე ან IX ს-ის დამდეგზე ადრე ვერ იქნებოდნენ ამოკვეთილნი.

ატენის სიონის საამშენებლო წარწერის პალეოგრაფია პირველად შეისწავლეს ილ. აბულაძემ და გ. აბრამიშვილმა. რომლებმაც წარწერის ყველა გრაფემა ძირითადად გ. ოვსეფიანის ტაბულების მიხედვით ცალ-ცალკე შეადარეს სხვა VII—XI სს-ის სომხურ წარწერებს და გააკეთეს შემდეგი დასკვნა: თოდოსაკის წარწერის *შ* (*შ*), *ძ* (*თ*), *ს* (*ე*), *რ* (*რ*) და *დ* (*დ*) გრაფემები თავსდებიან VII—X სს-ის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, ხოლო *კ* (*კ*) გრაფემა თავისი გრძელი მარჯვენა ტოტით აშკარად განსხვავდება X ს-დელი სომხური წარწერებისაგან²⁷. ეს დაკვირვება სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა გ. აბრამიშვილის ახალ თვალსაზრისთან, რომლის მიხედვითაც თოდოსაკს მიეწერება ძეგლის რესტავრაცია X ს-ის ბოლოს და არა აგება VII ს-ის 30-იან წლებში. გ. აბრამიშვილი საკითხის ასე დაყენებამდე მივიდა სიონის იმ რელიეფის სიუჟეტის ანალიზის შედეგად, რომელიც თვითონ თოდოსაკს მიეწერება და რომელზედაც სომეხი არქიტექტორ-მოქანდაკის ხელრთვაა ამოკვეთილი. ეს არის დავით გარეჯელის მოწაფის ლუკიანეს მიერ ირმების წველის სცენა, რომელიც, მკვლევრის აზრით, „დავით გარეჯელის ცხოვრების. ამსახველი თემის უკვე განვითარებულ სახეს წარმოადგენს, რომლის შესრულების დრო X ს-ის ახლო ხანებით უნდა განისაზღვროს“. თოდოსაკის (resp. თოდოსას) წარწერიანი რელიეფის ასე დათარიღების შემდეგ, ბუნებრივია, რომ ავტორმა თოდოსაკის საამშენებლო წარწერაც ასევე X ს-ით დაათარიღა²⁸.

4. თოდოსაკის წარწერა პალეოგრაფიულად იმდენად ნეიტრალურია დროის მიმართ, რომ მისი გრაფიკა თითქმის არავითარ საყრდენს არ იძლევა თარიღის თუნდაც რამდენიმე საუკუნის ფარგ-

²⁷ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ატენის სიონის რელიეფი, გვ. 70. წინამდებარე ნაშრომში გრაფემათა ?ხარები ყველგან აღნიშნულია მაყურებლის პოზიციიდან.

²⁸ იქვე, გვ. 70; მისივე, Два строительных периода, стр. 34—39. პ. უ ვ ა რ ო ვ ა აღნიშნულ რელიეფს ასე ახასიათებდა: На северо-восточной стене повторение изображения Самсона, раздирающего льва, и ослупна Валаама с сильно попорченной надписью (Материалы, стр. 150). სინამდვილეში ბალამისა და მისი კარაულის ბიბლიურ სიუჟეტს (რიცხვთა 22, 21—33) ჩვენს რელიეფთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ლებში განსასაზღვრავად. ამიტომ არის, ალბათ, რომ არცერთ სპეციალისტს, ვინც კი მას VII ს-ით ათარიღებდა, წარწერის პალეოგრაფიული დახასიათება არ მოუცია. თოდოსაკი ჩაითვალა სიონის არქიტექტორად და მისი წარწერის თარიღიც ფაქტიურად ძეგლმა განსაზღვრა. მაგრამ მას შემდეგ, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მკაცრად არგუმენტირებული მოსაზრება თოდოსაკის ატენის სიონის რესტავრატორობის შესახებ, მისი წარწერის a priori VII ს-ად ჩათვლა უკვე აღარ მოხერხდება²⁹.


როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თოდოსაკის წარწერის საერთო იერი VII—X ს-ის წარწერებს წაავსებს და მხოლოდ *ϛ* (კ) გრაფემაა, რომელიც ამ ქრონოლოგიური საზღვრების ბოლო მიჯნისკენ მიგვანიშნებს. კიდევ უფრო რეალური საყრდენი დღემდე გამოქვეყნებული მონახაზებისა და ჩანახატების მოხედვით უნდა ყოფილიყო *Ⲙ* (ა) გრაფემის მოხაზულობა რომელსაც ყველა პუბლიკაციაში მარჯვენა შიდა ხაზი აკლია³⁰. მაგრამ ადგილზე დაკვირვებამ ცხადყო ამ ხაზის არსებობა, რაც აისახა კიდევ წინამდებარე გამოცემაში (ტაბ. 1). ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი ხმის უფლება სხვა მონაცემებს უნდა მიენიჭოს.

5. როგორც უკვე ნათქვამი იყო, კალიგრაფმა თოდოსაკის წარწერა ერთ სტრიქონში ვერ ჩატია და ბოლო სიტყვის ნაწილი პირველსავე ქვის ფილაზე გადმოიტანა. გადმოტანილ გრაფემათა ფრაგმენტებზე დაყრდნობით მთლიანად სიტყვას ასე აღადგენენ: *სსსღსს[სსიშს]*. *სსსღსსღსსღსს* არის dat.-gen. *სსსღსსღსს* (ეს ეკლესია) სიტყვისა. მართალია ფილაზე შემორჩენილია *Ⲙ* (ო) და *Ⲛ* (ე) გრაფემების სულ უმცირესი ფრაგმენტები, მაგრამ მათი საშუალებით და ზედა სტრიქონის გრაფემათა გათვალისწინებით ამ ასოთა

²⁹ მიუხედავად იმისა, რომ გ. აბრამიშვილის ნაშრომებში ქართულ და რუსულ ენებზე დაისტამბა 1965 და 1972 წლებში, სპეციალურ სულ ბოლო ხანების არმენოლოგიურ ლიტერატურაშიც კი, რომელიც ატენის სიონსა და მ-ს სომხურ სამშენებლო წარწერას ეხება, იგი გათვალისწინებულ არ არის. შდრ. М у р а д я н, Армянская надпись; А б у л а д з е, Замечания; Еремян, К вопросу...; ხ რ ხ ე მ ა ნ, VII դարის...; М у р а д ж а н, L'inscription...; Ա գ ա რ յ ა ն, Վրդ Իվնահայրյան...; Մ ա ռ ը ը յ ა ն, Ավանի տաძար.

³⁰ მხოლოდ პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებულ მონახაზზე ჩანს შიდა ხაზის რაღაც მინიშნება (*У в а р о в а, Материалы, стр. 152*). შიდა ხაზით *Ⲙ* (ა) გრაფემის დათარიღებისა და მასთან დაკავშირებული პოლემიკის შესახებ იტ. Ղ ա լ ա ղ ա ը յ ա ն, Հայկական գրի..., էջ 86; მისივე სრულს Ավանի տაძարի..., էջ 187—188; А б у л а д з е, Замечания, стр. 186; М у р а д ж а н, L'inscription..., стр. 403; მისივე, «მინიან მარქადაც», էջ 235.


მოხაზულობისა და განაწილების აღდგენა საკმაო სიზუსტით ხერხდება. პირველი სტრიქონის გრაფემათა შორის მანძილი 1,5-დან 4 სმ-ს შორის მერყეობს, მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად მაინც დაცილება 2—3 სმ-ია. მეორე სტრიქონის ნაშთების საფუძველზე აღდგენილ *И* და *З* გრაფემებს შორის მანძილი 2 სმ-ია. აი, ამ ინტერვალით თუ აღვადგენთ იმ ასოებსაც, რომელთა კვალი დღეს სრულიად წარხოცილია, *შ* (ყ) გრაფემა აღმოჩნდება ზედა სტრიქონთან არაპროპორციულ პოზიციაში ჯვარსა და სტრიქონის პირველ გრაფემას (*ი*) შორის (სურ. 1). ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ გამოცდილსა და მაღალი კვალიფიკაციის კალიგრაფს, როგორც



სურ. 1.

ჩანს თოდოსაკის წარწერის ამომკვეთი, ასე წაეხდინოს თავისი მშვენიერი ნახელავი: 1. ჯვარი ქრისტეს სიმბოლოა და როგორც ქართულ, ისე სომხურ მონუმენტურ წარწერებში აუცილებლად სტრიქონებს გარეთ იწერება. 2. ჯვრის სავარაუდო ქვედა უფრო გრძელი მკლავი ზედ დაესმოდა ნაწილობრივ მის ქვეშ მოთავსებულ *შ* (ყ) გრაფემას. 3. კედელზე, სადაც შემოთავაზებული აღდგენით *შ* გრაფემის არსებობაა მოსალოდნელი, ალაგ-ალაგ შემორჩენილია ქვის ზედაპირი იმდენად, რომ მასზე რაღაც კვალი მაინც დარჩებოდა, თუ კი ის იქ მართლაც იყო ამოკვეთილი.

ამის შემდეგ ვფიქრობთ, აშკარაა, რომ მეორე სტრიქონის პირველი ასო **შ** (ც) უნდა ვივარაუდოთ პირველი სტრიქონის პირველი გრაფემის — **ს** (ე) — ქვეშ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში **ი** (ო)-ს ნაშთამდე აღსადგენი ორი ასოსათვის (**ში** ცვ) ადგილი აღარ რჩება (სურ. 2). ცხადია, ეჭვის ქვეშ დგება უკვე თვითონ აღდგენილი ფორმის კანონიერება.



სურ. 2

სისიესი (ეკლესია) ეკუთვნის ისეთი ბრუნების სიტყვათა ჯგუფს, რომლებიც კლასიკურ სომხურში გვაძლევენ **-ესი** (-ცოდა) დაბოლოებას (**სისიესი** — ეკლესიის). მაგრამ ამ ტიპის ბრუნებას საშუალო სომხურში აქვს კიდევ უფრო მეტად გავრცელებული ფორმა **-ესი** (-ცოდა): **სისიესი** > dat.-gen. **სისიესი** (ეკლესიის). თუ თოდოსაკის წარწერის მეორე სტრიქონში ამ ფორმას აღვადგენთ. **ი** (ო)-ს ნაშთამდე დაგვიკირდება მხოლოდ ერთი — **შ** (ც) გრაფემის ჩაწერა და წარწერა გრაფიკულად სრულიად გამართულ, ტრადიციულად მისაღებ სახეს იძენს (სურ. 2).

აპრიგად, ატენის სიონის სომხური საამშრებო წარწერა ასეთი უნდა ყოფილიყო:

ყველა იმ წარწერაში, რომლებსაც შინაარსით თუ გრაფიკით VII ს-ით ათარიღებენ, *სისისეი* (ეკლესია) და მისი ტიპის (-*ს* ბოლოფუძიანი) სახელები dat.-gen. გვაძლევენ *-სი* დაბოლოებას და არა — *სი*-ს, როგორც უნდა გვქონოდა თოდოსაკის წარწერაში³². მხოლოდ ბაგარანის წარწერაში კითხულობენ რატომღაც *ჰანანყაგი*-ს *ჰანანყაგი*-ს მაგიერ³³, მიუხედავად ი. ორბელის სპეციალური შენიშვნისა: «Третья буква второй строки 5-го камня грани V как-будто имеет внутри, при первой палочке, характеристику *ს*, так что эти три буквы должны читаться *სსი*»³⁴. ასევე გვაქვს იგივე სიტყვა *ჰანანყაგი* ლაზარაანთ 887 წლის სახარების მინაწერში³⁵, მაშინ, როდესაც *-სი* > *-სი* ფორმების შემცველი არცერთი თარიღიანი ძეგლი X ს-ის მიწურულზე აღრიხდელი არ არის³⁶.

³¹ ასე აქვს თოდოსაკის წარწერა გამოქვეყნებული ა. აბრამიანსაც (Հայոց Գիր. էջ 87). თუ საქმე კორექტურულ შეცდომასთან არა გვაქვს, რადგან მის წყაროში (Այրադյան, Армянская надпись, стр. 75—76) იგივე წარწერა ძველი წაკითხვით არის აღდგენილი.

³² შტრ. Ասորոց (მრწ.), Դուռաղեցույ, տեղույ, ամույ (ბაგვანი). — (ბაგვანი). იხ. Օրճելու, Указатель, стр. 427—428; Աբրահամյան, Հայոց գիր. էջ 83—87.

³³ Աբրահამյան, Հայոց գիր. էջ 84; Ավագյան, Վիճակ... էջ 129.

³⁴ Избранные труды, стр. 191.

³⁵ Աբრահამյან, Հայოց գիր, էջ 87.

³⁶ ერთდღერთი გამონაკლისია ბაგარანის წარწერაში *ამი* (<ამ> <ამ> წელი) საწინააღმდეგოდ ბაგვანის წარწერის *ამი*-სი. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ამ სიტყვის ბრუნების თავისებურება და ისიც, რომ ბაგარანის წარწერას ი. ორბელი ბევრი მონაცემით „გაცილებით უფრო გვიანი წარმოშობისაღ“ თვლიდა, ვიდრე VII ს. იხ. Избранные Труды, стр. 394. ბოლო ხანებამდე *-სი* > *-სი*-ს უძველეს დადასტურებულ თარიღად ითვლებოდა 976 წელი, ხოლო თვითონ ფონეტიკური მოვლენის დასაწყისად — X ს. (Մկրտչյան, Միջին հայկերեն, էջ 216—217), ვინაიდან არცერთი აღრიხდელი ძეგლი არ იძლეოდა სხვა ჩვენებას. დღეს ენათმეცნიერები ევრდნობიან კ. ლაფადარიანის მიერ დღევანდელ ალმონილ დავით გონუნის საფლავის ქვის წარწერას (Գլխին բայար, էջ 245) და იმავე ფონეტიკურ მოვლენას ახლა უკვე VI ს-ით ათარიღებენ (Ալևախჩიანი, էջ 108; (Ավագյան, Վիճակ... էջ 128), თუმცა ერთი შეხედვითაც კი აშკარაა, რომ დავით გონუნთა (წარწერაში Գրուհայ) უფლის წარწერა არც პალეოგრაფიულად და არც ენობრივად X ს-ზე აღ-

მონაკლისია მხოლოდ 2 (დ) გრაფემა, რომელიც ოდნავ მარჯვნივ გადაწია ოსტატმა, რათა ორი კვადრის შემაერთებელ ხაზზე არ მოხვედრილიყო. 2. ქართული ტრანსლიტერაცია არ არის შემთხვევით დაჩხაპნილი ვინმე ცნობისმოყვარის მიერ და სათანადო ინსტრუმენტებით შეიარაღებულ ოსტატს გულისხმობს. 3. იგი ამოკვეთილია იმდენად მცირე ზომით და უმნიშვნელო სიღრმით, რომ ახლო მანძილიდანაც კი ძნელად მოჩანს.

ზემოთ ნათქვამი უფლებას გვაძლევს, გარკვეული ალბათობით, მხარი დაეუჭიროთ გ. აბრამიშვილის ჰიპოთეზას, რომ ქართული ტრანსლიტერაცია შესატყვისია სომხური წარწერის სინქრონულია და შესრულებულია ოსტატი კალიგრაფის მიერ, რომელსაც დაევალა თოდოსაკის წარწერის ამოკვეთა. ქართული გრაფემები მან გამოიყენა სომხური ტექსტის კედელზე გასანაწილებლად³⁹.

გამოთქმული ვარაუდი აუცილებლად გულისხმობს, რომ წარწერის ამომკვეთი და დამკვეთი (თოდოსაკი) სხვადასხვა პირია — ქართველი (ან ქართულენოვანი) და სომეხი (ან სომხურენოვანი) — ვინაიდან, ცხადია, კალიგრაფისათვის ქართული ენა და დამწერლობა უფრო მახლობელია, ვიდრე სომხური; ის მისი სამუშაო და საკომუნიკაციო საშუალებაა. ასეთივე დასკვნის საფუძველს იძლევა ქართული ტრანსლიტერაციის ზოგი სხვა თავისებურებაც.

სომხური *ՄԻՐՈՅ* (წმიდა) ოსტატს ქართული ასოებით მოსალოდნელი *სტყოდ* (სტობო)-ს ნაცვლად გადმოცემული აქვს *სტყოდ* (სტობო)-თ: სომხური *Մ* (ა)-ს ტრანსლიტერაციისას იყენებს არა ქართულ *Մ* (ა)-ს, არამედ *Մ* (ი)-ს. ასე დაწერდა მხოლოდ ის პირი, ვინც სომხურ ტექსტს თვითონ არაკითხულობდა, ვინც არ იცოდა, რომ სომხური *Յ*-ს გრაფიკული და ფონეტიკური შესატყვისი ქართულ ასომთავრულში არის *Ճ*. ხოლო თუ კი მას სომხურ ტექსტს სხვა კარნახობდა, ცხადია, ზეპირი მეტყველებისას იგი ამ ფონემებს ვერ გაარჩევდა და გრაფიკულ შეცდომასაც დაუშვებდა.

მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე სხვა სიტყვების — *ՇԻՆՈՂ* (მაშენებელი) და *ԵԿԵԴԵ[ՅՈՅՄ]* (ეკლესიის) ტრანსლიტერაციისას. მათ ქართულად თავზე აწერიათ: *შინდღ* (შინო3) და *ეკლეს[ცდღს]*

³⁹ А б р а м и ш в и л и, Два строительных периода, стр. 36.

იგი მოისმინა მოკარნახისგან. როდის შეიძლებოდა კალიგრაფს სომხურის **ჟ** ფონემა **ჰ**-დ აღექვა? ცხადია, არა VII ს-ში, როდესაც **ჟხნოჟ** და **სისიღესი** სიტყვებს სომეხი ან სომხური ენის მცოდნე პირი ჭერ კიდევ წარმოთქვამდა როგორც „შინოლ“-ს და „ეკელეცი“-ს. XI ს-ის დამდეგის ძეგლებით დადასტურებულია, რომ **ჟ** > **ღ** პროცესი დამთავრდა და **ჟ** ნასესხებ სიტყვებში გადმოსცემს ჩქამიერ ფონემებს: **ღ**, **ხ**, **ყ**. თოდოსაკის წარწერის ქართულმა ტრანსლიტერაციამ დაგვიდასტურა, რომ ზეპირ მეტყველებაში (შესაძლოა, რომელიმე დიალექტში) დაუახლოვდა აგრეთვე ჩქამიერ **ჰ**-ს, მით უფრო, რომ საშუალო სომხურში, განსაკუთრებით ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ძალზე გავრცელებული: **ყ** < **ჟ** / **ჰ** (**ჰ** < **ჟ**)⁴⁶. აქედან გამომდინარე, ქართული ტრანსლიტერაცია გაკეთებულა მაშინ, როდესაც სომხური **ჟ** აღარ არის სონორი ლ და იგი უკვე ჩქამიერია, ანუ IX—X სს-ის მიჯნაზე.

ქართული ტრანსლიტერაციის გრაფიკა სავსებით უჭერს მხარს ენობრივი ანალიზით გაკეთებულ დასკვნას. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ნაჩვენებია, რომ იგი პალეოგრაფიულად X ს-ის მიწურულზე აღრინდელი ვერ იქნება. ამის ნათელი მოწმობაა ცალკეულ გრაფემათა აშკარა კუთხოვანება (თ, კ, რ), მარცხენა კაუჭთან დამატებითი ხაზები (ე, ჰ) და ნუსხურობაც კი (თ)⁴⁷.

7. **შოყის** (თოდოს) ანთროპონიმი მომდინარეობს **შქიყის** (თოდოს) სახელიდან, რომელიც თავის მხრივ ბერძნ. **Μεθόμσις** (**Μεθόμσις** — ღმრთივბოძებელი) სახელიდან არის მიღებული. იგი ზუსტი ანალოგია მეორე ასეთივე ანთროპონიმისა: **შირის** (თოროს) < **შიიყის** < **შქიიყის** < **Μεθόμσις**⁴⁸.

შქიიყის > **შოყის** || **შქიიყის** > **შირის** სახელებში **ქი** > **ი** ფონეტიკური ცვლილება სომხურ ნიადაგზე არ იხსნება: ასეთი ფონეტიკური მოვლენა ბერძნული ენისთვისაა დამახასიათებელი და გვხვდება კიდევ ერთ ბერძნულიდან ნასესხებ სახელში (**შქიიყ** > **შირიყ**)⁴⁹. სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ საკუთარ

⁴⁶ Ա կ ն ա ը կ ն ե թ. էջ 132 — 34; Ա լ ա գ յ ա ն, Վ ի մ ա կ ա ն... էջ 291 — 297.

⁴⁷ А б р а м и ш в и л и, Два стронительных периода, стр. 37.

⁴⁸ Ա ն ա ղ յ ա ն, Ա ն ճ ն ա ն ու լ ու ն ն թ ի... Բ, էջ 292, 296 — 297, 311, 345.

⁴⁹ Ա լ ա գ յ ա ն, Վ ի մ ա կ ա ն... էջ 109. **შქიიყ** > **შირიყ**-ს ავტორი კეთილ-ბოლოვანების ან შეკუმშვისაკენ სწრაფვით ხსნის.

სახელებში, რომლებშიც ერთ-ერთ კომპონენტად *ჭეჯ* (ღმერთი) შედის, ბერძნული ენის ყველა დიალექტში, განსაკუთრებით მეგარულში, დასტურდება *Με-* და *Μο-* ფორმები. მაგ., *Μεζμωρος*, *Μεζμορος*, *Μεζμορος*, *Μεζμορος* (აგრეთვე, *Μεζμορος*, *Μεζμορος* (Μεζμορος — იონურში)⁵⁰. უნდა ვიფიქროთ, რომ *Μεζμορος* > *Μεζμορος* || *Μεζμορος* > *Μεζμορος* || *Μεζμορος* მომხდარა უკვე ბერძნულ დიალექტებში (შდრ. ბულგარეთში გავრცელებული ანთროპონიმი *Μεζμορος* || *Μεζμορος*) და შემდეგ შესულა სომხურში. ამას ისიც უნდა მოწმობდეს, რომ სომხეთში მათი სრული (*Մեզմորոս*, *Մեզմորոս*), და ფონეტიკურად სახეცვლილი (*Մեզմոր*, *Մეզմორ*, *Մეზմორ*) ფორმები ერთმანეთის პარალელურად სხვადასხვა სახელებად დამკვიდრდნენ.

8. თოდოსაკი წარწერაში თავისთავს „მაშენებელს“ (*Մեշնիկ*) უწოდებს. ბუნებრივია, რომ ამის გამო სპეციალისტებმა იგი თავიდანვე ატენის სიონის არქიტექტორად მიიჩნიეს. შეხედულებები სხვაობდა მხოლოდ მისი მოღვაწეობის ხანის განსაზღვრაში. ამ ქრესტომათიულად მიჩნეულ დებულებაში ექვი შეიტანა გ. აბრამიშვილმა და დაასაბუთა, რომ თოდოსაკი არის ატენის სიონის მხოლოდ რესტავრატორი და ახალი სკულპტურებით შემამკობელი. ამისათვის მას დაჰირდა სამეცნიერო ლიტერატურაზე მითითებით ეჩვენებინა, რომ სომხურში *Մեշնիկ* და ქართულში „შენება“ აღნიშნავს არა მაინცადამაინც პირველად აშენებას, არამედ ნაგებობის საფუძვლიანად აღდგენასაც⁵¹.

სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი რაოდენობით გამოვლენამ, პუბლიკაციამ და სპეციალური საკითხების შესწავლამ დღეისათვის სავსებით აშკარა გახადა, რომ *Մեշնիկ* (აშენება) ზმნა შუა საუკუნეების სომხეთში ძალზე ხშირად გამოიყენებოდა *նորიդակ* (განახლება) სიტყვის მნიშვნელობით. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთი ძეგლის რამდენიმე სხვადასხვა თარიღიან წარწერაში ლაპარაკია მისი „აშენების“ შესახებ. მაგალითად, ნორ-ბაიაზეტის რაიონის სოფ. ნორადუზის „ლუსავორიჩის“ სახელით ცნობილ ეკლესიას აქვს გაგიკ შანშაპის (990—1020) 1000 წლით დათარიღებული წარწერა. ცხადია, 1000 წელს ეკლესია უკვე იდგა ამ ადგილას, მაგრამ იქვეა მეორე წარწერა. რომელშიც ლაპარაკია ეკლესიის „აშენების“ (*Մեշնիկ*) შესახებ და რომელშიც მოხსენიებულია სოფლის წინამძღვარი ვინმე მხითარი. შემონახულია, აგრეთვე, ამ

⁵⁰ The Greek Dialekts, p. 41; Lejeune, Traité, p. 222.

⁵¹ А б р а м и ш в и л и. Два строительных периода, стр. 34—35.

მხითარის ხაჩქარი, რომლის მიხედვითაც ირკვევა: მხითარი სოფლის წინამძღვრად დაუყენებიათ ივანე მხარგრძელის ბრძანებით ზაქარია მხარგრძელის სიცოცხლეში, ე. ი. 1212 წლამდე. ამრიგად, ეკლესიის „აგების“ შესახებ ლაპარაკია წარწერაში, რომელიც ასწელზე მეტი გვიანია მის გვირდით მოთავსებულ წარწერაზე. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ არც ის, უფრო ადრინდელი წარწერაა ძეგლისათვის საფუძვლის ჩაყრის თანადროული — ნორადუზის ეკლესია ადრე დარბაზული ტიპისა ყოფილა, ხოლო გუმბათიანად გვიან გადაუკეთებიათ⁵².

ასეთივე ვითარება გვაქვს ყარაბახის კარმირ-ვანქის წარწერებში. სამხრეთის კედელზე ამოკვეთილია 1224 წლით დათარიღებული ქტიტორული წარწერა, რომელშიც ნათქვამია: *სა შაჰი, ირეჟი ჟაქათანყა, სერაჟერ ზასთანა ჯქქნსეჟი ესესესეჟი...* (შე საკრმა, ვახტანგის ძემ, ავაშენე ეს ეკლესია...)»⁵³, მაგრამ ჩრდილოეთის კედლის 1259 წლის წარწერაში ვკითხულობთ: *სა არე ზრეჟიჟი, შამარაიას სეჟსეჟიჟი, მქარანსეჟა არე იქსეჟი ჯ სთილ ჟამსენ ქარბა ქარეჟაჟსაჟს, ირე ჯქნსე ესესესეჟი...* (შე, ტერ-გრიგორი, ამარასის ეპისკოპოსი, შევერთდი ამ წმიდა ძმობას და მივეცი მთელი სასყიდელი იმ ოსტატს, რომელმაც ააშენა ეს ეკლესია...)»⁵⁴.

ამრიგად, ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ზმნა *ქნსე* სომხურში აღნიშნავს როგორც „აშენებას“, ისე „განახლებას“ და *ქნილ* შეიძლება იყოს „მშენებელიც“ და „განმანახლებელიც“.

მ. თოდოსაყის წარწერა ამოკვეთილია ქართულ პილიგრიმულ გრაფიტებზე ისე, რომ სომხური ასოებით ჩაქრილია ქართული წარწერების გრაფემები. ცხადია, თოდოსაყის წარწერა უფრო გვიანდელია, ვიდრე მისგან დაზიანებული ქართული პილიგრიმული წარწერები. ქართული გრაფიტები პალეოგრაფიული თვალსაზრისით დეტალურად აქვს შესწავლილი გ. აბრამიშვილს. იგი მათ, სავსებით დამაჯერებლად, IX—X სს-ით ათარიღებს⁵⁴.

როგორც არ უნდა დათარიღდეს ქვედა (ქართული) წარწერები, მაინც აშკარაა, რომ თოდოსაყის წარწერა ძეგლის აგების თანა-

⁵² ჩ ა რ ქ ი დ ე ა რ ე ა ნ. შქინაიყუჟან..., ლე 22, 39—40; იქსან, IV, ლე 11, 13.

⁵³ ჩ ა რ ქ ი დ ე ა რ ე ა ნ. შქინაიყუჟან..., ლე 59

⁵⁴ А б р а м и ш в и л и, Два строительных периода, стр. 37—39.

დროული ვერ იქნება. არქიტექტორი, ცხადია, წარწერას ძველის დამთავრებისთანავე (იქნებ მშენებლობის პროცესშიც, რადგან წარწერა ძალიან დაბლაა გაკეთებული) ამოკრიდა, მანამდის, სანამ ეკლესია მლოცველებს მიიღებდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ არქიტექტორს ასეთი უზარმაზარი და წითელი საღებავით შემკული წარწერა უკვე მოქმედი ეკლესიისთვის გაეკეთებინა, თუნდაც მისი აგებიდან სულ მცირე ხნის შემდეგ.

10. 1938 წელს მცხეთის ჯვრის ტაძრის გვიანი ხანის კანკელის დაშლისას აღმოჩნდა ჯვრის პოსტამენტი, რომლის სხვადასხვა მხარეზე ამოკვეთილი იყო ქართული და სომხური წარწერები. ქართული წარწერა თავიდანვე ადვილად იქნა წაკითხული და ქტიტორული შინაარსისა აღმოჩნდა. სომხური წარწერისგან მხოლოდ ფრაგმენტი იყო დარჩენილი⁵⁵. მისი შინაარსის გარკვევა და მცხეთის ჯვრის მშენებლობის ისტორიასთან კავშირში შესწავლა პირველად სცადა პ. მურადიანმა.

მკვლევრის განსაკუთრებული ყურადღება მოჰყრო სომხური წარწერის ქვეშ ამოკვეთილმა ასომთავრულმა **Տ** (თ) გრაფემამ. მან ივარაუდა, რომ აღნიშნულ გრაფემას არავითარი კავშირი არა აქვს წინა ტექსტთან და არ შეიძლება იყოს თარიღის აღმნიშვნელი სიტყვის (**ՏՈՒՄ**) ინიციალი, როგორც ეს ჩვეულებრივ ვაქვს ხოლმე სომხურ წარწერებში. **Տ** გრაფემა დაწერილია ქვის კიდეზე, რაც, პ. მურადიანს აფიქრებინებს, რომ ამოკვეთეს სურდა სიტყვის ბოლიანად დაწერა, მაგრამ რაღაცა მიზეზების გამო ვერ მოახერხა. ამ მიზეზების ძიებამ ავტორს გაახსენა ჯვრის ტაძრის გუმბათის ყელის სამხრეთ წახნაგზე მოთავსებული რელიეფი, რომელზეც წარწერისათვის განკუთვნილი ადგილი შეუწყვებლად არის დატოვებული. სპეციალისტების აზრით, რელიეფზე გამოსახული უნდა იყოს ჯვრის არქიტექტორი. დაუმთავრებელ წარწერას და უწარწერო რელიეფს პ. მურადიანი საერთო ახსნას აძლევს: კონფესიური მოსახრებებით სომეხ არქიტექტორს არ მისცეს უფლება თავისი მოსახრებელი წარწერა ამოკვეთა. მაშასადამე, ჯვრის პოსტამენტზე ამოკვეთილი **Տ** გრაფემა არის ძველის ხუროთმოძღვრის ინიციალი.

ამის შემდეგ პ. მურადიანი იწყებს ისეთი არქიტექტორის ძებნას, რომელიც ეროვნებით სომეხი იქნება (მისი ინიციალი სომხურია) და რომლის სახელის პირველი ასო იქნება **Տ** (თ). ასეთი შეიძლება იყოს ატენის სიონის ქტიტორულ წარწერაში მოხსენიებული ხუროთმოძ-

⁵⁵ Ч у б н и а ш в и л и. Памятники, стр. 42—44, 83.

ღვარი თოდოსაკი, რომლის იდენტიფიკაციას მცხეთის ჯვრის არქიტექტორთან იგი შემდეგი დამატებითი არგუმენტებით ასაბუთებს: 1. ატენის სიონი არის მცხეთის ჯვრის ზუსტი ასლი, რაც მხოლოდ საერთო არქიტექტორის შემთხვევაშია დასაშვები. 2. «Сопоставление ⁵⁶ на постаменте креста с надписью Тодосака выявляет полную графическую, стилистическую, даже размерную идентичность». 3. ქვისმთლელთა ნიშნებით დგინდება, რომ ჯვრისა და ატენის მშენებლობაზე უმუშავია ოსტატთა ერთსა და იმავე ჯგუფს. 4. საქართველოში ქალკედონიტი სომხების სამშობლოდან გადასახლების შესახებ მინიშნებას გვაძლევს „ეპისტოლეთა წიგნი“, ხოლო Narratio de rebus Armeniae პირდაპირ გვაცნობებს, რომ სომხეთიდან „გაძევებულმა ეპისკოპოსებმა თავშესაფარი ჰპოვეს არა მხოლოდ ტაიქსა და ჰორომთა ქვეყანაში, არამედ. რასაკვირველია, ახლოს მდებარე და უკვე ქალკედონურ საქართველოში“⁵⁶.

იგივე დებულებები გაიმეორა და სცადა კიდევ უფრო განმტკიცებინა ა. ერემიანმა. მისი აზრით, მცხეთის ჯვრისა და ატენის სიონის არქიტექტორების გაიგივების სასარგებლოდ ქტიტორული წარწერის შინაარსი და ფორმა ლაპარაკობს: შუა საუკუნეების ძეგლებზე სომხეთში საამშენებლო წარწერებში ხუროთმოძღვარი ან სულ ბოლოს მოიხსენიება, ან რომელიმე მეორეხარისხოვან ადგილზე. ატენის სიონზე კი არქიტექტორმა თავისი მოსახსენებელი წარწერა დატოვა მთავარ შესასვლელთან (? — ზ. ა.), საზეიმო ადგილას: საქართველოს კათედრალური (? — ზ. ა.) ტაძრის, მცხეთის ჯვრის კომპოზიციის „კოპირებისას“ თოდოსაკი ამას ვერ გააკეთებდა, თვითონვე რომ არ ყოფილიყო ჯვრის არქიტექტორი. ჯვარში თოდოსაკს მხოლოდ სახელის ინიციალის დატოვების უფლება მისცეს. ატენის სიონზე კი ნება დართეს ამოეკვეთა საზეიმო წარწერა⁵⁷.

განვიხილოთ ყველა ეს მოსაზრება თანამიმდევრულად. პირველ რიგში უნდა გაირკვეს ტაძრების ქრონოლოგია, როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი. თუ არ გაირკვა ამ ძეგლების ისეთი ქრონოლოგიური სიახლოვე, რომ ძალდაუტანებლად ჩაეტიოს ერთი კაცის შემოქმედებით ცხოვრებაში, დებულება შეიძლება დაუსაბუთებლად ჩაითვალოს.

3. მურადიანისა და ა. ერემიანის მსჯელობიდან ჩანს, რომ მათ

⁵⁶ М у р а д я н. Армянская надпись, стр 73—78.

⁵⁷ Е р е м я н, К вопросу..., стр. 59.

ეპვის ქვეშ არ დაუყენებიათ სამეცნიერო ლიტერატურაში განსაზღვრული ფარდობითი ქრონოლოგია. მათი აზრით, არქიტექტორმა თოდოსაკმა ჯერ მცხეთის ჯვარი ააშენა, ხოლო შემდეგ იგივე გეგმა გაიმეორა ატენში. გარკვეული აქვთ ავტორებს მცხეთის ჯვრის აბსოლუტური ქრონოლოგიაც. მისი მშენებლობა დაიწყო VII ს-ის პირველ ხუთწლეულში და შეწყდა 605/6 წელს, ყოველ შემთხვევაში 607 წელს ჯერ კედლები სარკმლების დონემდე არ იყო მიყვანილი, ვინაიდან ჯვარს საკურთხეველის აფსიდაში სამი სარკმელი აქვს, რაც ქალკედონური მრწამსის სიმბოლოა, ხოლო ქართლი ამ წლამდე მონოფიზიტური იყო. 605/6—626 წლებში, სპარსელთა ბატონობის ხანაში, ჯვრის მშენებლობა შეჩერებული იყო. 626/7—642 წლებში ძეგლის მშენებლობა განახლდა და დამთავრდა კიდეც. ჯვრის პოსტამენტის სომხური წარწერა და მასთან ერთად ქართული ქტიტორულიც, ამოკვეთილია არა უადრეს VII ს-ის 30-იანი წლებისა და არა უგვიანეს ამავე საუკუნის 40-იანი წლებისა⁵⁸. ამრიგად, მცხეთის ჯვრის მშენებლობა საერთო ჯამში 40 წელს გაგრძელდა. ცხადია, ატენის სიონი ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, და თუ კავკასიაში ეკლესიების მშენებლობის ხანგრძლივობის პ. მურადიანის მიერ განსაზღვრულ საშუალო დროს (7—9 წ.) ჩვენც მივიღებთ⁵⁹, დამთავრდებოდა, უკეთეს შემთხვევაში, 650 წლის ახლოს (ან უფრო გვიან). ამრიგად, ორივე ძეგლის მშენებლობა, პ. მურადიანის ათვლით, უნდა გაგრძელებულიყო სულ მცირე 50 წელიწადს მაინც. დაუმატოთ ამას ყველაფერს ის რამდენიმე წელი, რაც არქიტექტორს დასჭირდებოდა ორივე ძეგლისათვის ხუროთმოძღვრული გეგმის მოფიქრებისა და შედგენისათვის და მივიღებთ დაახლოებით 55 წელს (ან უფრო მეტს) იმ მომენტიდან, რაც არქიტექტორმა ჯვრის ტაძრის აგების დავალება მიიღო, იმ მომენტამდე, როდესაც თავისი ხელით (პ. მურადიანის აზრით) ატენის სიონზე ულამაზესი ქტიტორული წარწერა ამოკვეთა.

რა ასაკისა შეიძლებოდა ყოფილიყო არქიტექტორი, რომ მისთვის ქართლის უპირველესი სალოცავის აგება მიენდო ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას? პ. მურადიანისა და ა. ერემიანის აზრით ზომ არქიტექტორი მოიწვიეს სხვა ქვეყნიდან, საიდანაც ახალი არქიტექტურული თემა მოიტანა. რამდენად ცნობილი უნდა ყოფილიყო იგი თავის ქვეყანაში, რომ მის სახელს ქართლის მესვეურთა ყურამდისაც მიეღწია! მაშასადამე, როგორც არ უნდა ახალგაზრ-

⁵⁸ М у р а д я н, Армянская надпись, стр. 71—72.

⁵⁹ იქვე, გვ. 68.

დად წარმოვიდგინოთ იგი VII ს-ის პირველ წლებში, როდესაც მცხეთის ჯვრის აგება მიენდო. 35—40 წლის ასაკზე უმცროსს ვერ წარმოვიდგენთ. თუ ასეა, მაშინ, როდესაც იგი ატენის სიონს თავისი ხელით ნაკეთები რელიეფებით ამკობდა და კედელზე უზარმაზარ კალიგრაფიულ წარწერას კვეთდა, არქიტექტორი თოდოსაკი იქნებოდა 90—95 წლის მოხუცი (ან იქნებ უფრო ხნერი). ძნელად, რომ ვინმემ ეს დაიჯეროს.

როგორც ვხედავთ, მცხეთის ჯვრისა და ატენის სიონის არქიტექტორების იდეა ვერ უძლებს „ჯვარედინ კითხვებს“ იმ წანამძღვრების ფარგლებში, რომელზე დაყრდნობითაც თვითონ ეს იდეა განავითარეს მისმა ავტორებმა. ვნახოთ „ახლო მანძილიდან“ აბსოლუტური ქრონოლოგია.

რატომ შეწყდა 605/6 წ-ს ჯვრის მშენებლობა? რა მოხდა ასეთი მნიშვნელოვანი ქართლის ცხოვებაში? სპარსელთა ბატონობა დამყარდაო, გვეუბნება პ. მურადიანი: «...вполне естественно предположить, что в годы персидского владычества (605/6 — 626) по каким-то причинам, пожалуй, разумеющимся, строительство было приостановлено»⁶⁰. მაშასადამე, ქართლში სპარსელები დამკვიდრდნენ და ეკლესიების შენება აკრძალეს? მაშ, როგორ მოხდა, რომ სწორედ 605—609 წლებში ქართლი გადაკრით დადგა ქალკედონურ პოზიციაზე და არავითარი ყურადღება არ მიაქცია თვით სპარსელთა ერთ-ერთი უმაღლესი ხელისუფლის სმბატ მარზპანთა მარზპანის შეგონებებსაც კი?⁶¹ როგორ მოხდა, რომ 608 წელს კირონ ქართლის კათალიკოსი სწერდა აბრაამ სომეხთა კათალიკოსს, სპარსეთის მეფემ ყველა თავის ქვეშევრდომ ხალხს შინაგანი თვითმართველობა მისცა. „ხოლო ჩვენ თავისუფალ ქვეყანას უფრო მეტად, ვიდრე ყველა სხვა ქვეყანას და ჩემს კეთილ თავს უმეტესად, ვიდრე ყველა ჩემს მოყვასსო?“⁶² როგორ მოხდა, რომ 610/11 წლამდე ავანის ქალკედონური საკათალიკოსო კიდევ განაგრძობდა არსებობას სომხეთში?⁶³ როგორ მოხდა, რომ სწორედ ამ ხანებში ხოსრო მეფემ, როდესაც არჩევანი დადგა დვინის ეკლესიის აშენებასა და თავისი მარზპანის სადგომი ციხის არსებობას შორის, ეკლესიის აგება ამჯობინა და ციხე დაანგრევინა?⁶⁴

⁶⁰ М у р а д я н, Армянская надпись. стр. 68.

⁶¹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 191—195.

⁶² იქვე, გვ. 71—72, 192—193.

⁶³ Е р е м я н, К вопросу..., стр. 49—55; ა ლ ე ქ ს ი ძ ე, არსენი საფარელის წყარობისათვის, გვ. 209—217.

⁶⁴ С е б е о с, стр. 58.

რა თქმა უნდა, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვივარაუდოთ მცხეთის ჯვრის მშენებლობის შეწყვეტა 605/6 წელს, თუ კი კონკრეტულ ცნობებს გავითვალისწინებთ და ზოგადი მსჯელობით არ დავკმაყოფილდებით. ერთადერთი მომენტი ქართლში რელიგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებების სავარაუდოდ არის 613—616 წლებს (უფრო კი 616 წ.) შორის ჩატარებული კრების შედეგები⁶⁵. მაშასადამე, ჯვრის ეკლესიის მშენებლების განკარგულებაში იქნებოდა სულ ცოტა 10 წელი მაინც, თუ კი ვივარაუდებთ პ. მურადიანთან ერთად, რომ ძეგლს საფუძველი ჩაეყარა VII ს-ის პირველ ხუთწლეულში. მერე, როგორ მოხდა, რომ ამ წლების მანძილზე საფუძველს ვერ გასცილდნენ და სარკმლებამდეც ვერ მიაღწიეს? აკი ეკლესიების მშენებლობას კავკასიაში საშუალოდ 7—9 წელი სჭირდებოდა?

ენახოთ ახლა, რამდენად მყარია ე. წ. „კონფესიური“ საფუძველი № გრაფემაში „თოდოსაკის“ ამოსაკითხავად. იგი შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ შემდეგს: სომხური ეკლესია მონოფიზიტურია. სომხური ენა და დამწერლობა მისი სიმბოლოა, ამიტომ არ მისცემდნენ უფლებას ქართულ დიოფიზიტურ ეკლესიაში, რომლის სიმბოლოც არის ქართული ენა და დამწერლობა, სომეხ მონოფიზიტ არქიტექტორს თავისი სახელი ამოეკვეთა რელიეფზე, რომელზეც თვითონ იყო გამოსახული. მას არც ჯვრის პოსტამენტზე მისცემდნენ მთლიანად თავისი სახელის გამოსახვის უფლებას და ამიტომ დაკმაყოფილდა მხოლოდ ინიციალის ამოკვეთით. ყველაფერი რიგზეა. თეორიულად მართლაც შეიძლებოდა ასე მომხდარიყო, ასეთ დასკვნას ხელს რომ არ უშლიდეს თვითონ „კონფესიური“ საფუძვლის შესახებ ავტორის სხვა დებულება.

პ. მურადიანი შეეცადა აეხსნა, თუ საიდან გაჩნდა ჯვრის პოსტამენტზე სომხური წარწერა, რომელსაც იგი ქტიტორულს უწოდებს, და ასე გადაწყვიტა: «Одна из причин повторения ктиторской надписи на армянском языке заключается судя по всему, в участии армян в лице архитектора и нескольких мастеров»⁶⁶.

⁶⁵ ეპისტოლეა წიგნი, გვ. 196—198. „სპარსული კრება“ მიმართული იყო არა საერთოდ ქრისტიანების, არამედ ქალკედონიტების წინააღმდეგ. ხოსრო მეორე მონოფიზიტებს არა თუ ერჩოდა, არამედ მხურვალედაც უქურდამხარს და არის ცნობა, რომ სიციცხლოს ბოლოს სპარსეთის მეფემ ქრისტიანობაც კი მიიღო. მაშ, რა დაუშლავთ ქართლის ეკლესიის სათავეში დამდვარ მონოფიზიტებს 616 წლის შემდეგაც გაეჯრძელებინათ ჯვრის მშენებლობა, თუ კი იგი მანამდე დამთავრებული არ იყო?

⁶⁶ М у р а д я н, Армянская надпись, стр. 77.

ძნელია დაიჯერო, რომ ერთსა და იმავე ავტორს ერთი ნაშრომის ერთსა და იმავე აბზაცში ნათქვამი აქვს: ქართლის ერისმთავრებმა თოდოსაკს დაუშალეს, როგორც მონოფიზიტს. თავისი სახელი დაეწერა ძეგლზე, რომელიც მისი აგებულია, და იმავე დროს მას და მის ქვისმთელ ოსტატებს იმდენად დიდი პატივი სცეს, რომ დაივიწყეს თავისი „კონფესიური“ ნება და ჯვრის პოსტამენტზე სომხური თარგმანი გააკეთებინეს ქტიტორული წარწერისა, რომელთანაც მათ აბსოლუტურად საერთო არაფერი ჰქონდათ. ამ დებულებების ავტორი, როგორც ჩანს, ვერ ამჩნევს, რომ ისინი ერთმანეთს გამოირიცხავენ: ქართლის მმართველი წრეები ერთ შემთხვევაში „კონფესიურად“ ახირებული ჩანან, მეორეში (უფრო მნიშვნელოვანში) — ნეიტრალური.

მცხეთის ჯვრის პოსტამენტის სომხური წარწერა და მ გრაფემა, პ. მურადიანის აზრით, ამოკვეთილია არა უადრეს VII ს-ის 30-იანი წლებისა და არა უგვიანეს ამავე საუკუნის 40-იანი წლებისა; უფრო რომ დავაზუსტოთ: 630 წლის შემდეგ და 642 წლამდე. „კონფესიური“ მოსაზრებით რომ აკრძალონ სომეხი არქიტექტორის სახელის ამოკვეთა ქალკედონური მრწამსის ქართლში, ამ პერიოდში სომხეთის ეკლესია მონოფიზიტური უნდა იყოს. ვნახოთ, რას წერს ამის შესახებ პ. მურადიანი: «...начиная с 30-х годов VII века, в десятилетний период патришества Езры (630—641) было достигнуто вероисповедное соглашение с императором Ираклием и духовными лицами Византии, что неоспоримо способствовало оживлению антимонифизитских настроений в армянской церкви»⁶⁷. იგივე აზრი უფრო ნათლად და ზუსტად რომ გამოეთქვას, ეზრა კათალიკოსმა სომხური ეკლესია ქალკედონურ მრწამსზე მოაქცია, თუმცა მონოფიზიტებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ეზრას კათალიკოსობის პერიოდი ასე აქვს აღწერილი VIII ს-ის I ნახევრის სომეხ მონოფიზიტ კათალიკოს იოანე ოძუნელს:

„ამ ეზრამ მამამთავრობა ჰერაკლე ბერძენთა მეფის ბრძანებით მიიღო და წინაღუდგა სომხეთის კრებებს, რადგან ერწმუნა ქალკედონის კრებას და გაჰყო ერთმანეთისაგან ერთიანი შობა და ნათლისღება, მოიშორა ხაჩეცარი სამწმიდაობაში და მის შემდეგ კიდევ ექვსმა კათალიკოსმა, განწესებულმა ელიამდე, რომელიც მათი გარდა მოცემისა იყო...

⁶⁷ М у р а д я н. Армянская надпись, стр. 78.

ხოლო მისმა დამტკიცებულმა ეზრას სამაჰამთავრო საყდარმა სომხეთი ქალკედონურად აქცია. ვინაიდან ეზრას შემდეგ რომ კათალიკოსები ისხდნენ დღემდე, იმავე ქალკედონური აღსარებით მართავდნენ⁶⁸.

აი, ამის შემდეგ უკვე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ პ. მურადიანთან ერთად, რომ «все это культурное и церковное общение армян и грузин делало нормальным явлением»⁶⁹ იმ პერიოდში, როდესაც, ავტორის აზრით, მთავრდებოდა ჯვრის ეკლესიის მშენებლობა. ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ასე თვალსა და ხელს შუა გაგვიქრება ის „კონფესიური“ საფუძველი, რომლის გამოც სომეხ არქიტექტორს თითქოს არ მისცეს უფლება თავისი სახელი ამოეკვეთა ძეგლზე, ვინაიდან, პ. მურადიანის სამართლიანი შენიშვნით: «Разногласия определялись не на национальной основе, а на конфессиональной»⁷⁰.

რამ გამოიწვია ასეთი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებების თავმოყრა ერთი ნაშრომის ბოლო ფურცლებზე? იმან, რომ ავტორს სურს: 1. დაამტკიცოს მცხეთის ჯვრის აგება სომეხი არქიტექტორისა და ოსტატების მიერ და ჯვრის პოსტამენტზე სომხური წარწერის გაჩენა განხეთქილების შემდეგ ქართლში ქალკედონიტი სომხების გადმოსახლებით (ამის შესახებ ქვემოთ იქნება მსჯელობა), ხოლო ძეგლის მშენებლობის ბოლო ათწლეულში ქართული და სომხური ეკლესიების ერთობით და მათ შორის ნორმალური ურთიერთობით. 2. ახსნას მცხეთის ჯვრის კედლებზე სომეხი არქიტექტორის სახელის მოუხსენებლობა, ხოლო ჯვრის პოსტამენტზე მისი სახელის მხოლოდ ინიციალის შემორჩენა ამავე ეკლესიებს შორის არსებული განხეთქილებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც წამოყენებული პიპოთეზის ავტორებმა ასე თუ ისე უნდა უპასუხონ, არის შემდეგი: **რ**ა გრაფემა ჯვრის პოსტამენტისათვის გამოყენებულ ქვაზე სომხური წარწერის ამოკვეთამდე იყო, თუ შემდეგ დაწერეს? სომხურ წარწერას პ. მურადიანი ქტიტორულად მიიჩნევს და თუ **რ**ა გრაფემა მასზე ადრე იყო ქვაზე გამოსახული, ცხადია, არქიტექტორი არაფერ შუაშია და პოსტამენტად გამოუყენებიათ ერთ-ერთი უკვე დაშვადებული კვადრი ოსტატის ნიშნით, ხოლო ამ ნიშნისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, ვინაიდან პოსტამენტი ისე იყო დაყენე-

⁶⁸ იხ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, არსენი საფარელის..., გვ. 90—91.

⁶⁹ М у р а д я н, Армянская надпись, стр. 78.

⁷⁰ იქვე, გვ. 72.

ბული. რომ მას მლოცველი ვერ დაინახავდა. ენახოთ, როგორ არის ეს საკითხი ნაშრომში გადაწყვეტილი.

სომხური წარწერა ბევრად უფრო ნაკლები მოცულობისაა, ვიდრე ქართული ქტიტორული. ამიტომ იგი ქართულის გამეორებად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, თუ მის შემოკლებულ ვარიანტად მივიჩნევთ. მაგრამ ხომ უნდა აიხსნას შემოკლების საფუძველი მაშინ, როდესაც სომხური წარწერა ქვის უფრო ფართე მხარეზეა ამოკვეთილი? ახსნა ასეთია: «Сокращенность (этим самым и вольность составителя) армянской надписи можно объяснить, как нам представляется, одним обстоятельством: на боковой широкой грани, по завершении всего строительства, была уже высечена крупная заглавная буква...»⁷¹.

სხვაგან ავტორი მსჯელობს უკვე იმის შესახებ, თუ „კონფესიური თვალსაზრისით რა სიძნელებები“ უნდა გამოეწვია არქიტექტორის სახელის სომხურად დაწერას რელიეფზე და როგორ მისცეს მას უფლება თავისი სახელის ინიციალი ამოკვეთა პოსტამენტზე სომხური „ქტიტორული“ წარწერის ქვეშ: «...вполне объяснимо отсутствие сопровождающей надписи у изображения архитектора: она должна была быть высечена на армянском языке, что вызвало бы определенные трудности в конфессиональном отношении. Быть может по этим же соображениям архитектору разрешалось высечь лишь начало своего имени под армянской ктиторской надписью»⁷².

როგორც მოტანილი ციტატებიდან ვხედავთ, პ. მურადიანი 60-ე გვერდზე თვლის, რომ № გრაფემა სომხური წარწერის გაკეთებამდე იყო ამოკვეთილი, ხოლო 77-ე გვერდზე სრულიად ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, და ეს მაშინ, როდესაც ორივე მოსაზრებას გადამწყვეტი მნიშვნელობის არგუმენტებად იყენებს.


მთავარი არგუმენტი მცხეთის ჯვრისა და ატენის სიონის ხუროთმოძღვრების იგივეობის დასამტკიცებლად პ. მურადიანისთვის არის ჯვრის პოსტამენტზე შემონახული № (თ) გრაფემისა და სიონის ქტიტორული წარწერის იმავე გრაფემის სრული იდენტურობა: «Сопоставление № на постаменте креста с надписью Тодосака выявляет полную графическую, стилистическую, даже размерную идентичность»⁷³.

⁷¹ М у р а д я н. Армянская надпись, стр. 60.

⁷² იქვე, გვ. 77.

⁷³ იქვე, გვ. 76.

ატენის სიონზე **Ⲡ** გრაფემის მხოლოდ ნაშთებია დარჩენილი და მის „გრაფიკულ-სტილისტურ“ სახეზე მსჯელობა შეგვიძლია მხოლოდ კალიგრაფის საერთო მანერისა და გადარჩენილი გრაფემების მოხაზულობის მიხედვით. მთავარი დამახასიათებელი ნიშანი კი უნდა იყოს მისი მარჯვენა კაუჭი, რომელიც მცხეთის ჯვარზე გახვილკუთხა სამკუთხედით ბოლოვდება. ზუსტად ასეთივე შვერილი აქვს მცხეთის ჯვრის პოსტამენტის ყველა გრაფემას (იხ. *U, P, S, T*), მაშინ, როდესაც დახრილი შვერილები ატენის სიონის გრაფემებზე ბლაგვკუთხა სამკუთხედის ფორმისაა, რომლის ერთი გვერდი ყოველთვის პორიზონტალს ეყრდნობა (იხ. *U, S*-ს ზედა და ქვედა შვერილები). ექვს გარეშეა, რომ ასევე უნდა აღდგეს **Ⲡ** გრაფემაც. ჩვენი რეკონსტრუქციის სისწორეს ამტკიცებს სისავანის თოდოროსის რელიეფის წარწერა, რომელზეც ზუსტად ასეთი შვერილის მქონე **Ⲡ** გრაფემაა აღბეჭდილი⁷⁴. გარდა ამისა, ატენის სიონის **Ⲡ** გრაფემის ვერტიკალური სვეტები არ არის ისე მკაცრად პარალელური, როგორც მცხეთის ჯვრისა, ხოლო მარჯვენა სვეტი (როგორც ეს ბევრგან გვაქვს სომხურ წარწერებში და საერთოდ ამ გრაფემის ტენდენციაა უფრო გვიანი ხანისათვის) ოდნავ უფრო მოკლეა ჯვრის გრაფემისაგან განსხვავებით.



სურ. 3

ამრიგად, აღნიშნული გრაფემების „სრული გრაფიკული და სტილისტური იგივეობა“ არ დასტურდება. კიდევ უფრო ადვილი შესამჩნევია განსხვავება განზომილებებში (2 სმ-ის ფარგლებში), რაზეც თავის დროზე მიუთითა ილ. აბულაძემაც⁷⁵. მაშასადამე, არც

⁷⁴ იხ. *Մ Մ ց ա կ խ ն յ ո ն*, Սյապխնի..., სურ. 3; *Կ ւ Ն Ի Ի Կ Վ Ի Լ Ի*, Разыскания, სურ. 34.

⁷⁵ *А б у л а д з е*, Замечания, стр. 180. გაუგებარია, რატომ მიიჩნია სა-
3. ზ. ალექსიძე

ერთი ნიშანი იგივეობისათვის არა გვაქვს, რასაც მკითხველი ადვილად დაინახავს ქვემოთ მოცემულ სურათზე (სურ. 3). გარდა ამისა, ზემოთ უკვე შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ატენის სიონის ქტიტორული წარწერა არ არის თოდოსაკის ხელით შესრულებული. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ თოდოსაკის ავტოგრაფი ჩრდილოეთის ფასადის რელიეფზეა აღბეჭდილი. ამ წარწერის ~~მ~~ გრაფემა კი არსებითად განსხვავდება როგორც „სტილისტურად, ისე გრაფიკულად და განზომილებებით“ მცხეთის ჯვრის იმავე გრაფემისაგან: შდრ. ~~მ~~-ს გაცილებით უფრო მცირე შიდა კაუჭი და სულ სხვაგვარი მოხაზულობის მარჯვენა შვერილი (სურ. 4. ტაბ. 2).

საცილოდ ეს შენიშვნა პ. მურადიანმა (L'inscription arménienne, p. 408), როდესაც განზომილებებს იჯი თვითონ ანიჭებდა არგუმენტის მნიშვნელობას.


წარწერები რელიეფებზე

ატენის სიონის რელიეფები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: რელიეფები წარწერების გარეშე და წარწერიანი რელიეფები. უკანასკნელ ხანებამდე ატენის სიონის ყველა სკულპტურა ძეგლის თანადროულად ითვლებოდა და მიეწერებოდა არქიტექტორ თოდოსაკს ან მის თანაშემწეებს, თუმცა შემჩნეული იყო მათ შორის მნიშვნელოვანი სტილისტური განსხვავებები. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს უკვე გვაქვს წარმატებული ცდა დასაბუთებისა, რომ რელიეფების ერთი, სტილისტურად იდენტური, ჯგუფი ეკუთვნის ატენის სიონის მეორე საამშენებლო პერიოდს და თარიღდება X ს-ის 80-იანი წლებით. თვალშისაცემია, რომ ყველა წარწერიანი რელიეფი ამ ჯგუფში ხვდება. სხვა არგუმენტი რომ არ იყოს, მარტო ამ გარემოებასაც უნდა დაეძვეებინა მკვლევრები რელიეფების სინქრონულობაში.

I. ჩრდილოეთის ფასადზე, კარის მარცხნივ, აღმოსავლეთის ნიშის კუთხესთან, ცოკოლიდან მეექვსე კვადრი უკავია რელიეფს, რომელზეც ასახულია ქართულ ორიგინალურ მწერლობაში დადასტურებული დავით გარეჯელის ერთ-ერთი სასწაული (ლუკიანეს მიერ ირმების წველა) და ცნობილი ბიბლიურა სიუჟეტი (სამსონის ლომთან ბრძოლა).

1. რელიეფის მარცხენა კიდეზე ამოკვეთილია სომხური მრგლოვანი ასომთავრულით (ერკათაგირ) ანთროპონიმი **ԹՈՒՄԱ** (თოდოსა), რომლის გრაფემებიც განაწილებულია ზევიდან ქვევით ($S = 21 \times 17$) რკალისებურად (სურ. 4, ტაბ. 2). სრულიად აშკარაა, რომ წარწერა ეკუთვნის რელიეფის ავტორს და იგი მისი ავტოგრაფია. ისიც აშკარაა, რომ რელიეფის ავტორი თოდოსა და

სომხურ საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული თოდოსაკი ერთი და იგივე პირია, აქედან სახელი წარწერებში ოდნავ განსხვავებული ფორმებით არის მოცემული: ავტოგრაფში ანთროპონიმ



სურ. 4.

„თოდოსაკ“-ს ბოლოში აკლია **ჩ** (კ) გრაფემა, თუმცა მისი დაწერა, ადგილას თვალსაზრისით, რელიეფის ავტორისათვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო. სავარაუდოა, რომ არქიტექტორი თოდოსაკი თავია თავს „თოდოსას“ უწოდებდა და ამ ფორმის სახელით იყო ცნობილი თავის მახლობელ წრეებში. ასეთ შემთხვევაში შეიძლება „თოდოსა“ გაქართულებულ ანთროპონიმად მიგვეჩინა: სომხური კენიობითი სუფიქსი **-ას** (-აკ) შეცვლილია იმავე ფუნქციის მქონე ქართული **-ა** სუფიქსით. ამ თვალსაზრისით, იგი შეიძლება ანალოგიური აღმოჩენილიყო ატენის სიონის ინტერიერში ამოკვეთილი კიდეც ერთი სომეხი ოსტატის სახელისა — **Գիրս** (გიორგ), რომელსაც აგრეთვე გაქართულებულ ანთროპონიმად მიიჩნევდნენ.

2. ერთი შეხედვით რელიეფის წარწერა წააგავს საამშენებლო წარწერას. წარწერების ზერელე მსგავსებამ და ერთი და იმავე პირის სახელმა, როგორც ჩანს, გამოიწვია ვარაუდი, რომ ისინი ერთი ხელით არის შესრულებული და ერთი პირის მიერ არის ამოკვეთილი¹. გ. აბრამიშვილი ამ წარწერებს შორის განსხვავებას ნახულობს მხოლოდ იმაში, რომ ერთი დეკორატიულია და მეორე — არა. იგი ცალ-ცალკე ადარებს აღნიშნული წარწერების გრაფემებს ერთმანეთს და დიდ მსგავსებას პოულობს **ჩ** (დ), **ი** (ო), **ს** (ა) ასოებისა და **ბ** (თ)-ს მოხაზულობებს შორისაც კი. მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, იგი მაინც იმ აზრისაა, რომ რელიეფებზე წარწერები შესრულებულია თვითონ მოქანდაკეების მიერ, ხოლო ქტიტორული წარწერა პროფესიონალ კალიგრაფს ეკუთვნის².

¹ Ч у б и н а ш в и л и, Памятники, стр. 173.

² А б р а м и ш в и л и, Два строительных периода, стр. 39.

ვფიქრობთ, განსახილველ წარწერებს შორის მსგავსება მხოლოდ ისეთია, როგორც შეიძლება იყოს ერთსა და იმავე ღრის, ერთსა და იმავე ძეგლზე, ერთმანეთის გვერდით მომუშავე ოსტატების ხელწერას შორის; ისეთივე, როგორც არის აქვე ერთმანეთის მიბაძვით სხვადასხვა პირების მიერ შესრულებულ რელიეფებს შორის. მეტი არაფერი. ამ წარწერების ყველა გრაფემის მოხაზულობა და ყველა დეტალი ამკარად სხვადასხვა ხელს უჩვენებს.

რელიეფის წარწერის გრაფემები უფრო ფართო და დაბალია, ვიდრე ქტიტორულისა. აყირავებული რკალისებური გრაფემების (*U*, *U*) ტოტები მასში სწორი კი არ არის, როგორც ეს ქტიტორულ წარწერაში გვაქვს, არამედ ზემოთ ოდნავ მოხრილები, თავში შეკვრის ტენდენციით. სულ სხვადასხვაგვარია *U* (ა) და *U* (დ) გრაფემების შვერილები. რელიეფის წარწერაში ისინი უფრო მოზრდილი, ვერტიკალთან ორიენტირებული, სწორკუთხა სამკუთხედებია, ხოლო ქტიტორულში — შედარებით მცირე, პორიზონტალზე დაყრდნობილი ბლაგვკუთხა სამკუთხედები. *U* (თ) გრაფემის მიხედვით მსჯელობა შედარებით ძნელია, რადგან ქტიტორულ წარწერაში ეს გრაფემა ყველაზე უფრო დაზიანებულია, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენტებითაც განსხვავება თვალშისაცემია: რელიეფის *U*-ს შიდა კაუჭი გაცილებით უფრო მცირე აქვს, ვიდრე ქტიტორულისას. ალბათ განსხვავებული იქნებოდა მათი შვერილების დაბოლოებებიც, როგორც ეს გვაქვს *U* და *U* გრაფემების შემთხვევაში³. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ რელიეფის წარწერის ავტორის ხელი კალიგრაფიაში შეუდარებლად უფრო გაუწაფავი ჩანს, ვინემ ქტიტორული წარწერის ავტორისა.


მაგრამ ამ წარწერებს შორის არის არსებითი განსხვავებაც, რომელსაც უკვე პალეოგრაფიული ნიშნის მნიშვნელობა ენიჭება: *U* (ა) გრაფემა რელიეფზე მარჯვენა შიდა ხაზის გარეშეა დაწერილი, განსხვავებით ქტიტორული წარწერისაგან.

V—X სს-ის მანძილზე *U* გრაფემას ეპიგრაფიკულსა და ხელნაწერ ძეგლებში შემდეგი ფორმები აქვს: *U*, *U*, *U*, *U*. როგორც ვხედავთ, მისი მარჯვენა ტოტი სხვადასხვა პოზიციაში მყოფი ორი ხაზისაგან შედგება. *U* გრაფემის ასეთი ფორმის განვითარებას შემდეგნაირად აღწერს სომხური ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის სპეციალისტი კ. ლავადარიანი:

³ შტრ. А б р а м ш и л и, Два стронительных периода, стр. 39.

შათგანი აშკარად *U* (ს)-ა, ხოლო მეორე დაზიანებულია, მაგრამ მაინც ადვილად გამოიცინობს კაცი მასში *U* (ა)-ს (სურ. 5, ტაბ. 2). წარწერას სპეციალისტები ასე აღადგენენ: *Uu[URUN]* (სა[მსონ])⁸.

სპეციალურ ლიტერატურაში ორი აზრია გამოთქმული ამ სახელის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით: 1. ვინაიდან რელიეფზე გამოსახულია სამსონის ლომთან ორთაბრძოლას ბიბლიური სიუჟეტი⁹, წარწერაც გამოსახულების მთავარი გმირის სახელს უნდა ასახავდეს¹⁰.



სურ. 5.

2. სამსონი იყო არქიტექტორ თოდოსაყის ერთ-ერთი თანაშემწე სომეხი ოსტატი და რელიეფზე ამოკვეთილია მისი სახელის პირველი მარცვალი¹¹. მეორე მოსაზრებას რაიმე საფუძველი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნებოდა ორი პირობა მაინც: 1. დასაბუთდებოდა თოდოსას რელიეფის სიუჟეტის ბიბლიური სამსონის სახელთან დაკავშირების მცდარობა. 2. დასაბუთდებოდა დასავლეთის ფასადზე მოთავსებულ რელიეფზე გამოსახული ლომისა და გმირის ორთაბრძოლის (რომელსაც წარწერილი აქვს, აგრეთვე, *Uu[URUN]*) შინაარსობრივი განსხვავება თოდოსას რელიეფის სიუჟეტთან. სამწუხაროდ, ზემოთ მოტანილი დებულების ავტორი ასეთ საკითხებს თავისი მოსაზრების სასარგებლოდ გადაჭრილად, ეტყობა, მხოლოდ მდუმარედ გულისხმობს.

სამსონისა და ლომის ორთაბრძოლის ბიბლიური სიუჟეტი ასეთია: ისრაელთა ტომი ფილისტიმელთა ბატონობის ქვეშ იყო ორმოცი წლის განმავლობაში. დიდი ხნის უშვილო ისრაელ ცოლქმარს სასწაულებრივ ეყოლა ძე სახელად სამსონ (resp. სამფსონ), რომლის მისიაც იყო ისრაელთა ტომის ფილისტიმელთა ბატონობისგან გასათავისუფლებლად ბრძოლის დაწყება. სამსონი დავაჟიკადა, „უფლისა სულის“ შეგონებით მოეწონა ფილისტიმელთა ტომის ასული და მოისურვა მისი შერთვა. როდესაც იგი მშობლებთან

⁸ ვ. ჩუბინაშვილი რელიეფზე მესამე -ს (ნ) გრაფემასაც არჩევდა და მთლიანად *UUN* (სმნ)-ს კითხულობდა (Памятники, стр. 172). ჩვენ -ს-ს კვალს რელიეფზე ვერ ვარჩევთ. ამასთანავე მეორე რელიეფზეც, რომელზედაც ისევ სამსონისა და ლომის ორთაბრძოლაა გამოსახული, მხოლოდ *Uu-* (სა-) მარცვალი წერია, თუმცა მოქანდაკეს *U* (ნ) ვრაფემის დასაწერად ჰქონდა საკმარისი ადგილი.

⁹ Dubois, Voyage, p. 214; Grosset, Rappports, p. 21; Muraviev, Грузия и Армения, стр. 106; Чубинашвили, Памятники, стр. 30.

¹⁰ *U* ხ ე ლ ი რ ა ხ ე რ - ლ ე კ, VII դარბლ..., ლ 5.

¹¹ *U* ხ ე ლ ი რ ა ხ ე რ ა ნ, VI დარბლ..., ლ 30.

ერთად თამნას მივიდა ქალის სათხოვნელად, შეიყვანეს „ვენახო-
ვანში“, სადაც უიარალოდ შეება „ლომისა ლეკვს“ და „აკუეთა იგი,
ვითარცა ციკანი თხათა“. სამსონმა დაუმალა მშობლებს ლომთან
შებმის ამბავი. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ფილისტიმე-
ლი ქალი უკვე შეირთო ცოლად, იგი წავიდა ლომის მძორის სანა-
ხავად და ნახა, რომ მას პირში ჰქონდა „თაფლისა გოლი“ (ფიჭის
თაფლი), გამოუღო ხახიდან, თვითონაც შექამა და მშობლებსაც
აჭამა, ისე, რომ არ უთხრა საიდან ჰქონდა მოპოვებული. აქ ინასკე-
ბა ინტრიგის კვანძი, რომელიც შემდეგში სამსონისა და ფილისტი-
მელთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაიზრდება, მაგრამ
დანარჩენ ისტორიას ჩვენთვის უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა¹².

თუ ამ ბიბლიური სიუჟეტიდან შევხედავთ ჩრდილოეთისა და
დასავლეთის ფასადებზე მოთავსებულ რელიეფებზე გამოსახულ
სცენას, უნდა დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს სწორედ სამსონისა და
ლომის ბრძოლასთან და არა ბიბლიური დავითის, ანტიკური მითო-
ლოგიური ჰერაკლეს, სომხური ლეგენდარული მპერის ან
ისტორიული სმბატ ბაგრატიუნის ლომთან¹³ შერკინებასთან. ამის
მოწმობაა გმირის ცდა, ხახა დაუღოს მხეცს¹⁴ და განსაკუთრე-

¹² მსაჯულთა, XIII—XIV.

¹³ იხ. Себеос, стр. 51.

¹⁴ მართალია, სამსონმა ლომი „კვეთებით“ (ძირს დახეთქებით) მოკლა და ხა-
ხაზე არ გაუხეცია, მაგრამ ატენის რელიეფების ავტორი, უეჭველია, აერთიანებს ლომ-
თან დაკავშირებული სიუჟეტის ორ პერიოდს: მოკვლისა და მოკლული ლომის ხა-
ხიდან თაფლის გოლის გამოღებისა.


ბიბლიაში ლომებთან უიარალო ორთაბრძოლთ ცნობილია დავით წინასწარ-
მეტყველიც. მართლაც, აღთმარის ქვრის ეკლესიის, ფასადზე გამოსახულ ასეთი ში-
ნაარსის სცენას ვაკეთებული აქვს წარწერა — „დავით წინასწარმეტყველი“ (Ор-
бел и, Сочинения, I, таб. XXI, 2). ი. ორბელი თვლის, რომ რელიეფზე გამო-
სახულია არა დავით წინასწარმეტყველი, არამედ დავით სასუნელის მამა, ლეგენდა-
რული მპერი. მკვლევარი, მიუხედავად წარწერის პირდაპირი ჩვენებისა, დავითს
უარყოფს შემდეგი არგუმენტებით: 1. რელიეფი არ არის მოთავსებული იქ, სადაც
საულისა და დავითის რელიეფებია დაჭეუებული. 2. დავითი ლომებს ფაფრით იჭერ-
და და არა ლაშებით, როგორც ეს რელიეფზეა გამოსახული. ი. ორბელის მეორე არ-
გუმენტის შეცდომის, წყაროა მის მიერ ციტირებული ბიბლიის ტექსტის რუსული
თარგმანი: «...когда бывало, приходил лев или медведь, и уносил овцу из стада:
то гнался за ним, и нападал на него, и отнимал из пасти его; а если он бросал-
ся на меня, то я брал его за космы и поражал его и умертвлял его...» (იქვე,
გვ. 109). ქართულ ვერსიაში კი ვკითხულობთ: „... და ოდესცა მოვიდოდა ლომი, და
ანუ დათვი და წარიტაცებდეს სმწყსოთაგან მამისა ჩემისა ერთსა (საცხოვართაგან),
მეცა ლეჴანა ზრსსა ჴაწრდოდი, და დავაქუნებდმი მას, და გამოუხმდი პირით მისით,

ბით კი, „ვენახოვანის“ სიმბოლური გამოსახულება¹⁵ ორივე რელიეფზე.

II. დასავლეთის ფასადის ჩრდილოეთის კუთხეში, ცოკოლადან მეექვსე წყობაში ჩასმულია რელიეფი ორი ბიბლიური სცენით: სამსონის ბრძოლა ლომთან და ამბაკუმ წინასწარმეტყველის გადაფრენა ანგელოზის მიერ ხაროში მყოფ დანიელ წინასწარმეტყველ-



სურ. 6.



სურ. 7.

თან საკვებით სავსე კალათით ხელში¹⁶. სამსონის მარცხნივ, ზევიდან ქვევით, ამოკვეთილია სომხური ასომთავრული (ერკათაგირ) გრაფემებით *UU*- (სურ. 6. ტაბ. 3) მარცვალი ($S=16 \times 5.5$). ხოლო ამბაკუმის ქვეშ, იმავე წესით, *UW*- (ამ-) მარცვალი ($S=6 \times 13$)

და თუ წინა აღმდგებოდა, მაშინ შეუპყრობდი სასასა მისსა და განვლუჯდი და მოეკუდინებდი მას“ (1 მეფეთა, XVII, 34—35). ანალოგიური ვითარებაა სხვა ენებზე თარგმანებშიც, ხოლო სპეციალურ ენციკლოპედიებში ასევეა აღწერილი დავითის ბრძოლა ლომთან (იხ. Hall's Dictionary, p. 92).

¹⁵ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ გამოსახულებებს კავშირი არა აქვთ რელიეფის სიუჟეტთან (იხ. А б р а м и ш в и л и, Два стронгелыных периода, стр. 40).

¹⁶ დანიელის სიუჟეტში ანგელოზისა და ამბაკუმის თემა სომხურ ქანდაკებაში გვხვდება მხოლოდ აღთმარის რელიეფზე (X ს.). იხ. О р б е л и, Памятники, таб. XXIII; Ա գ ա բ յ ա ն, Վսոյ միջնադարսն..., էջ 91. პ. უეაროვა მეორე სიუჟეტს სხვაგვარად შიფრავდა და უწოდებდა: «Явление Ангела Захарию» (Материалы, стр. 150).

(სურ. 7, ტაბ. 3) პირველს *სსაშაი*-ად (სამსონ) კითხულობენ, ზოლო მეორეს — *სსა[რსკიჩი]*-ად (ამბაკუმ)¹⁷.

პალეოგრაფიულად მნიშვნელოვანი განსხვავება განხილული ორი რელიეფის წარწერებს შორის არის *ს* (ა) გრაფემის მოხაზულობაში, რომელიც თოდოსას რელიეფის წარწერისაგან განსხვავებით დასავლეთის ფასადის რელიეფზე შიდა ხაზით არის მოცემული¹⁸. რადგან ამ ორი რელიეფის სტილისტურ, სიუჟეტურ და პალეოგრაფიულ¹⁹ სინქრონულობაში ეჭვი არ არის, უნდა დავასკვნათ: ატენის სიონის სომხური მონუმენტური წარწერების სახით ზაქმე გვაქვს სომხური დამწერლობის განვითარების ისეთ პერიოდთან, როდესაც *ს* (ა) გრაფემას ოსტატების ერთი ჯგუფიც კი ხან შიდა ხაზის გარეშე წერდა, ხან კი — შიდა ხაზით. ასეთი ვითარება *ხ* ს-ზე ადრე მოსალოდნელი არ არის.

სულ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ატენის სიონის დასავლეთის ფასადის რელიეფი, რომელზედაც ანგელოზი-სა და ამბაკუმის სიუჟეტია გამოსახული, „ძველის ძირითად ნაგებობას“ არ ეკუთვნის, თავის ადგილზე არ არის და უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე ტაძარი²⁰. ამავე მოსაზრებას მისი ავტორი (ლ. აზაბიანი) სხვაგანაც იმეორებს, მაგრამ ახლა უკვე ერთი რელიეფის შესახებ კი არ ლაპარაკობს, არამედ „რელიეფების ერთი ნაწილი“ აქვს მხედველობაში: „გ. ჩუბინაშვილი ვერც კი ხედავს იმ ფაქტს, რომ რელიეფები (ეგების ქტიტორთა რელიეფების გარდა, რომლებიც უფრო გვიანი ხანისაა) არ არიან თავის თავდაპირველ ადგილზე და მდგომარეობაში, და რომ მათგან ერთი ნაწილი უფრო ძველი დროის ნაგებობას ეკუთვნის“²¹.

¹⁷ Ч у б и н а ш в и л и, Памятники, стр. 171; М е л и х о в с к и е. VII դարու... , էջ 5; 5. კონდაკოვი (Русские древности, стр. 48) და პ. უვაროვა (Материалы, стр. 148) ქარაგით დაწერილ *სსრქსსსსს*-ს („აბრაჰამ“) კითხულობენ.

¹⁸ *ს* (ა) გრაფემის შიდა ხაზი კარგად ჩანს *სსა[რსკიჩი]*-ში და სრულიად გამკრალია *სსა[შაი]*-ში, რომელიც სერიოზულად არის დაზიანებული. მოსალოდნელი კია, რომ ამ რელიეფზე ორგანვე ერთნაირად იქნებოდა დაწერილი, რასაც მხარს უნდა უჭერდეს პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებული ფოტო (Материалы, стр. 132). *სსა[შაი]*-ის *ს* გრაფემას შვერილიც განსხვავებული აქვს — ძლიერ დაქანებული, თითქმის ვერტიკალური, მაგრამ ეს თავისებურება შედეგია ოსტატის ქანდაკებით შეზღუდულობისა.

¹⁹ მაგ. შვერილების დაახლოებით ერთნაირი, სოლისებური მოყვანილობა.

²⁰ *ს* კ ი ა ქ ა ნ ი, *ქსაი ქიქნაიქსაი*..., էჯ 81—82.

²¹ იქვე, გვ. 82—83.

ლ. აზაბიანის აზრი ჩვენი სიტყვებით უფრო ნათლად რომ ჩამოვყალიბოთ, მივიღებთ შემდეგს: ატენის სიონზე არის რელიეფების სამი ჯგუფი — ტაძარზე უფრო ხნიერი, VII ს-მდელი რელიეფები (ამათი წარმომადგენელია ამბაკუმის სიუჟეტური რელიეფი), ტაძრის თანადროული (VII ს) რელიეფები (ავტორი არაფერს ამბობს, რომლები უნდა ვიგულისხმოთ მათ შორის) და გვიანი ხანის (VII ს-ის შემდეგ) რელიეფები, რომლებიც რესტავრაციის შედეგად მოხვდნენ ტაძრის კედლებზე (ქტიტორთა გამოსახულებები).

ლ. აზაბიანს მხედველობიდან გამორჩა, რომ ამბაკუმის სიუჟეტური ფილაზე, როგორც ზემოთ უკვე ნათქვამია, გამოსახულია სამსონისა და ლომის ორთაბრძოლა. რაც უნდა დიდი ფანტაზია გამოიჩინო, ამ ორ რელიეფს ერთმანეთისაგან ვერ დააცილებ, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ოსტატს მათ ამოკვეთას ვერ მიაწერ. იმდენად კანონზომიერად არის განაწილებული ქვაზე გამოსახულებები და მათი წარწერები. მაგრამ ასეთივე ორსიუჟეტური რელიეფი, როგორც ზემოთ ვნახეთ, გვაქვს ჩრდილოეთის ფასადზეც, რომელზედაც იგივე სამსონისა და ლომის ბრძოლაა გამოსახული ლუკიანეს სასწაულთან ერთად. მაშასადამე, ორსიუჟეტური რელიეფების გაკეთების იდეა სინქრონულია. გარდა ამისა, აბსოლუტურად იდენტურია ქანდაკების სტილი, ლომთან ბრძოლის სცენის კომპოზიცია და წარწერების გრაფიკა, რაც ერთ მოქანდაკეს თუ არა, ერთდროულად და ერთმანეთის გვერდით მომუშავე მოქანდაკეებს მაინც გვაგვარაუდებინებს. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ლ. აზაბიანი ატენის სიონის რელიეფებიდან „ერთ ნაწილს“ ტაძარზე ადრინდელი ხანით ათარიღებს, მეტი გზა არა აქვს, მათ შორის თოდოსას ხელმოწერილი რელიეფიც უნდა იგულისხმოს (თუ კი, რა თქმა უნდა, მას იგი მხედველობიდან საერთოდ არ გამორჩა). ამის შემდეგ, არა გვაქვს უფლება არ დავასკვნათ, რომ ტაძრის სამხრეთის ფასადზე მოთავსებული ქტიტორული წარწერაც, რომელშიც თოდოსაკი თავს ძეგლის მშენებლად აცხადებს, „თავის ადგილას არ არის“ და „უფრო ძველი დროის ნაგებობას ეკუთვნის“.

ლ. აზაბიანის მოსაზრება იმ მხრივ არის მართალი, რომ ამბაკუმის სიუჟეტური რელიეფი მართლაც თავის ადგილას არ არის და არც ატენის სიონის მშენებლობის თანადროულია, მაგრამ „უფრო ძველი დროის ნაგებობას“ კი არ ეკუთვნის, არამედ რესტავრაციის პერიოდისას.

საკვებით სწორია ლ. აზაბიანი, როდესაც ატენის სიონის, ე. წ.. ქტიტორთა რელიეფებს ტაძართან შედარებით გვიანი ხანით ათა-

რილებს, მაგრამ ეს სწორი მოსაზრება სრულიად ვერ ეგუება მის დანარჩენ შეხედულებებს. საქმე ის არის, რომ ქტიტორთა რელიეფების ერთი ნაწილი, რომლებიც ორი ქვისაგან შედგება, მარკირებულია სომხური გრაფემებით (დაწვრილებით ქვემოთ). სომხური გრაფემები გვაქვს იმ რელიეფებზეც, რომლებიც მკვლევარმა ატენის სიონზე აღრინდელად მიიჩნია. სომხური ქტიტორული წარწერა გვაქვს სამხრეთის ფასადზე, რომელსაც, უეჭველია, ლ. აზაბიანი ძეგლის აგების სინქრონულად თვლის. უკვე მხოლოდ ამ ფაქტს, თავი რომ დავანებოთ განსახილველი რელიეფების სრულ სტილისტურ ერთიანობას, უნდა გაეჩინა ექვი მკვლევარისათვის თავისი დებულების სისწორეში. ყველა ეს წარწერა და გრაფემა მშენებელ ოსტატებს ეკუთვნის, ერთნაირ პალეოგრაფიულ დონეს უჩვენებს და მათი სინქრონულობა დღესავით ცხადია. მაშასადამე, ქტიტორთა რელიეფების გვიანდლობაში დარწმუნებულ ლ. აზაბიანს დღეს თუ ხვალ მოუწევს დაიჭროს დანარჩენი სომხური წარწერების მქონე რელიეფებისა და თვითონ ქტიტორული წარწერის გვიანდლობაც. ძეგლის სინქრონულ რელიეფებს თუ ეძებს იგი, უნდა მოიძიოს იმ რელიეფებს შორის, რომლებსაც წარწერები არა აქვს და სტილისტურადაც თვალშისაცემად განსხვავდება სომხური წარწერების მქონეთაგან (მაგ., ნადირობის სცენა და ირმები წყაროსთან).

III. გუმბათის ყელის აღმოსავლეთის ფასადის ცენტრალურ წახნაგზე, სარკმლის თავზე, მოთავსებულია რელიეფი, რომელზეც გამოსახულია წმიდანის წინაშე მუხლმოყრილი საერო პირი. რელიეფის მარცხენა კიდეზე ზემოდან ქვემოთ ხუთ სტრიქონში ($S=27 \times 40$) განაწილებულია სომხური ასომთავრული წარწერა — **ԳՐԻԳՈՐ ԴԱՊՍ** (გრიგორ დაპს) (სურ. 8, ტაბ. 4).

სამეცნიერო ლიტერატურაში გრიგორ დაპსი მიჩნეული იყო თოდოსაკის თანაშემწედ სიონის აგებაში²² და ზოგი მკვლევარი გრიგორს გუმბათის აგებას მიაწერდა²³. ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ გრიგორი არის თოდოსაკის თანაშემწე სარესტავრაციო სამუშაოებში²⁴. რას ნიშნავს ზედწოდება *Դապս* (დაპს), ახ-


²² Чубинашвили, Памятники, стр. 71; Меліքіսեդ-բեկ, VII դարის..., էვ 5; Անասյան, Աճճճճճճճճճ..., V, 320; Բարխուդարյան 6, Միջնադարյան..., էვ 30.

²³ Меліքіսեդ-բեկ, VII դարის..., էვ 5.

²⁴ Абрамишвили, Два строчительных периода, стр. 47, 55.

სწილი არ არის და ჩვენთვისაც ჯერჯერობით უცნობი რჩება მისი მნიშვნელობა²⁵.

გრიგორ დაპსის წარწერის გრაფიკა, მიუხედავად იმისა, რომ საერთო მანერით მრგლოვანი ასომთავრულია (*ციცირაბჱ ხრქა-*



სურ. 8.

შაყტი), მაინც იჩენს ერთგვარ მიდრეკილებას კუთხოვანი (სწორი) ასომთავრულისაკენ (*იიღაჟიბ ხრქაშაყტი*). ამ შთაბეჭდილებას განსაკუთრებით ♀ (პ) გრაფემა ტოვებს. ასეთი საერთო ტენდენცია მის VII ს-ზე უფრო გვიანდელი ხანით დათარიღების სასარგებლოდ ლაპარაკობს. განსაკუთრებით საინტერესოა ♀ (გ) გრაფემის მოხაზულობა, რომლის მარჯვენა შვერილი უშუალოდ არ აგრძელებს მარცხნიდან მორკალულ თავს, როგორც ეს აღრინდელ ძეგლებში

²⁵ შესაძლოა, ამიტომ არც ახსენებს პრ. აპარიანი თავის საკუთარი სახელების ლექსიკონში გრიგორის ზედწოდებას.

გვაქვს, არამედ ბუნს ცოტა უფრო ქვემოთ უერთდება. საყურად-
ღებოა, რომ ეს გრაფემა ატენის სიონის რელიეფებზე სამჯერ
გვხვდება და სამჯერვე ამნაირად არის გამოყვანილი²⁶. **U** (ა) გრა-
ფემა შიდა ხაზით არის დაწერილი, ოღონდ შვერილი აქვს ოდნავ
ზევით აზიდული პორიზონტალიდან, რაც მას განასხვავებს ატენის
კედლებზე ამოკვეთილი სხვა იდენტური გრაფემებისაგან. ეს თა-
ვისებურება, შესაძლოა, გამოწვეულია გრაფემების განაწილებით:
მომდევნო **U** (ს) გრაფემა აღვილს არა ტოვებს **U**-ს დახრილი შვე-
რილისთვის.

გრიგორ დაპსის წარწერისათვის დამახასიათებელია ისეთივე
სოლისებრი შვერილები, როგორიც გვხვდება სიონის ყველა რე-
ლიეფზე და არა გვაქვს მხოლოდ თოდოსაყის ქტიტორულ წარწე-
რაში.

გრიგორ დაპსის რელიეფის ზედა მარცხენა კიდის საკმაოდ
დიდი ნაწილი ჩამოჰრილია მოქანდაკის მიერ მანამდე, სანამ იგი
წარწერას გააკეთებდა. ამას აშკარად მოწმობს წარწერის გრაფე-
მათა განაწილება ქვაზე. ასეთი აუცილებლობის წინაშე
სკულპტორი შეიძლება დაამდგარიყო მხო-
ლოდ სარესტავრაციო სამუშაოების წარმოე-
ბის პირობებში, როდესაც იგი ცდილობდა
ახალი ფილები ძველი პერანგის ნაშთისათ-
ვის მოერგო და სრულიად გაუგებარია პირ-
ველმშენებლობისათვის, როდესაც პერანგის
ქვების გამოთლა პირველად ხდება. ამდენად, ეს
ფორმალური მომენტიც, სხვა მონაცემებთან ერთად, გვაპარაუდე-
ბინებს, რომ გრიგორ დაპსი ატენის სიონის მშენებლობის მეორე
ეტაპის მოღვაწეა.

IV. ე. წ. რესტავრაციის პერიოდის რელიეფებზე ამოკვეთილია,
აგრეთვე, ცალკეული სომხური გრაფემები. ლ. მელიქსეთ-ბეგმა სამ-
ხრეთის ფასადის რელიეფზე ამოიკითხა **U** (ა), ხოლო აღმოსავლეთი-
სა და დასავლეთისაზე — **Y** (გ) გრაფემები. ეს გრაფემები მან მი-
იჩნია სომეხი ოსტატების ინიციალებად და დაუკავშირა ინტერიერ-
ში სამხრეთის აფსიდის აღმოსავლეთ კედელზე ამოკვეთილ სომხურ
სახელებს: **Ահարონ** (აპარონ) და **Գիორ** (გიორგ). ამის შემდეგ უკ-
ვე მკვლევარმა შესაძლებლად ჩათვალა ეჩვენებინა, თუ როგორ

²⁶ გრიგორ დაპსის წარწერის ფოტო 1968 წლის მდგომარეობას ასახავს. წარწე-
რის პირველი **Y** (გ) გრაფემა დღეს ჩამოტეხილია.

იყო სამუშაოები განაწილებული სომეხ ოსტატებს შორის: თოდოსაკი — საერთო ხელმძღვანელი და საფუძვლის ჩამყრელი, გრიგორ დასი — გუმბათის ამგები, აპარონი — სამხრეთის კედლის მშენებელი, გიორგი — აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების მშენებელი²⁷. ს. ბარხუდარიანმა ლ. მელიქსეთ-ბეგის იდენტიფიკაცია იმდენად უქველად მიიჩნია, რომ ატენის სიონის მონაცემების საფუძველზე ზოგადი დასკვნაც კი გამოიტანა: ასოებით გამოხატული ოსტატთა ნიშნები საერთოდ ოსტატების ინიციალებს აღნიშნავენ²⁸.

სამწუხაროდ, ლ. მელიქსეთ-ბეგის დასკვნები დამყარებულია მცდარ და არასაკმარის ფაქტიურ მონაცემებზე. საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთის ფასადის ცენტრალური წახნაგის შუა რელიეფზე ამოკვეთილია არა **Գ** (2) გრაფემა, არამედ **Դ** (დ) და **Գ** (გ) გრაფემა აქ საერთოდ არა გვხვდება. გარდა ამისა, იმავე აღმოსავლეთის ფასადის ცენტრალური წახნაგის მარჯვენა რელიეფზე გვაქვს, აგრეთვე, **Բ** (ბ) გრაფემა. თუ ლ. მელიქსეთ-ბეგისა და ს. ბარხუდარიანის პოზიციასზე დავდგებოდით, უნდა გვევარაუდა, რომ აღმოსავლეთის კედელს აშენებდნენ სომეხი ოსტატები, რომელთა სახელებიც იწყებოდა **Բ** (ბ) და **Դ** (დ) გრაფემებით. მართალია, **Ահարონ** (აპარონ) და **Գիორգ** (გიორგ) სახელების ინიციალები შემთხვევით დაემთხვა სამხრეთისა და დასავლეთის რელიეფებზე გამოსახულ **Ա** (ა) და **Գ** (გ) გრაფემებს, მაგრამ **Բ** (ბ) და **Դ** (დ) ასოებისთვის უკვე არსად აღარა გვაქვს შესატყვისი სახელები. გარდა ამისა, ფანტაზიის დიდი დაძაბვის შემთხვევაშიც კი, ძნელია წარმოიდგინო, რომ თოდოსაკის ბრიგადა ასე ანბანზე გაწყობილი (**Ա, Բ, Գ, Դ** — ა, ბ, გ, დ) ინიციალების მქონე სახელების ოსტატებისგან შედგებოდა.

ლ. მელიქსეთ-ბეგსა და ს. ბარხუდარიანს მხედველობიდან გამორჩათ, აგრეთვე, რომ სომხური გრაფემები ამოკვეთილია მხოლოდ იმ რელიეფებზე, რომლებიც ორი ქვისაგან შედგება. ორივეზე ამოკვეთილია ერთი და იგივე გრაფემა (**Ա, Ա, Բ, Բ, Գ, Գ, Դ, Դ**), ცხადია, ქვების ერთმანეთთან სწორად მოსარგებად. რათა კედელზე მომუშავე ოსტატებმა **Ա** (ა) ფილა არ მოარგონ **Բ** (ბ)-ს და ა. შ. ამასთანავე, ერთგან **Ա** (ა) გრაფემა ქვედა ფილაზე ამოყირავებულადაც კი არის ამოჭრილი (ტაბ. 5). ცხადია, ამის გამკეთებელს ფიქრადაც


²⁷ Մ Ե Լ Ի Խ Ի Կ Ե Բ Ի Կ Ե Կ. VII դարու..., էջ 4-5.

²⁸ Բ Ե Կ Լ Ի Կ Ե Կ Ե Կ Ե Կ Ե Կ. Միջնադարյան..., էջ 30, 214.

არა ჰქონდა თავისი სახელის უკვდავყოფა შთამომავლობის წინაშე.

ამრიგად, სავსებით აშკარაა, რომ მართალია გ. აბრამიშვილის ვარაუდი: სომხური გრაფემები რელიეფებზე გამოიყენებოდა ქვების მარკირებისათვის და აღნიშნავდა არა ოსტატების ინიციალებს, არამედ რიცხვით ნიშნებს (II—1, F—2, G—3, H—4)²⁹.

სამხრეთის ფასადის დასავლეთის ნიშაში მოთავსებულ რელიეფზე გამოსახულ U (ა) გრაფემებს (სურ. 9, ტაბ. 5) არა აქვთ ძველი (X ს-დელი) წარწერებისათვის დამახასიათებელი შიდა ხაზი და ამით ემსგავსებიან ჩრდილოეთის ფასადის რელიეფზე თოდოსას ხელრთვას. ამავე დროს მათი შვერილები თითქმის იდენტურია დასავლეთის რელიეფის (სამსონისა და ამბაკუმის გამოსახულებით) წარწერების U (ა) და U (მ) გრაფემების სოლისებრი შვერი-



სურ. 9.

ლებსა, ხოლო U-ს მარჯვენა ბუნი ორივე რელიეფზე ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე მარცხენა (სამხრეთის ფასადის რელიეფის ქვედა ფილის U-ს პირიქით, მარცხენა ბუნი აქვს მაღალი). ყველა ეს მომენტი, ერთად აღებული, მოწმობს, რომ სამივე რელიეფი ერთდროულად არის შესრულებული და წარწერებიც ერთმანეთის სინქრონულია (შდრ. სურ. 4, 5, 6; ტაბ. 2, 3).


დასავლეთის ფასადის ქტიტორული რელიეფის ქვედა ფილის G (გ) გრაფემა, ზედა თითქმის გადარეცხილია (სურ. 11), იმდენად ჰგავს გრიგორ დაპსის ავტოგრაფის იმავე გრაფემას, რომ შეიძლება განჩნდეს ცდუნება ორივე რელიეფის ერთი ავტორისათვის მიწერილსა. ასეთ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს აღნიშნული რელიეფების სტილისტური მსგავსება (შდრ. სურ. 8, 11; ტაბ. 4, 7).

აღმოსავლეთი ფასადის შვერილის ჩრდილოეთის წახნაგის სარკმლის თავსართზე ამოკვეთილი Z (ზ) გრაფემა (სურ. 13, ტაბ. 9) პალეოგრაფიული ტაბულების მიხედვით, IX ს-ზე აღრინდელი არ შეიძლება იყოს, და ზუსტად ემთხვევა X ს-ის ნიმუშებს³⁰.

²⁹ А б р а м и ш в и л и, Два строительных периода, էջ 46—47.

³⁰ Դ ա փ ա դ ա ռ յ ա ն, Հայկական..., էջ 86, ტაბ. 5; Ա բ բ ա հ ա մ յ ա ն.


აღმოსავლეთის ფასადის *ა* (ბ) და *ა* (დ) გრაფემების (სურ. 10, 12, ტაბ. 6, 8) პალეოგრაფიული დახასიათებისათვის არა გვაქვს საკმარისი მონაცემები.



სურ. 10.



სურ. 11



სურ. 12.



სურ. 13.

აკიე ვიქ... ლ 80 –81. ფსაღზე ოსტატთა ნიშნების ანბანურ რიგს აკლია ს (ე) გრაფემა. იგი ან უკეე დაკარგულია, ან ჩვენ გამოგერჩა ქეგლის ამ თვალსაზრისით შესწავლისას.

პერბიუმ პრკასანის ძის წარწერა

დასავლეთის ფასადის ცენტრალურ წახნაგზე, ცოკოლიდან მესამე წყობის მეორე კვადრზე, ამოკვეთილია ($S=29 \times 26$) შემდეგი სომხური, ასომთავრულნარევი ნუსხურით შესრულებული წარწერა (სურ. 14, ტაბ. 10)¹:

ჯგუჯსა 49 ღეჩი 15
 ღეჩი 15 15 15 15 15 15 15 15 15 15
 15 15 15 15 15 15 15 15 15 15
 15 15 15 15 15 15 15 15 15 15
 15 15 15 15 15 15 15 15 15 15
 15 15 15 15 15 15 15 15 15 15
 15 15 15 15 15 15 15 15 15 15
 15 15 15 15 15 15 15 15 15 15

სურ. 14.

¹ წარწერის არსებობის შესახებ ცნობისათვის იხ. ბ ა რ ნ ა ე ე ლ ი, ატენის სოონის წარწერები, გვ. 61.

1. † *ყაყა ხა ვხრეჩიომ*
2. *ხრასაანა ირეჩი ირ*
3. *ყაყა კარყაჲ აჲ ზკარ*
4. *ჩჲა ირ რარყრაოთ აჩქსაყა*
5. *ვ ქაყაღორნ თქქნჩქი ქრა*
6. *ვ ხო არაჲლ ხღ ყა... ლო იჩქ*
7. *ჩქყსღ კაღაღ იჩქ (?)*

ქარაგმის გახსნით წარწერა შეიძლება ასე გაიშიფროს:

- | | | |
|------|--|--|
| 1. † | <i>ყაყა ხა ვხრეჩიომ</i> | † ეს მე, გერგიუმ |
| 2. | <i>ხრასაანა ირეჩი ირ</i> | ერჰასანის ძე. ვინც ამას |
| 3. | <i>ყაყა კარყაჲ მ(ათობი)ჩქსკარ</i> | კითხულობს, ლ(მრთ)ის |
| 4. | <i>ჩჲა [ჩქჲსეღ.ჲ]: ირ რარყრაოთ</i>
<i>აჩქსაყა</i> | მქანდაკებული [მოიხსენეთ].
ბარგრატ აფხაზთა მეფე როცა |
| 5. | <i>ვ ქაყაღორნ თქქნჩქი ქრა</i> | დედოფალს ქართველთა შე- |
| 6. | <i>ვ ხო-არაჲლ ხღ ყა... ლო იჩქ</i> | ეღაჲა და [სატახტო] (?) ოფლ- |
| 7. | <i>ჩქყსღ კაღაღ იჩქ (?)</i> | იცხე დაიკაჲა... |

1. გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერა არ არის საზეიმო, საჯაროდ წასაკითხი. იგი ამოჭრილია არქაიზაციის გარეშე, ალბათ უფრო გრაფიკთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, ცხადია, ავტოგრაფია და ასახავს მაშინდელი სომეხი წერა-კითხვის მცოდნე პირის ორდინალურ ხელწერას, თუ საწერი მასალის თავისებურებასაც გავითვალისწინებთ.

გერგიუმის წარწერა შესრულებულია ოთხ ხაზში დაწერილი ნუსხურით, რომელშიც შერეულია რამდენიმე კუთხოვანი ასომთავრული (*Ⲁ, Ⲟ, Ⲡ*) ან ნუსხურზე გარდამავალი (*Ⲙ, Ⲛ*) გრაფემა. თვალშისაცემია ერთსა და იმავე გრაფემათა მოხაზულობებს შორის ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვანი განსხვავება, რომ მათი იდენტიფიკაციაჲ კი ძნელდება (შდრ. *ⲥ, ⲑ, ⲛ, ⲥ, ⲗ*). *ⲗ* გრაფემა, ერთი გამოწაკლისის გარდა, ნუსხურით არის დაწერილი. მხოლოდ წარწერის პირველსავე სიტყვაში (*ყაყა*) მოცემულია იგი კუთხოვანი მთავრულისა და ნუსხურის იმდენად უნიკალური ნაერთით, რომ მის მსგავს ფიგურას კრიპტოგრაფებში თუ შევხვდებით².

გერგიუმის წარწერისათვის ლიგატურები იშვიათია. იგი მხოლოდ ორჯერ გვხვდება: მე-5 სტრიქონის *ⲗⲗ* დეფთინგი და მე-6

² შდრ. *ⲕⲣⲏⲁⲛⲁⲓⲛ, ჰაიიე ვქრ... ლე 243.*

სტრიქონის *სს* (და) კავშირი, რომელშიც *ა* ორიგინალურად არის ჩამოკიდებული *სს*-ს მარჯვენა შვერილზე. ორივე შემთხვევაში ლიგატურაში გამოყენებულია ნუსხური *ა*; თუ სხვა ორ შემთხვევაში (1 სტრიქონი — *ჩსრრჩომ* და მე-7 სტრიქონი — *სსსსს*) გამოყენებულია იმავე გრაფემის მთავრული სახეობა.

ვინაიდან გერგიუმის წარწერა ფაქტიურად თარიღიანია, ამასთანავე საინტერესო და მრავალფეროვან გრაფიკულ ფორმებს გვიჩვენებს, აქვე ვაქვეყნებთ თვითელი გრაფემის ყველა მონახაზს ანბანური რიგის მიხედვით (სურ. 15).

ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
გ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ
დ	დ	დ	დ	დ	დ	დ	დ	დ	დ	დ
ე	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე
ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ
ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ
თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ
ი	ი	ი	ი	ი	ი	ი	ი	ი	ი	ი
კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ
ო	ო	ო	ო	ო	ო	ო	ო	ო	ო	ო
პ	პ	პ	პ	პ	პ	პ	პ	პ	პ	პ
ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ
რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ
ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს
შ	შ	შ	შ	შ	შ	შ	შ	შ	შ	შ
ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ
ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც
ძ	ძ	ძ	ძ	ძ	ძ	ძ	ძ	ძ	ძ	ძ
წ	წ	წ	წ	წ	წ	წ	წ	წ	წ	წ
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ
ყ	ყ	ყ	ყ	ყ	ყ	ყ	ყ	ყ	ყ	ყ
ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
პ	პ	პ	პ	პ	პ	პ	პ	პ	პ	პ

სურ. 15.

2. წარწერა საყურადღებოა ენობრივი თვალსაზრისითაც. იგი არ არის ტრაფარეტული და ხელოვნურად არქაიზებული. ამიტომ დაცული აქვს რამდენიმე საშუალო სომხურისათვის დამახასიათებელი დიალექტური ფორმა: dat.-gen. sing. *თქქინქ* (გრამ. *თქქინჯ* < *თქქინ* „ქალბატონი“)³, aor. pass. III, sing. *არაქ* < *აარაქ* (< *აანისქ* < *აანაოქ*). საყურადღებოა, რომ *აა* დიფთონგი სხვა სიტყვაში (*კააკა* < *აანისქ* ქონება, პყრობა) ინახავს გრამარის ფორმას⁴. არანაკლებ მნიშვნელოვანია სინტაქსური ნეოლოგიზმი, რომელიც შეიქმნევა ჩვენს წარწერაში: კავშირებითი ნაცვალსახელი *ორ* (რომელიც) აქ გამოყენებულია იმ მნიშვნელობით, რომელიც მას მიენიჭა საშუალო და ახალ სომხურში — „როდესაც“⁵. ამრიგად, გერგიუმ ერპასანის ძის წარწერაში საქმე გვაქვს გრამარიდან საშუალო სომხურზე გარდამავალ ენობრივ სიტუაციასთან.

გერგიუმის წარწერაში ყურადღებას იქცევს რამდენიმე ფონეტიკური მოვლენა. ასე მაგალითად, ბაგრატ აფხაზთა მეფის სახელი დაწერილია ზედმეტი *რ* (რ)-ით. ანალოგიური შემთხვევა დადასტურებულია შნპერის საფლავის ქვის 1261 წლით დათარიღებულ წარწერაში — *ჟარაქი* (ვარსილ) < *ჟაარქი* (ვასილ)⁶. ტომონიმი „უფლისციხე“ მოცემულია *ნიქციხს* (ოფლიცხე) ფორმით. ძნელი სათქმელია, *ა* > *ი* (უ > ო) საშუალო სომხურის ფონეტიკური (თუ გრაფიკული?) თავისებურების გამოვლენა⁷, თუ ქართულისათვის დამახასიათებელი უ > ო გრაფიკული მონაცვლეობის შედეგი. რაც შეეხება ბოლოს წინა მარცვალში *ჩ*-ს რედუქციას. ეს უკვე საშუალო სომხურის ფონეტიკური მოვლენაა, რომელიც რედუქციას

³ საშუალო სომხურისათვის დამახასიათებელია სწრაფი ბრუნვათა ფორმების ნიველირებისკენ, რასაც მოჰყვა -ქ ტიპის ბრუნების ვაბატონება (იხ. *ღ, ა, ე, ო, უ, ქ, ა, ნ, შიქინ ჩაქეჩენი*, ლ. 21). მართალია, *ქინ*, *იქქინ* ტიპის არასწორი ბრუნების სიტყვები არ გაქვენენ ამ გზას და თვითონ გაერთიანეს თავის ჯგუფში (dat.-gen. -იჯ) სხვა სახელებიც (*მ ნ ა ო ქ ა ნ*, *ქიქაქაოარ ქერაქანიქიქინ*, III, ლ. 541; *ში ო ლ ა ქ ა ძ ე*, ახალი სომხური... გვ. 24—25), მაგრამ საწყის პერიოდში ეს მეტოქეობის გარეშე არ მოხდებოდა. წინამდებარე წარწერა, ჩანს, სწორედ ასეთ პერიოდს და ასეთ დიალექტს ასახავს.

⁴ *მ ა რ ე ა ო ქ ა ნ*, *ჯაქეჩენი სანსანი*..., ლ. 28—29.

⁵ შტრ. *М а р р, К датировке*..., стр. 67.

⁶ *ჩიქან*, III, № 137, ტაბ. XIII, 46; *მ ო ა ე ო ქ ა ნ*, *ქიქაქანი*..., ლ. 352; *ღ ა ე ო ქ ა ნ*, *შიქინ ჩაქეჩენი*, ლ. 226—227.

⁷ შტრ. *ჩიქეჩენი (ჯორჯენა) < ჩიქეჩენი (ჯერჯენა) და მისთ.*, იხ. *მ ა ე ო ქ ა ნ*, *ქიქაქანი*..., ლ. 146—147.

უცხო საკუთარ სახელებშიც არ ერიდება⁸. ანალოგიურად შევიდა სომხურში მეორე ასეთივე აგებულების ქართული ტოპონიმი -- ახალციხე *Ախալցխ* (ახალციხე).

წარწერის მე-6 სტრიქონში ამოტეხილია ქვა და აღარ იკითხება: სიტყვა, რომელიც „უფლისციხეს“ უძღვის წინ და, საფიქრებელია, მისი მსაზღვრელია. დარჩენილია მხოლოდ სიტყვის პირველი *ჟა-*მარცვალნი, რომლის მომდევნო ხაზის ნაშთი შეიძლება იყო *რ-*ს ან *ა-*ს (შდრ. მე-2 სტრიქონში *სერასან*) ბუნი, ხოლო ბოლო გრაფემა *ა-*ს ან *ა-*ს (შდრ. მე-4 სტრიქონში *ჩარყრას*) ფრაგმენტი. ასეთი მონაცემებით საძიებელ სიტყვას მცირე ალბათობით აღვადგენთ როგორც *ჟარანჩა-*ს (სატახტო), რაც შინაარსით ტექსტს კარგად უდგება, მაგრამ საეჭვოა ლაკუნაში ოთხი გრაფემის ჩატევა.

8. წარწერა უთარილა. შეიძლებოდა თარიღად მიგვეჩინა ბოლო ორი გრაფემა *მრ* (?). მაშინ მივიღებდით $551/2 + 720 = 1261/2$ წელს. მაგრამ ასეთ დათარიღებას, პირველ რიგში, ტექსტის შინაარსი გამორიცხავს. ამას გარდა, არა ვართ დარწმუნებული, რომ მეორე გრაფემა არის *ჩ* (ი) და არა *რ* (რ), ხოლო *რ* კი თარიღისათვის შეუფერებელ ციფრებს (700 და 5000) და მათ განლაგებას იძლევა. უფრო სავარაუდოა, რომ საქმე გვექონდეს *რ* ნაცვალსახელთან, ხოლო წარწერა დაუმთავრებლად მივიჩნით, რის ანალოგიურ შემთხვევა-საც სომხურ ეპიგრაფიკაში ბევრს შევხვდებით.

ყოველივე ამის მიუხედავად, გერგიუმ ერპასანის ძის წარწერა მასში მოხსენიებული პირებისა და ისტორიული სიტუაციის მეოხებით საკმაოდ ზუსტად თარიღდება. „მატიანე ქართლისაჲს“ წყალობით ჩვენთვის დღეს კარგად არის ცნობილი ბაგრატ III აფხაზეთა მეფის (978—1014) მიერ უფლისციხის დაკავების ისტორია⁹.

975 წლიდან ქართლს სამი განმგებელი ჰყავდა: მცირეწლოვანი ბაგრატი და მისი მშობლები — ქართველთა მეფე გურგენი და დედოფალი გუარანდუხტი. 978 წელს ბაგრატი აფხაზეთში (დას. საქართველო) გამეფდა, ხოლო ქართლის განმგებლად გუარანდუხტი დარჩა, რეზიდენციით უფლისციხეში. აფხაზეთის საქმეთა მოწესრიგებას ბაგრატი გამეფებიდან ორი წლის შემდეგ (980 წ.) შეუდგა¹⁰.

⁸ შდრ. *Տիգրան* (ტენის) < *Տիգրան* (ტენის), *Դրդուր* (გრგორ), *Դրիգուր* (გრიგორ). იხ. *Արևիկ* ს. *Վիսակ*... էջ 123.

⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 274—277.

¹⁰ ქრონოლოგიისათვის იხ. *ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი*, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 124—125. ვახუშტი ბაგრატიონი ბაგრატი III-ის აფხაზეთში გამეფებას 985 წლით ათარიღებს. იხ. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 138.

წყაროს მიხედვით, მან ქვეყნის განგება იწყო ისე, როგორც მისი პაპა გიორგი განაგებდა და ქცევით თავის გამზრდელს დავით კურაპალატს დაემსგავსა. მისი ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება იყო ყოფილი მეფის თეოდორე უსინათლოს ტაოში გაგზავნა და აფხაზეთში ზურგის მომაგრება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საქმიანობაში კიდევ ორი წელი მინც გაივლიდა.

აფხაზეთის საქმეთა მოწესრიგების შემდეგ ბაგრატი აღმოსავლეთში გადმოვიდა, „რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი“. ქართლის აზნაურებს, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდნენ გუარანდუხტს. არ ექაზნიკათ ძლიერი ხელისუფლის გამოჩენა და ქავთარ ტბელის მეთაურობით „მეიგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისისა“. ბაგრატ მეფემ დაამარცხა აზნაურები, „აღილო“ დედისაგან უფლისციხე, დაჰყო „დღენი“ ქართლში, „განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი“, თან წაიყვანა გუარანდუხტ დედოფალი და დაბრუნდა ქუთაისს. აქ მას უკვე საბოლოოდ მოუწესრიგებია „ყოველი საქმე აფხაზეთისა“.

„ამას შინა გარდაჯდეს წელიწადნი რაოდენნიმე“ — განაგრძობს მემათიანე და გულისხმობს 980 წლის შემდეგ მომხდარ ამბებს (ბაგრატის მიერ აფხაზეთში ზურგის მომაგრება, უფლისციხის დაკაეება, აფხაზეთის საქმეთა სრულად მოწესრიგება), რადგან უკანასკნელ თარიღად მას ეს წელი ჰქონდა დასახელებული¹¹.

როდესაც გავიდა „წელიწადნი რაოდენნიმე“, ბაგრატ აფხაზეთა მეფემ ილაშქრა რატი კლდეკარის ერისთავის დასამორჩილებლად, რასაც შედეგად დავით კურაპალატთან შეჯახება მოჰყვა. ამ უკანასკნელი ფაქტის თარიღი კი ასოლიკის მიხედვით 988 წელია¹². მაშასადამე, „წელიწადნი რაოდენნიმე“ გულისხმობს ზუსტად რვა წელს. 980—988 წლები არის ბაგრატ აფხაზეთა მეფის მიერ უფლისციხის დაკაეების ზედა და ქვედა საზღვრები. უფლისციხის დაკაეებას წინ უძღოდა და უკან სდევდა ბაგრატის საქმიანობა საკუთრივ აფხაზეთში, რომელიც ამავე რეაწლიან ქრონოლოგიურ ფარგლებში თავსდება. თუ აფხაზეთის მეფეს თავისი შინა საქმეების მოსაწესრიგებლად (მეტოქე მეფის თავიდან მოცილება, ყველა „ურჩის“ შეცვლა „ერთ-

¹¹ ისტორიკოსი ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ასე ფარდობითად. ერთმანეთზე მიყოლებით, ათარიღებს: „ვითარ გარდაჯდა ამას შინა წელიწადი ორი“, „ამას შინა გარდაჯდეს წელიწადნი რაოდენნიმე“, „კუალად ვითარ გარდაჯდეს ამას შინა ეამნი რაოდენნიმე“ და ა. შ.

¹² *Устои ханства Сакуни х. х.* № 252—253; იხ. აგრეთვე, *ქ ა ვ ა ხ ი - შ ე ი ლ ი*, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 127.

გულითა და მისანდობელით“) ორ-ორი წლის ვადას მაინც მივცემთ, მაშინ უფლისციხის დაკავება 982—986 წლების ფარგლებში მომხდარ ფაქტად უნდა ჩავთვალოთ¹³. მემათიანის თხრობა კი ისეთია, რომ ჩვენ უფრო ქვედა საზღვრისკენ ვიხრებით და 982 წლის ახლო ხანებით განვსაზღვრავთ.

4. გერგიუმ ერპასანის ძის წარწერა ქართული წყაროთმცოდნეობისათვის მეტად ღირებული აღმოჩნდა: დადასტურდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, რომელიც „მატიანე ქართლისაჲს“ სახელს ატარებს, ფაქტების სიზუსტის თვალსაზრისით, წუნი არ დაედება. უფლისციხის დაკავება ბაგრატ აფხაზთა მეფის მიერ დღეს უკვე ისტორიულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ წარწერის მნიშვნელობა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის საკითხების შესასწავლად ამით არ ამოიწურება.

„მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, ბაგრატ მეფის ქართლში გადმოსვლის ვითარება ასეთია: ქვეყანას განაგებს გუარანდუხტ დედოფალი. მაგრამ ქართლის აზნაურები მას არ ემორჩილებიან. ბაგრატი განიზრახავს, „რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი“. ქართლის აზნაურები წინ აღუდგებიან გზაზე მდგარ აფხაზთა მეფეს, მაგრამ ბრძოლაში მარცხდებიან. უკვე ამ ეპიზოდმა უნდა დაბადოს მკითხველში ეკვი. რაშია საქმე? ბაგრატი მოდის ქვეყანაში, რომელსაც დედამისი განაგებს და მოდის დიდი ლაშქრით („აღუხახა სპათა თჳსთა“). მაშასადამე, მან იცის, რომ ომი გარდაუვალა! რა როლს ასრულებდა ამ კონფლიქტში ბაგრატის დედა, გუარანდუხტ დედოფალი? მემათიანე ცდილობს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას, რომ ბაგრატსა და ქართლის აზნაურთა შორის კონფლიქტი დედოფლის ნების გარეშე მოხდა¹⁴, მაგრამ კონფლიქტის შედეგები თავისთავად ლაპარაკობენ: ბაგრატმა „აღიღო“ დედისაგან უფლისციხე და აფხაზეთში გაბრუნებულმა თვითონ დედოფალიც ქუთაისს გაიყოლია.

¹³ შტრ. შოშიაშვილი და ცისკარიშვილი, სოფელ დოდოთის..., გვ. 94, შენ. 2.

¹⁴ ისტორიკოსი მთელი თხზულების მანძილზე ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ დავით კურაპალატსა, გურგენ ქართველთა მეფეს, გუარანდუხტ დედოფალსა და ბაგრატ აფხაზთა მეფეს შორის სრული თანხმობა სუფევს. ყველა კონფლიქტს იგი ჩქმალავს ან რაიმე არაარსებითი მიზეზებით ხსნის. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის ეს ცდა, ვფიქრობთ, სწორად იქნა შემჩნეული ბოლო ხანებში ქართულ ისტორიოგრაფიაში. იხ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს..., გვ. 63—64.

მემატინის სურვილის მიუხედავად, ძნელია მკითხველს ეპკი არ დაებალოს, რომ ქართლის აზნაურთა წინააღდგომა ბაგრატიანადმი გუარანდუხტ დედოფლის გარეშე არ მომხდარა. ატენის სიონის სომხურმა წარწერამ, ვფიქრობთ, ეს კავშირი ქართლის დედოფალსა და ფეოდალებს შორის ნათელი გახადა: „ბაგრატ აფხაზთა მეფე ქართლის დედოფალს შეედავა და უფლისციხე დაიკავა“. საყურადღებოა, აგრეთვე, რომ გერგიუმის წარწერაში გუარანდუხტს „ქართველთა დედოფალი“ ეწოდება. ჩვენ კი მას აქამდე ვიცნობდით მხოლოდ როგორც დედოფალს. ჩანს, იმ ოთხიოდე წლის მანძილზე, როცა ბაგრატი აფხაზეთში იმყოფებოდა, გუარანდუხტს ქართლში დიდი უფლება მოუპოვებია და თვითონაც „ქართველთა დედოფლის“ ტიტული მიუღია. ახლა უკვე გასაგებია, რატომ გადმოვიდა აფხაზეთიდან ბაგრატ მეფე თავიდანვე დიდი ჯარით, რატომ ჩამოართვა „ქართველთა დედოფალს“ უფლისციხე და, ფაქტიურად, ექსორიაჰყო იგი. მაინც უნდა ხაზი გაესვას, რომ წარწერის გამოთქმა *ხო-არაჲ* (< *ხო-არა-არა*) კონფლიქტში იარაღის გამოყენებას არ გულისხმობს¹⁵. როგორც ჩანს, ამგვარი კონფლიქტი ქვეთარ ტბელთან და მის მომხრეებთან შეჯახებად გაფორმდა მაშინდელი საზოგადოების თვალში და ეს მხარე წამოსწია წინა პლანზე „მატიანეს“ ავტორმაც. ის კი მაინც არ დაიშალა, რომ დედა და შვილი საქართველოს ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციისათვის მებრძოლი ძალების საპირისპირო ბანაკებში აღმოჩნდნენ.

5. წარწერის ავტორი თავის თავს გერგიუმ ერჰასანის ძეს უწოდებს. ასეთი პირი სხვა წყაროებით ჩვენთვის უცნობია. სომხურ ანთროპონიმებში საერთოდ არ ჩანს ამგვარი სახელები, თუმცა მათ სტრუქტურაში საკმაოდ გავრცელებული სახელები მონაწილეობენ: *ზხრე* (< *ზხარე*) უძველესი დროიდან გვხვდება¹⁶, ხოლო

¹⁵ *ხო-არაჲ*. ცალკე აღებული. შეიძლებოდა *ხო-არა-არა*-ად (თან წაყვანა) გაგვეაზრებინა და ისტორიულ ფაქტს არც მაშინ დავცილებდით (ბაგრატ აფხაზთა მეფემ ქართლის დედოფალი თან წაიყვანა და... უფლისციხე დაიკავა), მაგრამ ამაში ხელს გვიშლის მრც. ბრუნვაში დაყენებული სიტყვა *ხო-არა-არა* (დედოფალს).

¹⁶ ძველ სომხურ ტექსტებში გვხვდება *ზხრე* (გეორგ), *ზხრე* (ვერგ), *ზიორე* (გორგ), *ზიორე* (გეორგვეს), *ზიორე* (ვიორგის) (იხ. *სა-არ-არა-არა*, *სა-არ-არა-არა-არა*... I. ტვ 455), ხოლო ატენის წარწერებში — *ზიორე* (გეორგ)-იც. *ზიორე* (გეორგ)-ს ბოლო *რ* (მ) ასო აძლევს სომხურისათვის უცნაურ სახეს. *რ* (მ) გრაფემა კი *ს* (ს) გრაფემისაგან განსხვავდება მხოლოდ მარჯვნივ გაზიდული პორიზონტალური ხაზით წარწერაში ეს ხაზი მკაფიოდ არის გამოხატული, თორემ მას შემთხვევითად თუ ჩათვლიდათ, მივიღებდით სომხური ტრადიციისათვის მისაღებ ანთროპონიმს — *ზხრე* (< *ზხარე*).

ჯაჰან არაბულიდან მომდინარეობს და დამოწმებულია IX ს-დან¹⁷.

6. წარწერაში მითითებულია გერგიუმ ერპასანის ძის ხელობაც — *სასობიჲ სკარქჲ*, რაც ჩვენ „ღმრთის მქანდაკებელად“ ვთარგმნეთ. ძველი სომხური ენის ლექსიკონების მიხედვით ზმნა *სკარქჲ* (ნკარელ) აღნიშნავს როგორც „ხატვას“, ისე „ძერწვას“ (გამოქანდაკებას, სახეების ამოკვეთას)¹⁸. შესაბამისად, *სკარქჲ* (ნკარნი) ძველ სომხეთში შეიძლება მხატვარიც ყოფილიყო და მოქანდაკეც (ან ორივე ერთად). მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს ოსტატთან, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ატენის სიონის ფრესკებით მოხატვაში ან რელიეფებით შემკობაში (თუ ორივეში ერთად).

ვფიქრობთ, გერგიუმის ფერმწერ ოსტატად მიჩნევა შეუძლებელია. ჯერ ერთი, გასაზიარებელი ჩანს ატენის სიონის ფრესკებით მოხატვის XI საუკუნით დათარიღება¹⁹; მეორეც, წარწერა ისეთ ადგილზეა შესრულებული, რომ მისი ამომკვეთის ინტერირის გაფორმებასთან დაკავშირება ნაძალადევი იქნებოდა.

თანამედროვე სომხურში *სკარქჲ* მხოლოდ „მხატვარს“ აღნიშნავს და არა „მოქანდაკეს“. არც ძველი სომხური ენის ლექსიკონებშია დამოწმებული ჩვენ მიერ ლოგიკურად ნავარაუდები მისი მეორე მნიშვნელობა. ამიტომ მეტი სიზუსტისათვის საჭირო ხდება სომხური და ქართული „ბიბლიების“ ჩვენებათა დამოწმება. სომხურ „ბიბლიაში“ ტერმინი *სკარქჲ* მხოლოდ ერთხელ გვხვდება:

*„...և სათონ ցრխათნა փայտից և ցչինողս գირბև
ի տონ տხათն, և Կնկարիչս և ցնարտարս և ցճարակփս
քարանց գծև փայտ և քարս տչևակս, կազմև
գրևցևկ տան տևան“:*

(*ე. թագ. ժբ. 12*)

ქართული „ბიბლიის“ უძველეს რედაქციებში (ხელნ. ინსტ. A—51, S—643) იმავე ციტატაში *სკარქჲ*-ის ადგილზე გვაქვს „გამოქანდაკებელი“.

¹⁷ Ա Տ Ա Ղ Յ Ա Ն. ԱՆՃՆԱՆՈՆՆԵՐԻ... էջ 51.

¹⁸ ՆՈՐ ԲԱՐԳԻՐԲ. II. էջ 429.

¹⁹ ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღებასთან დაკავშირებული პოლემიკისათვის იხ. А м и р а н а ш в и л и, История грузинского искусства, стр. 185; შ მ ე რ ლ ი ნ გ ი, ატენის სიონის მხატვრობის...; ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის მხატვრობის...; მისივე, ატენის სიონის წარწერები. გვ. 6—7; А м и р а н а ш в и л и, История грузинской... стр. 97—98; ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, შენიშვნები...

„...და მისცეს ხუროთა მათ ძელთაჲსა, მაშენებელთა მათ სახლისა მის უფლისაჲთა და გამოქანდაკებელთა და გამოქუეთელთა ქვისათა სასყიდლად ძელისა და ქვათა გამოქუერულთა აღსაგებელად ბედეკისა სახლისა მის უფლისაჲთა“²⁰.

ამრიგად, სომხური *ხაკარჩ* შეგვიძლია გადმოვიღოთ ძველი ქართული ტერმინებით — „გამოქანდაკებელი“, „ქანდაკებელი“ (მოქანდაკე).

დღემდე შესწავლილი იყო სომეხ მოქანდაკეთა 139 წარწერა. ამ წარწერებში ისინი სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებიან: *ყბიი* (გწოლ), *ყირბიი* (გორწოლ), *ყაყაიი* (კაზმოლ), *ყაყჩი* (კაზმიჩ), *ხაკარჩ* (ნკარიჩ), *ხაკარიი* (ნკაროლ), *ჯსნიი* (შინოლ), *ჩირსნიი* (პორინოლ), *ყრჩ* (გრიჩ), *ჟარყირბ* (ქარგორწ), *ქარყახი* (ვარდპეტ), *აქსათიი* (აშხატოლ), *ასთა* (უსტა). ამთგან 18 წარწერაში მოქანდაკე თავის თავს *ხაკარჩ* ან *ხაკარიი*-ს უწოდებს. გერგილმ ერკასანის ძის წარწერა მეცხრამეტეა და თანაც ყველაზე ადრინდელი (სამი *ხაკარჩ*-ი გვხვდება XIII—XIV სს-ში). საყურადღებოა, რომ ამ სახელებით წარწერებში უმეტესად ის ოსტატები იგულისხმებიან, რომლებიც სასულიერო წრეებს ეკუთვნიან (მღვდელი, მოძღვარი და ეპისკოპოსიცი კი)²¹.

ს. ბარხუდარაიანი, როგორც ჩანს, *ხაკარჩ*-ის თანამედროვე მნიშვნელობის (მხატვარი) გავლენით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩვეულებრივ *ხაკარჩ* აღნიშნავდა საეკლესიო პირის მიერ ქვაზე საღებავით საღმრთო სიუჟეტის გამოსახვას, რომელიც შემდეგ სხვას, საერთო ქვის ოსტატს, უნდა გამოეკეთა²². სომხური და ქართული „ბიბლიების“ მონაცემების საფუძველზე უკვე დავრწმუნდით, რომ *ხაკარჩ* „მოქანდაკეს“ აღნიშნავდა სწორედ ისეთ მშენებლობასთან დაკავშირებით, სადაც არავითარ საღმრთო სიუჟეტებზე არ არის ლაპარაკი²³.

²⁰ ოშკის ბიბლია, 4 მეფეთა. 12, 12.

²¹ იქვე, გვ. 186—187.

²² იქვე, გვ. 187.

²³ შდრ. სლავური და ძველი რუსული художник (იხ. Срезневский, Материалы, стр. 1415). შდრ. ჰაგია-სოფიას აგებასთან დაკავშირებული ლეგენდების ბერძნულ და სლავურ ვერსიებში ტერმინები *θεχνιτης*, *ο μαίσορ* (Preger, *Scriptores*, p. 90—91), художник, (Вилинский, Сказание, стр. 86) და хитрец (იქვე, გვ. 36, 41), რომლებიც კონტექსტში „არქიტექტორს“ აღ-

ვეიქრობთ, სასულიერო წრის წარმომადგენელი უნდა იყოს გერგიუმ ერპასანის ძეც, რომელიც თავის თავს *Матвеев* (ლეთის მქანდაკებელს) უწოდებს. მართლაც, გერგიუმის წარწერის ზუსტად პერპენდიკულარულად, დასავლეთი ფასადის შვერილის სარკმლის კარნიზზე, მარჯვენა ნაწილის ორნამენტში გამოქანდაკებულია მინიატურული პორტრეტი მამაკაცისა, რომელსაც ხელში ჯვარი უჭირავს (ტაბ. 11). ვეიქრობთ, ეს უნდა იყოს გერგიუმ ერპასანის ძის ავტოპორტრეტი და იგი უშუალო კავშირშია მის ავტოგრაფთან. ამიტომ ვიკავებთ თავს წარწერაში ნაკლები სიტყვის აღდგენისაგან. ყველაფერი ის, რაც ზემოთ ვთქვით, გვიბიძგებს ვარაუდისაკენ: მოქანდაკეს სურდა ეთქვა თავისი მკითხველისათვის— „ეს მე, გერგიუმ ერპასანის ძე [ვარ]“, ან კიდევ: „ეს [არის] გერგიუმ ერპასანის ძე“. ამაზე მიუთითებს თვითონ ფრაზის კონსტრუქციაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრადიციული ფორმულა ასეთი უნდა ყოფილიყო: *სა ზირქილამ სერაასანა ირქი* (შდრ. აქვე, თოდოროსის მეორე გრაფიტი). ხოლო როდესაც რაიმეზე მითითება უნდათ ხოლმე, მაშინ წინადადებას იწყებენ ჩვენებითი ნაცვალსახელით *აჟა* (ეს): *საჟა ჯ ზანჯიასი* (ეს არის განსასვენებელი...).

7. 982—986 წლებში რომ ატენის სიონის რელიეფებით შემკობაში სომეხი მოქანდაკე მონაწილეობს, დოკუმენტურად არის დადასტურებული. არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს იმაში, რომ ატენის სიონის ფასადებზე არის გერგიუმ ერპასანის ძის გამოქანდაკებული მინიმუმ ერთი რელიეფი მაინც. მაშასადამე, ატენის სიონის ერთი რელიეფი მაინც 982—986 წლებშია შესრულებული. საკმარისია ამ ფაქტის აღიარება, რომ ამავდროულად შესრულებულად მოგვიხდეს ვაღიაროთ მთელი ჯგუფი რელიეფებისა, რომელთა სრული სტილისტური იდენტურობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. მათ შორის არის ყველა სომეხურ წარწერიანი რელიეფი და ის რელიეფიც, რომელზეც არქიტექტორ თოდოსაკის (თოდოსა) ავტოგრაფია აღბეჭდილი.

ამრიგად, დოკუმენტურად დადასტურდა გ. აბრამიშვილის მი-


ნიშნავენ. ქართულ ვერსიაში მათ „მოძღვარი გლატონთაჲ“ შეესატყვისება (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, А—691, Такайшвили, Описание, I, в. I, стр. 595).

ერ ატენის სიონის მრავალმხრივი, დეტალური ანალიზის შედეგად გამოთქმული მოსაზრება: X ს-ის 80-იან წლებში ატენის სიონში მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის დროსაც იგი იმკობა სკულპტორების მიერ ახალი რელიეფებით. აღდგენისა და განახლების სამუშაოებს ხელმძღვანელობს არქიტექტორი და მოქანდაკე თოდოსაკი. მისი თანაშემწეები არიან გერგიუმ ერჰასანის ძე. გრიგორ დაპსი, აპარონ და გიორგი. ძნელი სათქმელია, მოწვეულები არიან ისინი სომხეთიდან თუ ქართლში ცხოვრობენ და მოლევაწეობენ. ეს კია, რომ ერჰასანის ძე ქართულ სინამდვილესთან ახლოს დგას. იგი კარგად არის აფხაზეთ-ქართლის განმგებელთა ტიტულატურასა და პოლიტიკურ სიტუაციებში გარკვეული, ცოცხლად ენმაურება მათ.

ოსტატთა ავტობრაფები ინტერიერში

1. სამხრეთის აფსიდის აღმოსავლეთ კალთაზე, ქვემოდან მეოთხე წყობის მარცხნიდან პირველსა და მეორე ქვაზე, ლამაზი მრგლოვანი ასომთავრულით ამოკვეთილია **ს.ჯ.ს.რ.ი.ს** (აპარონ), ხოლო კუთხოვანი და მრგლოვანი ასომთავრულით (ან იქნებ უკეთესია ითქვას: მრგლოვანიდან კუთხოვანზე გარდამავალი ასომთავრულით) — **გ.ჩ.ი.რ.გ.** (გიორგ) ანთროპონიმები ($S=26 \times 12$) (სურ. 16, ტაბ. 12).

აპარონსა და გიორგის არქიტექტორ თოდოსაკის თანამშრომელ ოსტატებად თვლიან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამეცნიერ-



სურ. 16.

რო ლიტერატურაში ატენის სიონის რელიეფებზე ქვების მარკირებისათვის ამოკვეთილ რიცხვით ნიშნებს მათ ინიციალებად მიიჩნევენ და ამის საფუძველზე აპარონს სამხრეთის კედლის აშენებას მიაწერდნენ, ხოლო გიორგის — აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. სამუშაოთა განაწილებისათვის არგუმენტაცია რომ მცდარ წანა-

მძღვრებზე იყო დაფუძნებული, ზემოთ უკვე ნაჩვენებია¹. დღეს, მეტ-ნაკლები ალბათობით, შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ აპარონი და გიორგი, ჩანს, მართლაც თოდოსაქის თანაშემწე ოსტატები არიან (ამას მოწმობს სახელების კვეთის სოლიდურობა, რაც შეიარაღებული და გაწაფული ავტორის ხელს გულისხმობს, პილიგრიმული ფორმულის უქონლობა, ქვის ფილის კაცის სიმადლეზე უფრო დაბლა მდებარეობა და ა. შ.), თუმცა კონკრეტულად რა სამუშაოებს ასრულებდნენ, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, მათ ინტერიერის პერანგის შეკეთება-შევისება ევალებოდათ, რის შესახებაც ქვემოთ იქნება ზოგი მოსაზრება წამოყენებული.

2. **ჭიორგ** (გიორგ) ანთროპონიმის სომხურისათვის თავისებური და ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმის გამო, ოსტატ გიორგის ლ. მელიქსეთ-ბეგი საქართველოში მცხოვრები სომხების წრიდან გამოსულად თვლიდა². სომხური წარწერების კორპუსის ტომების გამოქვეყნებამ შესაძლებელი გახადა მსგავსი მოსაზრებების უფრო მკაცრად შემოწმებული მონაცემებით გაკონტროლება. გამოირკვა, რომ ანთროპონიმი **ჭიორგ** (გიორგ) საკუთრივ სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ წარწერებშიც გვხვდება³. მაგრამ ახლა ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ მსგავს პოზიციებში (უმიზეზოდ) ძველ სომხურში $\text{X} > \text{H}$ ($\text{C} > \text{O}$) საერთოდ არა გვხვდება და დამოწმებულია მხოლოდ X ს-ის მეორე ნახევრიდან (პირველად ეს ფორმა დასტურდება არატესის 967 წლის წარწერაში)⁴. ერთადერთ გამონაკლისად და უძველეს მოწმობად თვლიდნენ ატენის სიონის ავტოგრაფს. ვფიქრობთ, ყველა ზემოთ მოტანილი მონაცემიდან გამომდინარეობს ერთადერთი დასკვნა: თუ **ჭიორგ** (გმორგ) $>$ **ჭიორგ** (გიორგ) არ არის ქართული ანთროპონიმის (გიორგი) გავლენის შედეგად მიღებული ფორმა, ეს მოვლენა საშუალო სომხურის თავისებურებათა რიგში უნდა იქნას განხილული. X ს-მდე მისი დადასტურება სომხურ ენაში არ არის მოსალოდნელი, თუნდაც იგი დიალექტურ ფორმად მივიჩნიოთ⁵.

3. მართალია, აპარონისა და გიორგის ავტოგრაფების მოხაზუ-

¹ იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 46—49.

² *Մեկիքսեթ-ბեգի VII դարის...* էջ 4—5.

³ *Ավագյան, Ախմակან...* էջ 112—113.

⁴ *Գիլან, III. № 354; Ավագյան, Ախմակან...* էջ 113.

⁵ *Ջր. М у р а д я н, Армянская надпись, стр. 58.*

ლობა პალეოგრაფიულად ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება, მაგრამ მათი ამოკვეთის თანადროულობაში ექვის შეტანა არ შეიძლება: ისინი ამოკვეთილია ერთსა და იმავე ქვაზე, ერთნაირი სიღრმით და, ასე ვთქვათ, „ერთი ამოსუნთქვით“.

აპარონის ავტოგრაფი VII ს-დან მოყოლებული ყველა საუკუნით შეიძლება დათარიღდეს, ხოლო გიორგის ავტოგრაფი IX—X სს-ზე აღრინდელი ვერ იქნება. ამას მოწმობს *Г* (გ) და *И* (ი) კუთხოვანი გრაფემების გამოყენება შედარებით მრგლოვანი *П* (ო) და *Р* (რ) გრაფემათა გვერდით და საერთოდ ავტოგრაფის მისწრაფება კუთხოვანებისაკენ.

კუთხოვანი და მრგლოვანი ასომთავრულის კიდევ უფრო თვალსაჩინო შერევას ვხედავთ თოდოროსის გრაფიტის ერთსა და იმავე წინადადებაში, რაც საფუძველს გადალევს წარწერების ამ ჯგუფში საერთო ტენდენცია და სინქრონია დავინახოთ.

ამრიგად, აპარონისა და გიორგის ავტოგრაფების სავარაუდო თარიღი, როგორც პალეოგრაფიის ისე ფონეტიკის მხრივ, უნდა იყოს X ს.

ოსტატთა ნიშნები ინტარიერში

U (ა): 1) სამხრეთი აფსიდის დასავლეთი პილონი, იატაკიდან მე-6 წყობა, მარჯვნიდან პირველი ქვის ფილა. 2) იქვე, მე-7 წყობა, მარჯვნიდან პირველი ქვის ფილა, 3) დასავლეთი აფსიდის ჩრდილოეთი პილონი, იატაკიდან მე-4 წყობა (სურ. 17₁, ტაბ. 13).

7 (გ): ჩრდილო-დასავლეთი კამერის ნიშის სამხრეთ-დასავლეთი კალთა, იატაკიდან მე-6 წყობა, მარცხნიდან პირველი ქვის ფილა (სურ. 17₂, ტაბ. 13).


4 (ზ): 1) დასავლეთი აფსიდის სამხრეთი პილონი, იატაკიდან მე-7 წყობა, მარცხნიდან პირველი ქვის ფილა. 2) იქვე, მე-5 წყობა, მარცხნიდან პირველი ქვის ფილა (სურ. 17₃, ტაბ. 13).

სურ. 17₁.სურ. 17₂.სურ. 17₃.

II (ო) ან **U** (ს), შესაძლოა, ქართული **II** (ლ) ან გეომეტრიული ფიგურა, სხვადასხვა პოზიციაში: 1) აღმოსავლეთი აფსიდის ჩრდილოეთი პილონისა და ბემის კუთხე, იატაკიდან მე-3 წყობა. 2) სამხრეთი აფსიდის დასავლეთი პილონი, იატაკიდან მე-4 წყობა, მარცხნიდან პირველი ქვის ფილა. 3) იქვე, მარცხნიდან მეორე ქვის ფილა. ზედა ხაზი ბათქაშით არის დაფარული. 4) დასავლეთი აფსი-

და, იატაკიდან მე-3 წყობა, მარცხნიდან მე-6 ქვის ფილა. ზედა კუთხე ბათქაშით არის დაფარული. 5) იქვე, იატაკიდან მე-5 წყობა, მარცხნიდან I ქვის ფილა. 6) დასავლეთი აფსიდა, იატაკიდან მე-3 წყობა, მარჯვნიდან I ქვის ფილა. 7) სამხრეთ-დასავლეთი კამერის კარის ჩრდილოეთის კალთა, იატაკიდან მე-4 წყობა, მარჯვნიდან პირველი ქვის ფილა. 8) სამხრეთ-აღმოსავლეთი კამერის ჩრდილოეთის კედელი, იატაკიდან მე-4 წყობა, მარცხნიდან მე-2 ქვის ფილა, მარცხენა ბუნის ნაწილი ამოტეხილია. 9) იქვე, აღმოსავლეთის კედელი, იატაკიდან მე-3 წყობა, მარჯვნიდან I ქვის ფილა. 10) იქვე, მარჯვნიდან მე-2 ქვის ფილა. 11) იქვე, დასავლეთის კედელი, იატაკიდან მე-3 წყობა, მარჯვნიდან მე-2 ქვის ფილა (სურ. 17_ა, ტაბ. 13). იქვე, მარცხნიდან პირველ ქვის ფილაზე ამოკვეთილია ქართული გრაფემა უ (დ), რაც უფლებას გვაძლევს ამ ჯგუფის ნიშნები ქართულ ასომთავრულ ი-დაც მივიჩნიოთ.

ჟ (ვ): აღმოსავლეთი აფსიდის სამხრეთის პილონის ჩრდილოეთი კალთა. საკურთხეველის იატაკიდან მე-5 წყობა (სურ. 17_ბ, ტაბ. 13).



სურ. 17_ა



სურ. 17_ბ

ინტერიერის კვადრებზე ამოკვეთილ ოსტატთა ნიშნებიდან აშკარად ასომთავრული და, ამასთან, მრგლოვანია მხოლოდ უ (ა) გრაფემა, რომელთაგან პირველი ძალიან ჰგავს, ხოლო მესამე სრულიად იდენტურია აპარონის ავტოგრაფის იმავე გრაფემებისა. ჟ (გ), ი (ო) და ჟ (ვ) შეიძლება იყოს როგორც ასომთავრული, ისევე ნუსხური, მაგრამ რომ ყველა კუთხოვანია, ეს აშკარაა. ჟ (გ) გრაფემის მოხა-

ზულობა მთლიანად ემთხვევა გიორგის ავტოგრაფის იმავე გრაფემებს (შღრ. სურ. 16, ტაბ. 12), ხოლო ლ (ვ) გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის მე-5 სტრიქონის იმავე გრაფემას გვაგონებს. ერთადერთია ჟ (ზ) გრაფემა, რომელიც ნამდვილად ნუსხური დამწერლობით არის შესრულებული: ამასთანავე, იგი ძლიერ წააგავს გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის შესატყვის გრაფემას (სურ. 14, 15; ტაბ. 10).

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები იძლევა შემდეგი დასკვნების გამოტანის უფლებას: 1. ოსტატთა ნიშნები ამოკვეთილია იმ პერიოდში, როდესაც სომხურში უკვე არსებობს მრგლოვანი ასომთავრული, კუთხოვანი ასომთავრული და ნუსხური დამწერლობა. ქვედა საზღვარი ასეთი პერიოდისათვის უნდა იყოს X საუკუნე. 2. ინტერიერის კვადრების ერთი ნაწილი დამუშავებულია ქვის ოსტატების — აპარონისა და გიორგის მიერ.

ოსტატთა ნიშნების შესრულების ზედა თარიღის განსაზღვრა შედარებით უფრო ადვილია. ზოგი მათგანი ნაწილობრივ დაჟარულია იმ ბათქაშით, რომელზედაც XI ს-ის მეორე ნახევარში შესრულდა ატენის სიონის ბრწყინვალე ფრესკები. მაშასადამე, აპარონსა და გიორგის ინტერიერის პერანგის შეკეთებაზე უმუშავიათ სადღაც X—XI სს-ში. ჟ (ზ) და ლ (ვ) გრაფემების დიდი სიახლოვე გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის შესაბამის გრაფემებთან გვაპარაუდებინებს, რომ ეს სამუშაოები შესრულებულია იმავე X ს-ის 80-იან წლებში, როდესაც ხდებოდა ატენის სიონის საერთო რესტავრაცია არქიტექტორ თოდოსაკის ხელმძღვანელობით. ასეთი ვარაუდი ა priori-ც უნდა გაჩენილიყო. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, ისეთი დიდი სარესტავრაციო სამუშაო, რომელიც თოდოსაკმა ჩაატარა ატენში, სრულიად არ შეხებოდა ინტერიერს¹. როგორც ჩანს, ზოგი დაზიანებული კვადრი ახლად გათლილით შეიცვალა და ოსტატების ნიშნებით აღინიშნა ის ქვები და ადგილები, სადაც ისინი უნდა ჩასმულიყო.

¹ შღრ. Ч у б н и а ш в и л и, Памятники, стр. 45; А б р а м и ш в и л и, Два строительных периода, стр. 46.

ცილიბრიმული პრაფიტები

I. სამხრეთ-აღმოსკავლეთი კამერის შესასვლელის ჩრდილო კედელზე, იატაკიდან მეოთხე წყობის მარცხნიდან პირველ კვადრზე გარკვევით იკითხება ($S=22 \times 11$) გრაფიტი (სურ. 18, ტაბ. 14):

სსიიჟიიიჟი
 'ი' მსსს

1 სს ბიიიიიი ბ
 2 სსიი.სს ს.ს

სურ. 18

ქარაგმის გახსნით:

1 სს ბიიიიიი, ბ-
 2 სსიი ს.(სიიიიიი)ჟ

მე, თოდოროს, მონა
 ღმრთისა.

II. იმავე კამერის ჩრდილო კედელზე, იატაკიდან მეოთხე წყობის მარცხნიდან მესამე კვადრზე ამოკაწრულია ($S=18 \times 10$) თოდოროსის მეორე გრაფიტი (სურ. 19, ტაბ. 15):

ეს იმ იტორი უსაზ
რას ავ ირყარყაჯ

შედეგად
ჯე. ზ. ზ.

სურ. :9.

- 1 სს იტორი უსაზ
- 2 რას ავ ირ ყარყაჯ
- 3 ყაყა ? შაღიშ
- 4 შ მიხეჯე:

ქარაგმის გახსნით წარწერას ასე ვკითხულობთ:

- | | |
|-----------------------------------|-------------------------|
| 1 სს იტორი უსაზ | მე, თოდოროს, მონა |
| 2 რას ს(სიოხი)ყ, ირ ყარყაჯე (sic) | ღმრთისა, ვინც წაიკითხოს |
| 3 ყაყა ? ყაყიშ | ეს ?, ლოცვებში |
| 4 შ მიხეჯე: | მომხსენეთ. |

ორივე გრაფიტი ერთი ხელით ჩანს შესრულებული და, უნდა ვიფიქროთ, ერთსა და იმავე პირს (თოდოროსს) ეკუთვნის. პირველი გრაფიტი ამოკაწრულია მოზრდილი კუთხოვანი ასომთავრულით (იღყაყიშ სრყაშაყიშ), რომლის მეორე სტრიქონის ნაწილი მრგლოვანი ასომთავრულით (იიყრაბბ სრყაშაყიშ) არის შესრულებული (U, შ), ხოლო პირველ სტრიქონში მრგლოვანია მხოლოდ U (ს) გრაფემა. მეორე გრაფიტი მთლიანად კუთხოვანი, შედარებით მცირე ზომის, ასომთავრულით არის დაწერილი, გარდა **ს** (ა) და **ქ** (ა) გრაფემისა **აყა** ლიგატურაში. ასეთი უნიკალური ნარევი მრგლოვანი და კუთხოვანი ასომთავრულისა, ერთი მხრივ, და კუთხოვანი ასომთავრულისა და ნუსხურის, მეორე მხრივ, უნდა მიგვანიშნებდეს, რომ საქმე გვაქვს სომხური დამწერლობის განვითარების სამიჯნო ეტაპთან, როდესაც თავის საყოველთაო გამოყენე-

ბას ამთავრებენ ერთი სახეობები და მწიგნობრულ ცხოვრებაში იკრება ახალი სახეობები. ყოველივე ეს და, აგრეთვე, პირველი გრაფიტის *Ա* (ა) გრაფემის სრული შიდა ხაზით დაწერა, ხოლო მეორე გრაფიტის უნიკალური მოხაზულობის *Մ* (წ) გრაფემის დიდი სიახლოვე ტეკორის 964 წლით დათარიღებული ხაჩქარის იმავე გრაფემსთან¹. გვაფიქრებინებს, რომ თოდოროსის გრაფემები პალეოგრაფიულად X ს-ის ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს.

თოდოროსის მეორე გრაფიტში *მ*-მეტობა გვხვდება *ժասայ* (*ժասայ*) და *կարդայեք* (*կարդայեք*[*ք*]) სიტყვებში. შუა საუკუნეების სომხურ წარწერებში, ხელნაწერ წიგნებსა და მათ მინაწერებში *ա* (ა) და *ո* (ო) ხმოვნების შემდეგ *չ*-ს ზედმეტი ხმარება ძალზე გავრცელებულია. ეს მოვლენა სრულიად უცნობია ძველი სომხურისათვის და მისი დასაწყისი X ს-ით თარიღდება². უფრო გაუგებარია ზედმეტი *չ* (*չ*) *կարդայեք*[*ք*] სიტყვაში *չ*-ს შემდეგ. ეს უკვე სიახლე უნდა იყოს სომხური ეპიგრაფიკისათვის, თუ საქმე არა გვაქვს *lapsus calami*-სთან და დამწერმა უნებლიეთ არ აურია *Յ* და *Մ* ერთმანეთში, ყოველ შემთხვევაში, ქვემოთ სწორად დაწერილი *իչხչեք* ამის მოწმობა უნდა იყოს. გარდა ამისა, თოდოროსს იმავე გრაფიტში სხვა შეცდომაც მოუვიდა: მან *ժասայ* სიტყვა მთლიანად დაწერა. მაგრამ ბოლო მარცვალზე ქარაგმის ნიშანი მაინც დაუსვა მომდევნო დაქარაგმებული სიტყვის მაგიერ.

საინტერესო ფონეტიკური მოვლენები დასტურდება *յաղոթս* (<*յաղաթս*) სიტყვაში: 1. *akk. pl.*-ის *-ս* (-ს-) ნიშნის შეხვედრამ ფუძისეულ *թ* (თ) ფონემასთან მოგვცა *ց* (ც). ასეთი მოვლენაც საშუალო სომხურისთვისაა დამახასიათებელი და X ს-ზე ადრინდელი ხანით ვერ დათარიღდება³. 2. *աւ* (ავ) დიფთონგი წარმოდგენილია *ո* (ო) ხმოვნით. დახურულ მარცვლებში ასეთი ცვლილების დასაწყისს, ჩვეულებრივ, X ს-ის დამდეგით⁴ ან, ირიბი მონაცემებით,

¹ შტრ. Ղ ա լ ի ա ղ ա թ յ ո ն. Հայկական գրի... էջ 46—47.

² Ա վ ա ղ յ ա ն. Վ խ մ ա կ ո ն ... էջ 357—363.

³ საუკეთესო ლიტერატურაში აღნიშნულია შემთხვევები *ուս* (ტს) > *ց* (ც). იხ. Ղ ա ղ ա թ յ ո ն. Մ ի լ խ ի ն հ ა յ ե ի ն, էջ 265; Ա կ ն ա լ կ ն ի, էջ 159; შტრ. ქართ. აოსამბტი > ცამბტი.

⁴ Ա բ թ ա հ ո մ յ ա ն, Փ ա ս ո ხ ի, ... էջ 72.

IX ს-ის დამლევით განსაზღვრავენ⁵. X—XI სს-ში *სა* > „ უკვე ხშირი მოვლენაა და იგი დადასტურებულია X ს-ის ქართული ხელნაწერის მინაწერშიც⁶. ერთგვარი მიჯნა ჩვენი გრაფიტების დაწერის ზედა საზღვრისათვის შეიძლება მოგვცეს იმ ფაქტმა, რომ დახურულ მარცვალში მოხვედრილი *სა* დიფთონგი წარმოდგენილი არ არის *o* გრაფემით, რომლის პირველი ხმარება დადასტურებულია 1007 წლით დათარიღებული ხელნაწერის მოსახსენებელში და სწორედ იმ *საიქმე* სიტყვაში, რომელსაც ახლა განვიხილავთ: *ქაიქმე ქიქმე* („ლოცვაში მომიხსენეთ“)⁷, მაგრამ XI ს-ში ამ გრაფემის გამოყენების მხოლოდ ერთეული შემთხვევები გვაქვს, ხოლო სისტემური ხმარება XIV ს-დან იწყება⁸. მაშასადამე, აღნიშნული ფონეტიკური და გრაფიკული მოვლენის საფუძველზე თოდოროსის მეორე გრაფიტის თარიღი ზოგადად შეიძლება X—XIV სს-ით განისაზღვროს, ხოლო ვიწროდ, საკმაოდ დიდი ალბათობით, X ს-ით.

რატომ დაწერა ორჯერ თითქმის ერთი და იგივე ტექსტი ერთმა და იმავე პირმა? ჯერ ერთი, რამდენიმე ანალოგიური შემთხვევა ატენის სიონის ქართულ წარწერებშიც არის დადასტურებული⁹; მეორეც, შესაძლოა, მან რაღაც საიდუმლო ჩადო მეორე გრაფიტში. ეს საიდუმლო უნდა იმალებოდეს იმ ჩვენთვის გაუგებარ ლიგატურასა თუ მონოგრამაში, რომელიც ჩაწერილია *ყაქა* და *საიქმე* სიტყვებს შორის: „ვინც წაიკითხოთ ეს, ლოცვაში მომიხსენეთ“. შესაძლოა, გულისხმობს ამ ნიშანს და არა მთლიანად წარწერას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფრაზის კონსტრუქცია უფრო ბუნებრივი იქნებოდა ასეთი ყოფილიყო: *სა ზიკირია ძაიჯა სათობი, ირ ყაქა კარჯაქე ქაიქმე ქიქმე* („ზე, თოდოროს, მონა ღმრთისა, ვინც ეს წაიკითხოთ, ლოცვაში მომიხსენეთ“).

III. გრაფიტი (S=31×21) ჩრდილოეთის აფსიდის ტრიუმფალური თაღის საყრდენი წახნაგის იატაკიდან მესამე წყობის კვადრზე (სურ. 20, ტაბ. 16):

⁵ ს. ი. ა. ე. ა. ნ. ა. ქ. ა. ს. ა. ნ. ლ. 184–190; ს. ს. ა. ს. ს. ს. ლ. 94–98.

⁶ ს. ს. ა. ს. ს. ს. 10-ე ო. ო. ო. ლ. 41.

⁷ ს. ს. ა. ს. ს. ს. მ. ს. ა. ს. ს. ს. ს. ლ. 201; ს. ს. ა. ს. ს. ს. ლ. 97.

⁸ ს. ს. ა. ს. ს. ს. ს. ლ. 114–122; ს. ს. ა. ს. ს. ს. ლ. 97.

⁹ ი. ბ. ა. რ. ა. ე. ე. ე. ე. ატენის სიონის წარწერები, გვ. 36–37.

მობდა **ლ** (ლ)-სა და **ნ** (ნ)-ს აღრევა, რაც სომხურ ეპიგრაფიკაში და-
დასტურებულია, მაგრამ მხოლოდ anlaut-ში: შდრ. *ნაყაყაყას* (ნა-
პასტაკ) > *ლაყაყაყას* (ლაპასტაკ)¹¹.

ავეტისის გრაფიტს თარიღი არა აქვს, მაგრამ მასში **შ** გრაფე-
მის გამოჩენა უკვე იმის მაუწყებელია, რომ XII (უკეთ XIV) ს-ის
შემდგომ ხანასთან გვაქვს საქმე. გვიან შუა საუკუნეებს გვაეარაუ-
დებინებს, აგრეთვე, ცალკეულ ასოთა მოხაზულობა. მაგ.: **ს** (ტ),
რ (ბ), **ა** (რ) და წარწერის ამოკაწრვა ჩამოტეხილ ქვაზე.

ავეტისის გრაფიტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური
მოვლენებიც მისი გვიანი ხანით დათარიღებისათვის იძლევა საფუძ-
ველს. ასეთებია: **ს** > **ტ** (*არჩიკა* > *არჩიტა*), რაც სომხური ენის
აღმოსავლური დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი (XIV—
XV სს-დან მწერლობაშიც ფართოდ ვრცელდება), და **სა** > **ჩა** (*ილი-*
რმსა > *ილირჩა*).

V. აღმოსავლეთის ფასადის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე,
ცოკოლიდან მე-5 წყობის მარცხნიდან მე-7 კვადრზე ამოფხაჭნი-
ლია (S=23X26) გრაფიტი, რომლის მთლიანად გაშიფრვა არ მო-
ხერხდა (სურ. 22, ტაბ. 17). ეს გრაფიტიც გვიან შუასაუკუნეებს უნ-
და ეკუთვნოდეს.

Handwritten text in Georgian script, including a large signature and several lines of text, possibly a transcription or commentary on the inscription above.

სურ. 22.

¹¹ Ա. Վ ա գ յ ա ն, Վ ի ղ ն ա կ ա ն... էջ 301—302; Бенешевич, Три
анийския надписи, стр. 26.

სომხური წარწერები და ატენის სიონის ისტორიის საკითხები

ატენის სიონის სომხური წარწერებისა და ჯვრის ტიპის საკულტო ნაგებობების შედარებითი შესწავლის საფუძველზე არმენოლოგიაში დღეისათვის შემდეგი მთავარი დებულებები ჩამოყალიბდა:

1. ატენის სიონი აგებულია სომეხი არქიტექტორის მიერ (რომელმაც მცხეთის ჯვარი ააშენა) სომხური ქალკედონური მრევლისათვის როგორც საეპისკოპოსო კათედრალი, რაც შემდეგი არგუმენტებით მტკიცდებოდა: 1) სიონის საკურთხეველში აფსიდის კედლის გასწვრივ გაკეთებულია სამხარისხიანი საჯდომი სამღვდელთათვის და საეპისკოპოსო კათედრა. 2) ატენის სიონზე სომხური წარწერები ძეგლის აგების თანადროულია, ხოლო ქართული წარწერები უფრო გვიანდელია. 3) საკურთხეველში ტაძარს აქვს სამი სარკმელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ძეგლი სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ქალკედონურია. 4) ატენის სიონს საფუძველი შეიძლება დასდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაეცა სომხეთში ავანის დიოფიზიტური საკათალიკოსო და ქალკედონიტი სომეხი ეპისკოპოსები ქართლში გადასახლდნენ. 5) ატენის სიონი მცხეთის ჯვრის ასლია იმიტომ, რომ მათ საერთო არქიტექტორი ჰყავთ და იგი ატენში იმეორებს თავის შემოქმედებას¹.

2. სულ ახლახანს გამოქვეყნდა მონოგრაფია, რომელშიც ცალკე ცალკე განხილულია კავკასიის ყველა ჯვრის ტიპის (ავტორის მიხედ-

¹ იხ. ს რ ხ მ ა ნ. VII դარღ... Е р е м я н. К вопросу...; М у р а д я н, Армянская надпись; Ղ ա փ ա ղ ա Ր յ ա ն. Պատմամատերիական դի-
տուրიւնը. ამ დებულებების ზოგი საკითხის განხილვა იხ. ზემოთ, გვ. 25 — 32.

დამატებითი ოთხი სენაკი ტაძარს მიეშენა შემდეგ, თემესტიას (ტექსტში „ტემესტიას“ — ზ. ა.) დროს VIII ს-ის მეორე ან IX ს-ის პირველ ნახევარში“.

ადვილი შესამჩნევია, რომ ზემოთ გადმოცემული ორი თვალსაზრისი ატენის სიონის შესახებ ერთმანეთს საფუძველშივე უპირისპირდება. ამიტომ ისიც კი, რაც მათ შორის ერთი შეხედვით საერთოა, ფაქტიურად ერთმანეთს უარყოფს. საერთოდ, მეორე თვალსაზრისი, შესაძლოა, იმ სიძნელეების მოხსნის წადილმა დაბადა, რომლებიც პირველ თვალსაზრისს თან სდევდა და რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა ზემოთ მსჯელობა. სამწუხაროდ, იგი თვითონ არანაკლები წინააღმდეგობების შემცველი აღმოჩნდა:

1. თუ ჭვრის მშენებლობა 626 წელს დაიწყო, ხოლო მრენის ეკლესია 639/40 წ-ს დამთავრდა, როგორ მოხდა, რომ ჭვარი მრენის მშენებლებმა ააშენეს 639/40 წლის ახლოს (მომდევნო) ხანაში? ასეთი წანამძღვრებით უფრო სამართლიანი იქნებოდა გვევარაუდა, რომ ქართლში მცხეთის ჭვრისა და სომხეთში მრენის ეკლესიის მშენებლობა ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობდა. მაგრამ მაშინ გაუგებარი გახდება, როგორ აშენებდნენ მათ ერთი და იგივე არქიტექტორი და ხელოსნები. თუ მაინცადამაინც გვიჭირს ხელის აღება საერთო არქიტექტორისა და ხელოსნების იდეაზე, ჯობდა დაგვეშვა, რომ მათ ჭერ მცხეთის ჭვარი ააშენეს (626 წელს დაიწყეს), ხოლო შემდეგ მრენის ეკლესიაც ააგეს (639/40 წ-ს დაამთავრეს): 14 წლის მანძილზე ორი ეკლესიის აშენება წარმოუდგენელი არ არის. მაგრამ, ვეჭვობთ, თ. მარუთიანი მისი წანამძღვრებიდან გამომდინარე ასეთ დასკვნაზე დაგვეთანხმოს.

2. თ. მარუთიანმა გაიმეორა ა. ერემიანის ერთი არგუმენტი ატენის სიონის სომხური მრევლისათვის აშენების შესახებ: სომხური წარწერები აღრიხდელია, ხოლო ქართული გვიანიო. ა. ერემიანს ჰქონდა ამის თქმის უფლება, რადგან ატენის სიონსა და მის სომხურ წარწერებს VII ს-ის ნიმუშებად მიიჩნევდა. თ. მარუთიანმა ქრონოლოგია რომ შეცვალა, ამ არგუმენტის გამოყენების უფლება მაშინვე დაკარგა: დღეისათვის ცნობილი უძველესი ქართული ფრესკული თარიღიანი წარწერა ატენის სიონზე 739 წლისაა, ხოლო თ. მარუთიანი ძეგლსა და, ცხადია, მასზე ამოკვეთილ სომხურ ქტიტორულ წარწერასაც VIII ს-ის მეორე ნახევრით ან IX ს-ის პირველი ნახევრით თარიღებს. ამავე საბუთით, ზედმეტია განხილვა იმავე ავტო-

რის ვრცელი მსჯელობისა იმის შესახებ, თუ ატენის სიონის მშენებლებმა როგორ მიაშენეს მცხეთის ჭვარს კუთხის სათავსოები VIII ს-ის მეორე ან IX ს-ის პირველ ნახევარში.

3. პასუხი არ არის გაცემული შემდეგ კითხვებზე: როგორ იქცა ატენის სიონი სომხურიდან ქართულ არქიტექტურაზე გარდამავალ „ხუროთმოძღვრულ ხიდად“ ან „შემაერთებელ რგოლად“, როცა საქართველოში იმავე ტიპის ძეგლები უკვე კარგა ხნის აგებული იყო?⁵ რატომ არ იქცა გარდამავალ საფეხურად მასზე 100—150 წ-ით ადრე „სომეხი არქიტექტორების მიერ აშენებული“ ჭვარი? გორის მხარეებში მოღვაწე თოდოსაკი, რომელსაც „სომხეთში არაფერი შეუქმნია“, როგორ გახდა ასეთი „შემაერთებელი რგოლის“ ავტორი, როდესაც ეს ვერ შეძლეს სომხეთიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა?

1

ატენის სიონის სომხური წარწერები მათი ანალიზის საფუძველზე წინამდებარე ნაშრომში დაყოფილია ორ ჯგუფად: X ს-ის მეორე ნახევრის და XVII—XVIII სს-სა. პირველი ჯგუფის წარწერების უმეტესობა დაკავშირებულია სარესტავრაციო სამუშაოებთან. მეორე ჯგუფის წარწერები პილიგრიმულია. ასეთი დათარიღება ხსნის ყველა არგუმენტს, რაც კი ზემოთ გადმოცემული ჰიპოთეზების დასამტკიცებლად იყო წამოყენებული სომხური წარწერებიდან ამოსვლით. ახლა საჭირო იქნება განვიხილოთ სხვა მონაცემები, რომლებიც მოხმობილია ატენის სიონის ფუნქციისა და სტატუსის გასარკვევად; შეიძლება თუ არა, ატენის სიონი მივიჩნიოთ სომხური ქალკედონური მრევლისათვის აგებულ საეპისკოპოსო კათედრალად.

1. «После упразднения Аванского халкедонского католикосата (605/7) приверженцам этого толка было предъявлено определенное требование: либо отречься и вернуться в лоно монофизитской церкви, либо покинуть Армению. Помимо некоторых намеков на это в «Книге писем» (стр. 151—152), мы располагаем прямым указанием в «Narratio de rebus Armeniae». Изгнанные епископы нашли приют не только в Тайке и в стране ромеев, но и, конечно, в близлежащей и уже халкедонитской Грузии»⁶.

⁵ ავტორს არა აქვს ცდა შეეცალოს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ქრონოლოგია, თუ ამაზე არ მიგვანიშნებს ძეგლების განხილვის თანმიმდევრობა: მცხეთის ჭვარი, ატენის სიონი, ძველი შუამთა, მარტვილი, კვეტრა.

⁶ М у р а д я н, Армянская надпись, стр. 78.

თავი რომ დავანებოთ დოკუმენტურ მონაცემებს, ერთი გარემოება მოტანილ ტექსტში მაშინვე იწვევს უხერხულობას: 605/7 წელს სომხეთიდან ქართლში ქალკედონიტი ეპისკოპოსები გამოიქცნენ. 605—609 წლებში ქართლისა და სომხეთის კათალიკოსებს შორის მიმოწერაა, რომელშიც მხარეები ცდილობენ ერთმანეთს დაუმტკიცონ, რომ მამა-პაპათა მრწამსი არ შეუცვლიათ. სომხეთის კათალიკოსის ერთადერთი არგუმენტი ამ საკითხში არის ვინმე ნესტორიანი „ხუეიკი ეპისკოპოსი“, რომელიც ქართლის კათალიკოსს შეუწყნარებია. მასასადამე, უკვე 4—5 წელია ქართლისათვის თავი შეუფარებიათ სომეხ ეპისკოპოსებს, სათანადო მრევლი გაუჩენიათ, რომლისთვისაც საეპისკოპოსოც კი დაუწყესებიათ შემდგომი, და სომხეთის პატრიარქმა ამის შესახებ არაფერი იცის. არც ქართლის კათალიკოსი ცდილობს სომეხი ეპისკოპოსების დევნა თავის სასარგებლო არგუმენტად გაიხადოს.

3. მურადიანის მსჯელობაში შეერთებულია სომხეთის ეკლესიის გაერთიანების ორი ეტაპი: აბრაამ კათალიკოსის ტახტზე ასვლის პირველი წელი, როდესაც მას ერთიანობის ხელწერილი მისცეს ყოფილმა ქალკედონიტმა სომეხმა ეპისკოპოსებმა და სამი წლის შემდეგ მომხდარი ამბავი, როდესაც იმავე კათალიკოსმა სდევნა ურჩი ეპისკოპოსები. „ეპისტოლეთა წიგნში“ პირველი ეტაპის დოკუმენტებია მოტანილი, ამიტომ მასში არავითარი „მინიშნება“ არა გვაქვს სომეხი ეპისკოპოსების ქართლში გამოქცევის შესახებ; ამიტომვე არ აისახა იგი სომეხ-ქართველთა შემდგომ მიმოწერაში, თუ კი ასეთი რამ მართლაც მოხდა. მეორე ეტაპი უკვე მიმოწერის შემდგომი ამბავია და, რა თქმა უნდა, არც ამის შესახებ გვაქვს „მინიშნება“ „ეპისტოლეთა წიგნში“.

ვნახოთ ახლა, გვაქვს თუ არა სომეხი ქალკედონიტი ეპისკოპოსების ქართლში გადმოსახლების შესახებ პირდაპირი მითითება „Narratio de rebus Armeniae“-ში.

„მაშინ მწვალებელმა აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა აიძულა იოანეს სამწყსოს ეპისკოპოსები, დაეწყევლათ ქალკედონის კრება, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცლოდნენ სომხეთის სამწყსოს. ეს უკანასკნელნი არ დაემორჩილნენ: მათგან ზოგნი ტაოში გადავიდნენ, ზოგნი რომაელთა ქვეყანაში და უცხოებაში აღესრულნენ“⁷.

⁷ Narratio § 115.

სად არის მოტანილ ტექსტში „პირდაპირი მითითება“ „ტაოსა და რომაელთა ქვეყნის“ გარდა სომეხი ეპისკოპოსების ქართლში გადმოსახლების შესახებ? იგივე ცნობა არსენი საფარულთანაც გვხვდება, მაგრამ ქართლს არც ის ახსენებს და ნათქვამი აქვს, რომ „წარვიდეს რომელნიმე ტაოს, რომელნიმე იონთა თანა“⁸. ვის. ვს და ქართლის კათალიკოს არსენი საფარულს კი, რომელიც სპეციალურ ტრაქტატს წერდა ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ, კარგად ეცოდინებოდა შუაგულ ქართლში სომეხი ეპისკოპოსების გადმოხვეწისა და აქ საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ.

ამრიგად, დოკუმენტებში არა გვაქვს არც „მინიშნება“ და არც „პირდაპირი მითითება“ VII ს-ის დასაწყისში ქართლში სომეხი ქალკედონიტების გადმოსახლების შესახებ და ყველა მოსაზრება, რაც ასეთ საფუძველზე აშენდება, დაუსაბუთებელი დარჩება.

2. რჩება მეორე საკითხი. იქნებ სომეხი ქალკედონიტები არაფერ შუაში არიან, მაგრამ ატენის სიონი მაინც იყო კათედრალური ეკლესია? ამ თვალსაზრისის მომხრეებს ერთადერთი არგუმენტი აქვთ: მღვდელთათვის დასაჯდომი ხარისხი და კათედრა საკურთხეველში. საკმარისია თუ არა ეს არგუმენტი, რომელიც ფაქტიურად დიუბუა დე მონპერესგან მომდინარეობს? ვფიქრობთ, არა. საქმე ის არის, რომ ასეთივე ხარისხი და კათედრა საკურთხეველში აქვთ მცხეთის ჯვარსა და წრომის ტაძარსაც. არც ერთი მათგანი არასოდეს კათედრალური არა ყოფილა. როგორც ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ხარისხები კათედრალების გარდა პქონიათ სხვა მნიშვნელოვან ეკლესიებსაც. ატენის სიონის ხარისხის ფუნქციასთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც. თ. მარუთიანის ვარაუდით, ასეთი ვიწრო ხარისხი, მით უმეტეს სამ რიგად, სამღვდელთა დასაჯდომად არ ივარგებდა და იგი მომღერალთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი⁹.

ქართლის საეპისკოპოსოები მთელი ფეოდალური ხანის პერიოდისათვის საკმაოდ კარგად არის ცნობილი წყაროებით. ატენის საეპისკოპოსო ან ატენელი ეპისკოპოსი არ არის მოხსენიებული არც

⁸ არსენი საფარელი, § V, XIV. იხ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაცია, გვ. 109.

⁹ И м о р ц я н, Акты, т. 154.

სათანადო სიებში და არც რომელიმე დოკუმენტში ან ნარატიულ თხზულებაშია დასახელებული. მხოლოდ 1742—1745 წლებში, როდესაც ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ იწერებოდა, აპირებდნენ, როგორც ჩანს, ატენში ახტალიდან საეპისკოპოსოს გადმოტანას:

„ატენის სამვრით არს მონასტერი, გუმბათიანი, კეთილნაშენი, და აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოსს ახტალის მაგიერ, ვინაფთვან იგი უქმ არს, და აწ არს ნიში მი-სი“¹⁰.

აი, ამ პერიოდს, როდესაც ატენი გახდა ჯერ „ნიში“ ახტალისა, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრე, უნდა უკავშირდებოდეს სომხური პილიგრიმული წარწერები ატენის სიონის კედლებზე. რა თქმა უნდა, პილიგრიმები ქალკედონიტები იქნებოდნენ, ისევე როგორც ქალკედონური იყო ახტალის საეპისკოპოსო. ვახუშტის სიცოცხლეში, როგორც ჩანს, აღნიშნული ღონისძიება არ განხორციელებულა, რადგან იგი, როგორც მომხდარი ფაქტი, არ აისახა მისი თხზულების გვიანი ხანის ხელნაწერებში. არც შემდეგში გვაქვს რაიმე ცნობა ატენის საეპისკოპოსოს შესახებ.

2

კავკასიის ქრისტიანული ტაძრების საკურთხეველში ჩვეულებრივ გვხვდება ერთი ან სამი სარკმელი. სომხური ძეგლების უმრავლესობისათვის ერთსარკმლიანი საკურთხეველია დამახასიათებელი. ცხადია, სპეციალისტების წინაშე დადგა სარკმელთა რაოდენობის ფუნქციის განსაზღვრის საკითხი: საქმე გვაქვს პრაქტიკით ნაკარნახევ არქიტექტურულ დეტალთან, თუ ხუროთმოძღვრებაში სიმბოლიკის გამოყენების შედეგთან.

თავის დროზე სტრუქტოვსკიმ და შემდეგ ნ. ტოკარსკიმაც ივარაუდეს, რომ სარკმელთა რაოდენობის გაზრდა ცალკეულ მაშინ ცნობილ ძეგლებში ეკლესიის უკეთ განათების სურვილმა გამოიწვია. ნ. ტოკარსკი ჯერ კიდევ 1923 წლის ექსპედიციის შედეგად გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ პტლნის ეკლესიის აღმოსავლეთ აფსიდისა და კუთხის სათავსოებს შორის ნიშებში შესაძლოა ოდესმე ორი სარკმელი კიდევ იყო გაჭრილი ისევე, როგორც ეს არუქში

¹⁰ ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 343.

გვაქვს¹¹. იგივე მოსაზრება მან გვიანაც გაიმეორა, სამი სარკმელი გეგმაზე ასახა და დაუმატა, რომ სამი სარკმელი საკურთხეველის გასანათებლად და კედლის მასის შესამსუბუქებლად უნდა ყოფილიყო ამოყვანილი როგორც არუქში, ისე პტლნიში¹².

განსხვავებული აზრის იყო თ. თორამანიანი. მის შეხედულებაზე. ჩანს, გავლენა მოახდინა იმ მარტივმა ფაქტორმა. რომ სომხურ არქიტექტურაში სამსარკმლიანი საკურთხეველით მხოლოდ მრენის ეკლესია ეგულებოდა. ცხადია, ძნელია წარმოიდგინო, რომ საკურთხეველის უკეთ განათების იდეა დაებადა მხოლოდ ერთი ძეგლის ხუროთმოძღვარს და მან გავრცელება ველარ აკოვა. ამიტომ თ. თორამანიანი სხვაგვარად მიუდგა ამ უნიკალურ შემთხვევას. მას გაახსენდა კონსტანტინოპოლის წმიდა სოფიის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული ერთი ლეგენდა, რომლის შინაარსიც ასე გადმოსცა:

იუსტინიანე კეისარმა-მოისურვა ჰაგია-სოფ-ას სამსარკმლიანი საკურთხეველი ჰქონოდა. კეისრის გადაწყვეტილებამ სამღვდელოებაში დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. სამი სარკმლის სასარგებლოდ საკითხი გადაწყვიტა იუსტინიანეს სიზმარმა. მას ძილში გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც აუხსნა კეისარს, რომ სამი სარკმელი სამების სიმბოლო იქნებოდა, ხოლო სარკმლებიდან შემოჭრილი ნათელი — სამების წვევების (მამა, ძე და სული წმიდა) განუყოფლობისა¹³.

როგორც ვხედავთ, თ. თორამანიანის მიხედვით, სამი სარკმელი ჰაგია-სოფიაში უკავშირდება სამების ღოგმატს, მაგრამ სომხეთში იგი, მისი აზრით, უბრალოდ წმიდა სოფიის ტაძრის მიბაძვით არის მოხვედრილი და არა ქრისტიანული სიმბოლიკის წყალობით.

თ. თორამანიანის იდეა სულ სხვა გზით განავითარა ა. ერემიანმა. მისი ყურადღება მიიპყრო რიფსიმეს ტაძრის საკურთხეველში ამოქოლილმა ორმა განაპირა სარკმელმა. ა. ერემიანის ნაშრომის გამოქვეყნებამდე ითვლებოდა, რომ რიფსიმეს ტაძრის საკურთხეველი თავდაპირველად სამსარკმლიანი იყო და შემდგომი ამოქოლეს. აღმოსავლეთის ფასადის ნიშებისა და მათში გაჭრილი სარკმლების

¹¹ Т о к а р с к и й, Предварительный отчет, стр. 344-

¹² Т о к а р с к и й, Архитектура, стр. 397.

¹³ Թ ո յ ա մ ա ն յ ա ն, Նյութեր..., էջ 297.

არქიტექტურულ-კომპოზიციური ნაკლი აღრევე შეამჩნიეს სპეციალისტებმა: სტრუვიგოვსკიმ იგი პიონერისათვის მოსალოდნელ ხარვეზად მიიჩნია¹⁴, ხოლო გ. ჩუბინაშვილმა — ხუროთმოძღვრის შეცდომად¹⁵. იგივე ხარვეზები, რა თქმა უნდა, ა. ერემიანმაც შეამჩნია, მაგრამ ორი კიდურა სარკმელი თავდაპირველი გეგმისეულად არ მიიჩნია და გვიან გაჭრილად ჩათვალა, რითაც არქიტექტორის შეცდომა რესტავრატორს მიაწერა. მაგრამ გ. ჩუბინაშვილის დასაბუთება სამი სარკმლის დედნისეულობის შესახებ მოუხსნელი დარჩა¹⁶, ამიტომ ა. ერემიანის დებულება რიფსიმეს ტაძარში დამატებითი ორი სარკმლის გვიან გაჭრის შესახებ სხვა დებულებებისათვის ამოსავალი ჯერ ვერ გახდება. მაგრამ, ვინაიდან საკითხი ასე მაინც დაისვა, მის ავტორს ახლა უკვე გასარკვევი გაუხდა, რატომ გაჭრეს დამატებით ორი სარკმელი გვიან რიფსიმეს ტაძარში და თუ გაჭრეს, რატომ ამოქოლეს შემდეგში, ან როგორია გაჭრა-ამოქოლების ქრონოლოგია.

ჯერ კიდევ თავის აღრინდელ მონოგრაფიაში რიფსიმეს ტაძრის შესახებ ა. ერემიანმა ჩამოაყალიბა შემდეგი დებულება: ბიზანტიურ არქიტექტურაში VI ს-დან საკურთხეველს აფსიდის სამი სარკმელი სამების სიმბოლოდ იქცა, გავრცელდა ყველა ქალკედონურ ეკლესიაში და სომხეთშიც მისი გავლენით მოხვდა, როგორც „სწორად ვარაუდობდა თ. თორამანიანი“. 631 წელს ეზრა კათალიკოსმა ქალკედონიტობა მიიღო და მთელი VII ს-ის მანძილზე, მცირე გამონაკლისის გარდა, სომხეთში ეს მრწამსი ბატონობდა. სავარაუდოა, რომ დამატებითი ორი სარკმელი რიფსიმეს ტაძარში გაჭრეს სწორედ ამ ხანებში ქალკედონური ეკლესიის წესების მიხედვით, რაც არ მოხდებოდა ტაძრის აგებისას, კომიტას კათალიკოსის დროს. რომელიც თავგამოდებული ანტიქალკედონიტი იყო¹⁷.

როგორც ზემოთ დავინახეთ, თ. თორამანიანმა ჰაგია-სოფიას საკურთხეველის სამი სარკმელი სამების სიმბოლოდ მიიჩნია, მაგრამ ქალკედონური მრწამსისათვის არ დაუკავშირებია. ა. ერემიანმა კი თავისი დებულების ამოსავლად სწორედ ეს მიიჩნია როგორც უკვე დამტკიცებული აქსიომა. მაშასადამე, მისი განსაზღვრა კავკასიაში სამი სარკმლის ქრონოლოგიისა და ფუნქციისა ფაქტიურად საყრ-

¹⁴ Strzykowski, Die Baukunst, II, S. 497.

¹⁵ Чубинашвили, Памятники, стр. 108.

¹⁶ ამიტომ არ არის ა. ერემიანის ვარაუდის შესახებ მსჯელობა გ. ჩუბინაშვილის მომდევნო ხანის ნაშრომში. იხ. Разыскания, стр. 25.

¹⁷ Еремян, Храм Рипсимэ, стр. 41.

დენი დებულების გარეშე აღმოჩნდა. ამის შედეგი იყო, როგორც ჩანს, რომ ამავე ავტორს 1966 წელს სპეციალური ნაშრომის გამოქვეყნება მოუხდა იმავე საკითხზე, რომელიც ადრე მან თ. თორამა-ნიანის მიერ გარკვეულად მიიჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ერემიანი საკუთხეველის სარკმელთა სიმბოლიკის შესახებ მსჯელობა თავიდან დაიწყო, მის ნაშრომში მაინც დაუსაბუთებელი დარჩა ერთ-ერთი მთავარი საყრდენი „აქსიომა“ რიფსიმეს ტაძარში აგებიდან მოკლე ხნის შემდეგ დამატებითი ორი სარკმლის გაჭრის შესახებ. ამის შედეგად მთელმა არგუმენტაციამ ლოგიკური წრის სახე მიიღო.

თავდაპირველად ა. ერემიანი შეეცადა მოეხსნა მოსაზრება სამი სარკმლის პრაქტიკული (საკუთხეველის უკეთ განათების) დანიშნულების შესახებ: 1. რატომ უნდა ყოფილიყო საკუთხეველის უკეთ განათება იმდენად სერიოზული მოტივი, რომ ტაძრის აგებიდან მცირე ხნის შემდეგ კედელი დაენგრიათ და დამატებით ორი სარკმელი გაეჭრა? 2. თუ სამი სარკმელი საკუთხეველის უკეთ გასანათებლად გამოიყენებოდა, რატომ ამოქოლეს შემდეგში ორი მათგანი რიფსიმეს ტაძარში, ან ამ იდეას რატომ აღარ იყენებდნენ შემდეგში?¹⁸

პირველ კითხვას არგუმენტის ღირებულება არა აქვს, რადგან ავტორს ჯერ არ დაუმტკიცებია, მართლა ერთსარკმლიანი იყო თუ არა რიფსიმეს ტაძრის საკუთხეველი თავდაპირველად, და თუ იყო, როდის გაჭრეს დამატებითი ორი სარკმელი. მხოლოდ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ შეიძლება დაისვას ის, ე. წ. „რიტორული კითხვა“, რომელსაც არგუმენტად იყენებს ა. ერემიანი, ისიც მხოლოდ ნაშრომის ბოლოს და — არა თავში.

ერთი შეხედვით, უფრო არსებითი არგუმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს მეორე. მართლაც, რატომ ამოქოლეს რიფსიმეს ტაძრის საკუთხეველის ორი განაპირა სარკმელი, თუ ისინი განათებისთვის იყვნენ გაჭრილი და არ ასახავდნენ ქალკედონურ დოგმატს. რომლის კვალის წაშლაც სურდათ სომხური ეკლესიის მესვეურებს? მაგრამ ასე მარჯვედ დაყენებულ საკითხზე მკვლევარს სასურველი პასუხის მიღების უფლება მხოლოდ მაშინ ექნება, როდესაც გაარკვევს, თუ რატომ ამოქოლეს გვიან ავანის ეკლესიაში ჩრდილოეთის სარკმელი¹⁹, ჩრდილოეთის ფასადის დასავლეთი სარკმელი იმავე რიფსი-

¹⁸ ს რ ხ ი ა ნ, VII դარსი..., ლ 152.

¹⁹ Ч у б и н а ш в и л и, Разыскания, табл. 5 а.

მეს ტაძარში²⁰, აღმოსავლეთის ფასადის შუა სარკმელი და ჩრდილოეთის ფასადის მარცხენა სარკმელი თარგმანჩაც-ვანქში²¹, აღმოსავლეთის ფასადის შუა სარკმელი და დასავლეთის ფასადის გვერდითი სარკმლები გაიანეს ტაძარში²², ჩრდილოეთის სარკმელი თალინში²³, ჩრდილოეთის სარკმელი ჰნე-ვანქის გუმბათის ყელში²⁴, სამხრეთი აფსიდის სარკმელი ლმბატში²⁵, დასავლეთი აფსიდის ორმაგი სარკმელი და სამხრეთის ფასადის ორმაგი სარკმელი არუქში²⁶, აღმოსავლეთის ფასადის სამხრეთი და შუა სარკმლები, დასავლეთის ორივე სარკმელი და ექვსი სარკმელი ჩრდილოეთის ფასადზე შირაკავანში²⁷, აღმოსავლეთის ფასადის შუა სარკმელი მასტარაში²⁸, დასავლეთის ფასადის ჩრდილოეთის სარკმელი, სამხრეთის ფასადის დასავლეთის სარკმელი და აღმოსავლეთის ფასადის ორივე სარკმელი არტიკში²⁹. ეს მაგალითები მხოლოდ საილუსტრაციოა და მათი უსასრულოდ გამრავლება შეიძლება. მაშასადამე, როდესაც ტაძრის ყოველ კედელზე ამოქოლილი სარკმლების აურაცხელი რაოდენობა გვაქვს, რიფსიმეს ტაძრის აღმოსავლეთის აფსიდის სარკმლების ამოქოლების ფაქტიც მათთან ერთად უნდა განვიხილოთ.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც აღნიშნულ კონტექსტში მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის: სომხური ეკლესიების სარკმლების ერთი ნაწილი გვიან ხომ სრულიად დაუხურავთ, მაგრამ კიდევ უფრო მეტი რაოდენობა იმდენად ამოუქოლავთ, რომ ტაძრების გასანათებლად სულ მცირე ხვრელებილა რჩება³⁰. რომ ასეთ შემთხვევებში დოგმატიკის შესახებ ლაპარაკი აღარ შეიძლება, ცხადი უნდა იყოს. ცხადია ისიც, რომ სომხეთის ისტორიაში ყოფილა პერიოდი, როდესაც ტაძრის ინტერიერის განათებას სწირავდნენ

²⁰ Чубинашвили, Разыскания. табл. 20а.

²¹ იქვე, ტაბ. 37ა; 38ა.

²² იქვე, ტაბ. 44ა; 28 ა, ბ, ც.

²³ იქვე, ტაბ. 77ბ.

²⁴ იქვე, ტაბ. 85ა.

²⁵ იქვე, ტაბ. 118ა.

²⁶ იქვე, ტაბ. 121ბ; 123ბ.

²⁷ იქვე, ტაბ. 145 ბ, ც; 148 ა, ბ; 149 ა, ბ; 15 ა, ბ.

²⁸ იქვე, ტაბ. 173ა.

²⁹ იქვე, ტაბ. 195ა; 197ა; 200ა, ბ.

³⁰ შდრ. ბავაჯანის სარკმლები და ა. შ. Чубинашвили, Разыскания, табл. 50а, в და ა. შ.

რაღაც უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს. შეიძლება ეს იყო მძარცველთაგან ტაძრების უკეთ დაცვის სურვილი?

სიზუსტე აკლია ა. ერემიანის მიერ დასმული კითხვის მეორე ნაწილსაც: თუ სამ სარკმელს ტაძრის საკურთხეველის უკეთ გასანათებლად აკეთებდნენ, შემდეგში რატომ აღარ იყენებდნენ ამ იდეასო. საქმე ის არის, რომ რიფსიმეს ტაძრის გარდა ავტორს თვითონ აქვს მითითებული 14 სამსარკმლიანი ეკლესია სომხეთში, რომელთაგან ვოროტანი, ვანევანი, კეჭარუიქი, ახტალა, ბგავორი, ხუჟაპავანქი, სწორედ რომ შედარებით გვიანებია¹. ამ სიას თუ დაუშვავთ იმ ძეგლებსაც, რომლებსაც სხვა ავტორები სამსარკმლიანებად თვლიან (პტლნი, აგარაკი), ასეთების რიცხვი სომხეთში არც ისე მცირე აღმოჩნდება.

აქ ჩვენ დავდევით რამდენიმე ლოგიკური კონტრკითხვის წინაშე: თუ რიფსიმეს ტაძრის საკურთხეველის სარკმლების გაკრამოქოლვა მონოფიზიტობის დიოფიზიტობით შეცვლას და კვლავ მონოფიზიტობაზე მიბრუნებას უნდა დაუეკავშიროთ, რატომ არ შეეხო იგივე ღონისძიებები სხვა ეკლესიებს? რატომ არ ამოუქოლეს ორი სარკმელი დიოფიზიტობის პერიოდში აშენებულ სამსარკმლიან ეკლესიებს შემდეგში? რატომ არ გააპრევენა სამი სარკმელი ქალკედონიტმა ეზრა კათალიკოსმა მის დროს დასრულებულ გაიანეს ტაძარში, რომელიც სულ რაღაც ნახევარი კილომეტრით არის დაშორებული რიფსიმეს ეკლესიას? განა უცნაური არ არის, რომ მთელი ისტორია სომხეთში დოგმატური პოზიციების ცვლილებებისა აისახა მხოლოდ იმ ტაძარში, რომელიც არც საკათალიკოსო კათედრალი იყო და არც საეპისკოპოსო?

როგორც ვხედავთ, ლოგიკური არგუმენტებით ასეთი რთული საკითხები ვერ გადაწყდება. განვიხილოთ ფაქტობრივი მასალა.

ა. ერემიანი თავისი დებულების დასამტკიცებლად საკითხის ყველა მხარეს განიხილავს: წყაროთმცოდნეობითს, დოგმატურს და საკუთრივ არქიტექტურულს (უფრო ზუსტად, ერთ და სამსარკმლიანი საკურთხეველის მქონე ტაძრების განაწილება ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში).

1. წყაროთმცოდნეობითი არგუმენტაციისათვის ერთადერთი საყრდენია თ. თორამანიანის მიერ მოტანილი ლეგენდა ჰავია-სოფის საკურთხეველის იგების შესახებ, რომლის მთავარი ნაკლია „უპასპორტობა“: თ. თორამანიანი არ უთითებს წყაროზე და არც

¹ ს. რ. ხ. ა. ნ., VII դარჩი... ლ. 155.

ა. ერემიანი ეძებს მას, თუმცა იგი უკვე გაკვრით აღარ ეხება ამ საკითხს და კავკასიოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებსაც უკავშირებს. ასეთი დამოკიდებულება წყაროთმცოდნეობითი არგუმენტაციისადმი მით უფრო უცნაურია მაშინ, როდესაც მკვლევარი თვითონ აცხადებს: ლეგენდაში ისეა არეული სინამდვილე და ზღაპარი, რომელს უნდა მიანიჭო უპირატესობა, აღარ იციო³².

წმიდა სოფიის ტაძრის აგებასთან დაკავშირებული ლეგენდები კარგა ხანია ცნობილია სამეცნიერო საზოგადოებისათვის. გამოქვეყნებულია მათი ბერძნული, ლათინური, სპარსული, თურქული, სლავური, რუსული და ქართული რედაქციები. ლეგენდა, ჩვენ რომ ამჟამად გვიანტერესებს, შედის ნაშრომში, რომელიც ადრე კოდინუსს მიეწერებოდა, ხოლო ამ საუკუნის დასაწყისიდან ანონიმურად თვლიან ან ფსევდო-კოდინუსის თხზულებას უწოდებენ. მისი სრული სათაურია Διήγησις περί τῆς οἰκοδομῆς τῆς ἁγίας Σοφίας („უწყება წმიდა სოფიის აგების შესახებ“). ბერძნული ვერსია, ლათინურთან ერთად, კრიტიკულად შეისწავლა თ. პრეგერმა და იყარაუდა, რომ „უწყების“ ძირითადი ქარგა IX ს-ში უნდა შემდგარიყო, ხოლო შემდეგ იგი რამდენჯერმე ჩანს გადაკეთებული. ლეგენდის ბერძნული რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის ქართული თარგმანი ასეთია:

Ἐν δὲ τῷ μέλλειν τὸ ἄγιον
 φισαστήριον τελειῶσαι καὶ διὰ
 τῶν στοῶν φωταγωγήται τῶν
 διὰ τῶν ἰσλῶν ὄντων προετέταξε
 τὸν μηχανικόν, ἕνα γένηται ὁ
 μῦθος μονοκάμαρος· καὶ πάλιν
 μεταμεληθεὶς προετέταξεν γένεσθαι
 ὀψωτον μετὰ ὅσο ἀψίδων διὰ
 τὸ μὴ δέξασθαι· βάρους, ὅτι ἐκεῖ-
 σε κριώματα οὐκ ἔθιντο, ὥσπερ
 ἐν τῷ νάρθηκι καὶ ἐπὶ τὰς πλε-
 υράς τοῦ ναοῦ. Ἦν δὲ λοιπῶν
 τεχνιτῶν ἀντιλέγοντων, ὡς μία
 καμάρια φωτίζει τὸ φισαστήριον,
 καὶ ἀδημονοῦντος τοῦ πρωτοσι-

როდესაც აპირებდნენ წმიდა საკურთხეველის დასრულებას და სტობებიდან სინათლის შეყვანას მინების საშუალებით, მეფემ უბრძანა ოსტატს, რომ მკაქსი (მუნაქაჯი) ერთკამარიანი გაეკეთებინა. შემდეგ ინანა და ბრძანა გაეკეთებინათ ორი განათება ორი აფსიდიდან, რომ ბევრი არ გამოუსულიყო, რადგან იქ ბჭე არ დაიდგმებოდა, ზუსტად ისე, როგორც ნართეკსა და ნავის ფრთებში (გვერდებში). დანარჩენი ოსტატები კი ეკამათებოდნენ, რომ ერთი კამარაც განათებს საკურთხეველ-

³² ნ. ს. ქ. ა. ნ. VII դაროი... էვ 154.

κοδόμου τὸ τί ἂν ποιήσῃ, ὅτι
 ποτὲ μὲν λέγει ὁ βασιλεὺς μίαν
 ἀψίδα γενέσθαι, ἄλλοτε δὲ δύο,
 καὶ ἐστῶτος αὐτοῦ ἔκεισε καὶ
 ἀκηθιδωντος, ἡμέρᾳ δ' ὥρᾳ ε'
 ἐφάνη αὐτῷ ἄγγελος Κυρίου ἐν
 ὁμοίωματι Ἰουστინιανου μετὰ βᾶ-
 σιλικῆς ἐσθῆτος καὶ ἐρυστρῶν
 πεδῖλον καὶ φησι τῷ τεχνίτη·
 'Μὲλω ἴνα μοι ποιήσῃς τρίφωτον
 τὸν μύακα καὶ διὰ τριῶν στοῶν
 εἰς ὄνομα Πατρὸς καὶ Ἰησοῦ καὶ
 Ἁγίου πνεύματος'. Παρεῦθ' ὁ
 ἀφανῆς ἐγεγόνει καὶ καταπλαγ-
 εῖς ὁ μαῖστωρ παρεγένετο πρὸς
 τὸ παλάτιον καὶ ἀντέλεγε τῷ
 βασιλεῖ ἀστηρῶς ὅτι 'σύ, βασι-
 λεῦ, λόγον ἔνα οὐκ ἔχεις· μέχρι
 τῆς ἄρτι ἐβόας ποιεῖν με μίαν
 στοῶν, ἄλλοτε δὲ δύο ἐν τῷ θυ-
 σιαστήριῳ, καὶ ὅταν ἐτελείωσῃ
 τὸ ἔργον, παρέσθῃς μοι λέγων ὅτι
 ἐν τρισὶ καμάραις φώτισον τὸ
 θυσιαστήριον διὰ τὴν τῆς Ἰριά-
 ὁδος πίστιν', 'Ὡς δὲ ἐγνώρισεν ὁ
 βασιλεὺς ὅτι τῆ αὐτῆς ἡμέρᾳ καὶ
 ὥρᾳ ἐκ τοῦ παλατίου αὐτοῦ οὐκ
 ἔξῆλθε, ἀκριβῶς ἐπέγνων ὅτι ἄρ-
 γεθος κυρίου, ἦν ὁ λαλήσας σοι,
 καὶ ὡς εἶπέν σοι, οὕτως καὶ
 ποιήσῃ'.

სო. შეწუხებულ ხუროთმოძღვარს,
 რომელიც აქამდე ააშენებდა სა-
 კურობეველს მეფეს რომ ხან ერ-
 თი აფსიდის გაკეთება არ ეთქვა,
 ხან კი—ორის, და ამის გამო უქმად
 არ გაჩერებულყო, მეოთხე დღის.
 მეხუთე საათზე გამოეცხადა ღვთის-
 ანგელოზი იუსტინიანეს სახით —
 მეფის სამოსელში, წითელი ჩექ-
 მებით, და უთხრა ოსტატს: მსურს,
 რომ გამოიკეთო სამგანათებიანი მკა-
 ქსი სამი სტოით მამის, ძისა და
 სული წმიდის სახელზე. ანგელო-
 ზი მაშინვე გაუჩინარდა, ხოლო
 თავზარდაცემული ოსტატი გამო-
 ცხადდა სასახლეში და მწვავედ
 შეეღავა მეფეს: «შენ, მეფე, შე-
 ნი სიტყვის პატრონი არა ხარ. ეხ-
 ლახან მოითხოვდი საკურობეველ-
 ში ერთი სტოას გაკეთებას. ხან
 ორისა და როცა დავამთავრე სა-
 მუშაო, მეცხადები სათქმელად,
 რომ სამი კამარით გავანათო სა-
 კურობეველი სამების რწმენისათ-
 ვის». როგორც კი დაადგინა მე-
 ფემ, რომ იმ დღეს და იმ საათს.
 თავისი პალატიდან არ გასულა,
 დანამდვილებით მიხვდა და უთხრა
 ოსტატს: «ღვთის ანგელოზი იყო.
 შენ რომ გელაპარაკა და როგორც
 გითხრა, ისე გააკეთეთ»³³.

ბერძნული ვერსიის განხილვისას თვალში გვეცემა, რომ არც
 ერთ რედაქციასა და ნუსხაში სიტყვა „სარკმელი“ არა გვხვდება.
 ერთადერთი მინიშნება ტექსტში სარკმლების შესახებ გვაქვს ლე-
 გენდის დასაწყისში, სადაც ნათქვამია, რომ „აპირებდნენ წმიდა სა-

³³ Scriptores, p. 90—91.

კურთხევის დასრულებას და სტოებიდან მინების საშუალებით სინათლის შეყვანას“. ამ კონტექსტიდან ჩანს, რომ საკურთხევის შენება უკვე სარკმლების დონეზე იყო მისული და, ცხადია, დღის სინათლე მასში სარკმლების საშუალებით უნდა შეეყვანათ. მეორე, რაც ასევე თავიდანვე აშკარაა, ის არის, რომ ბერძნულ ვერსიაში ტერმინები „სტოა“, „კამარა“ და „აფსიდა“ სინონიმებად იხმარება. მაშასადამე, ზემოთ მოტანილი წინადადება საკურთხევის განათების შესახებ ლეგენდის ენითვე შეიძლება კიდევ ორგვარად გამოითქვას: 1. „აპირებდნენ წმიდა საკურთხევის დასრულებას და კამარებიდან მინების საშუალებით სინათლის შეყვანას“. 2. „აპირებდნენ წმიდა საკურთხევის დასრულებას და აფსიდებიდან მინების საშუალებით სინათლის შეყვანას“. სხვაგან ტექსტში აღარც მინებია ნახსენები და კამათი მიმდინარეობს აფსიდების (ან კამარებისა და სტოების) რაოდენობის შესახებ. „აფსიდა“ და „კამარა“ რომ სინონიმებია ბიზანტიური ხანის ბერძნულსათვის, ამას სათანადო ლექსიკონები ადასტურებენ³⁴. მაშასადამე, ლეგენდის ტერმინოლოგიური უზუსტობა შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ „სტოას“ გამოყენებას მათ სინონიმებად. დიდ სემანტიკურ განსხვავებას, ვფიქრობთ, არც ეს უნდა იძლეოდეს, რადგან ჰაგია-სოფიას საკურთხევის ჩრდილო და სამხრეთ აფსიდებში სინათლე კოლონადიანი სათავებიდან (სადიაკვნე და სამკვეთლო) შემოდის; თვითონ აფსიდებშიც სარკმლები კი არ არის, არამედ სინათლე სვეტებს შორის გადის, ხოლო სარკმლებიანია მხოლოდ ცენტრალური აფსიდა. მეორე სართული კი, რომელიც პირველის გეგმას იმეორებს, საერთოდ ღიაა აღმოსავლეთისაკენ³⁵.

ასეა თუ ისე, ერთი რამ აშკარაა: ფსევდო-კოდინუსთან კამათია არა ერთი, ორი ან სამი სარკმლით საკურთხევის განათების შესახებ, არამედ ერთი, ორი ან სამაფსიდიანი საკურთხევის აშენების შესახებ³⁶. ასეთ გაგებას ადასტურებს ლეგენდის ლათინური ვერსია, რომელშიც ანგელოზი ზუროთმოძღვარს ეუბნება: „მსურს, რომ გააკეთო ერთი საკურთხეველი სამი ნაწილისაგან და გაანათო სამი აფსიდიდან“. ვფიქრობთ, ლეგენდას საერთო კონტექსტი და სხვა ლეგენდებთან მისი კავშირი ასეთ გაგებას უჭერს მხარს.

³⁴ Sophocles, p. 624.

³⁵ ვეგებისათვის იხ. Texier, Description, p. 28; Кауфман, Из истории..., стр. 202; История Византии, I, гл. 450; Van Nise, Saint Sophia, таб. 1, 2, 11.

³⁶ ასე აქვს გაგებული ლეგენდის შინაარსი შ. დილს. იხ. მისი Юстиниан, стр. 500.

ჰაგია-სოფიას გეგმა თავიდანვე ღვთაებრივი სასწაულით შეიქმნა. მისი მშენებლობა დაიწყო იმ გეგმის მიხედვით, რომელიც ძილში გამოცხადებულმა ანგელოზმა უჩვენა იუსტინიანე კეისარს³⁷. ცხადია, მასში აფსიდების რიცხვიც განსაზღვრული იქნებოდა და სარკმლებისაც. ყოველ შემთხვევაში, საკურთხეველს თავდაპირველი გეგმის მიხედვით უკვე რამდენიმე აფსიდა ჰქონია. შემდეგში კეისარმა დაარღვია ღვთაებრივი ნება და ერთი აფსიდის გაკეთება ბრძანა, თუმცა მალე ინანა, ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ ძილში ნანახ გეგმას არღვევდა, და ორი აფსიდის აგება მოითხოვა. ლეგენდიდან ისიც ჩანს, თუ რატომ უნდოდა იუსტინიანეს, რომ საკურთხეველს ორზე მეტი აფსიდა არა ჰქონოდა: „[საკურთხეველის აფსიდების რიცხვი] ბევრი გამოვა და ბჭე (კანკელი?)³⁸ აღარ დაიდგმებაო“. ხუროთმოძღვარმა შეწყვიტა მშენებლობა. იგი აქამდეც ააშენებდა საკურთხეველს, მეფეს რომ ხან ერთი აფსიდის (კამარის) გაკეთება არ ებრძანებინა და ხან კი ორისაო, — განაგრძობს ლეგენდა. ამავე დროს ჩვენ უკვე ვიცით, რომ საკურთხეველი სარკმლებამდე იყო აგებული, როცა მშენებლობა შეჩერდა. ბრძანების შეცვლის გამო საჭირო ხდებოდა მთელი საკურთხეველის მონგრევა და ხელახლა დაპროექტება და ამან დააბნია ხუროთმოძღვარი, ამიტომ შეჩერდა მშენებლობა. საქმე რომ სარკმლებს ეხებოდეს, ამდენი დავა და ნერვიულობა ზედმეტი იქნებოდა, ვინაიდან მშენებლობა სარკმლის დონემდე იყო მისული და ხელმწიფის კაპრიზის შესრულება არ გაჭირდებოდა. ანგელოზის გამოცხადების შემდეგ ხუროთმოძღვარი კიდევ უფრო დაიბნა და მეფეს მიმართა: „ეხლახან მოითხოვდი საკურთხეველში ერთი სტოას გაკეთებას, ხან ორისა, და როცა დავამთავრე სამუშაო, მეცხადები სათქმელად, რომ სამი კამარით გავანათო საკურთხეველიო“. ამ სიტყვებს („როცა დავამთავრე სამუშაო“) ვერ იტყოდა არქიტექტორი, კამათი რომ სარკმლებს ეხებოდეს, ვინაიდან, ლეგენდის მიხედვითვე, იუსტინიანემ განზრახვა მაშინ შეიცვალა, როცა სარკმლები ჭერ კიდევ არ იყო ამოყვანილი.

³⁷ Scriptoros, p. 83. Д и л ъ, Юстиниан, стр. 500.

³⁸ ბერძნულ ვერსიაში გვაქვს *εὐ χρίσμα*. რომელსაც ქართულ „ბიბლიაში“ შეესატყვისება ბჭე: „ურთავე ელაშისა ბქისა სამეოც წყრთაებრ, და თჳსნი ბქისა მრგულივ გარემოთა ეზოსათა ბქისა ერგასის წყრთაებრ“ (ეზუკ. 40, 14). „კანკელს“ კითხვის ნიშნის ქვეშ იმიტომ ვწერ. რომ სხვა შემთხვევაში ბერძნული ვერსია სწორედ „კანკელს“ წერს და არა *εὐ χρίσμα*-ს. შდრ. გვ. 76: *καρχαλιμισυρβία* (ქართული ვერსიის „კანკლის კარი“).

ამგვარად, ლეგენდის ბერძნული და ლათინური ვერსიები მოგვითხრობენ ჰაგია-სოფიაში სამების სახელობაზე აფსიდების აშენებისა და არა სარკმლების ამოყვანის შესახებ. ჰაგია-სოფიას აღმოსავლეთით მართლაც სამი აფსიდა აქვს და მათ აგებას სამების სიმბოლოდ შეიძლება რეალური საფუძველი ედოს. სარკმელი კი ცენტრალურ აფსიდაში, ზუსტად რომ ვთქვათ, სამი კი არა — თერთმეტია: პირველ და მეორე რეგისტრებში სამ-სამი, ხოლო მესამეში — ხუთი, რომელ მათგანს უნდა მინიჭებოდა სიმბოლური მნიშვნელობა?

თუ ასეა, საიდან გაჩნდა თ. თორამანიანთან ჰაგია-სოფიის სარკმლები და მათი სიმბოლიკა? საქმე ის არის, რომ თ. თორამანიანს ლეგენდები, როგორც ჩანს, სპეციალურად არ შეუსწავლია და მეხსიერებაში ჩაჩენილ ეპიზოდს ყვება. ამიტომ არის, რომ წყაროს არ ასახელებს; ამიტომვეა, რომ მასთან ანგელოზი სიზმარში ეცხადება თვითონ იუსტინიანე კეისარს და არა არქიტექტორს, ხოლო მეფე საკურთხევლის განათების შესახებ სამღვდელთაგანთან კამათობს და არა ტაძრის მშენებლებთან. თ. თორამანიანმა თავისებური კონტამინაცია მოახდინა ორი სხვადასხვა ეპიზოდისა: როგორც გამოეცხადა ანგელოზი სიზმარში მეფეს ტაძრის გეგმით და როგორც გამოეცხადა ანგელოზი ხუროთმოძღვარს ცხადში სამი აფსიდის (სარკმლის) შეკვეთით. ამასთანავე, იგი უნდა იცნობდეს ლეგენდის სლავურ ვერსიებს³⁹.

სლავური ვერსია რამდენიმე რედაქციით არის შემონახული, რომელთაგან ერთი ვრცელია, ხოლო დანარჩენები — მოკლე.

ვრცელ რედაქციას ფსევდო-კოდინუსისგან თარგმნილად თვლიან, თუმცა ისიც საგრძნობლად სცილდება დღეს ცნობილ ბერძნულ ვერსიას. სლავური ვრცელი რედაქციის ქართული თარგმანი:

„როდესაც მოისურვეს საკურთხევლის კედლები დაემთავრებინათ და ფიქრობდნენ სარკმლებით განათებაზე, ხან ერთი კამარით [უნდოდათ] გაენათებინათ, როგორც სხვა პატიოსან ეკლესიებშია, და ვერ აკეთებდნენ, [რადგან] ხან ორის გაკეთებას ბრძანებდნენ. ერთ დღეს, შაბათს, დღის მეხუთე საათზე გამოეცხადა ღვთის ანგელოზი ხუროთმოძღვარს მეფის სახით და უთხრა: «გააკეთე

³⁹ იხ. В и л и н с к и й, Византийско-славянские..., стр. 79—109. В и л и н с к и й, Сказание, стр. 86.

სამი სარკმელი მამის, ძისა და სული წმიდის სახელზე». ამის თქმა იყო და წავიდა სასახლისკენ. არქიტექტორმა ვერ შეძლო მასთან საუბარი და წავიდა, მიეახლა მეფეს და უთხრა: «შენ, მეფე, შენი სიტყვის პატრონი არა ხარ. ხან ასე [და] ასე ბრძანებ, ხან კი მამის, ძისა და სული წმიდის სახელზე». მეფემ მიუგო: «არ გავსულვარ დღეს სასახლიდანო». ხუროთმოძღვარმა კი უამბო ხელმწიფეს, რომ მეფის სახით ანგელოზი ეჩვენა. და უთხრა მეფემ: «ეგ ჭეშმარიტად ღვთის მოციქული იყო და როგორც გამცნო, ისე გააკეთეო»⁴⁰.

„უწყების“ ქართულ ვერსიას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ დაუქვევებია სათანადო ადგილი ჰაგია-სოფიას აშენების შესახებ მრავალი ლეგენდის ასევე მრავალ გამოკვლევას შორის. იგი შემონახულია ორი ხელნაწერით, რომელთაგან ერთი (XIX ს.) გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაიშვილს⁴¹, ხოლო მეორე (XVI ს-ის I ნახ.) — ჯერაც დაუსტამბავია⁴². ქვემოთ ვაქვეყნებთ შესაბამისი ლეგენდის ტექსტს ორივე ხელნაწერის მიხედვით (A ლიტერით აღნიშნულია უფრო ადრინდელი).

„ენება საკურთხეველის! კონქისა განსრულებამ² და სტოვით კერძო ნათლისა³ შემოსავალი ფართოებით უნდა ბრწყინვალეებისათვის ეკლესიისა⁴, და ბრძანა გელოვნებით⁵, რაათა შეიქმნას კამარა ერთი დიდი, კულად შეინანა და ბრძანებული განაგო, რაათა ორნი იყვნენ ნათლისა შემოსავალნი ორპირად, ანუ-თუ-მე ვერ იტვირთოს სიმძიმე ზედა კერძომ⁶ ეკლესიისა⁷. მაშინ გალატოზნი იტყოდეს რომელნიმე ერთსა კამარასა და რომელნიმე ორსა და მრავლისაგან ზრახვისა დაიხრწეოდა საქმე, და იყუნეს⁸ დიდსა ზრუნვასა შინა⁹. დღესა ოთხშაბათსა, უამსა მეხუთესა გამოუჩნდა ანგელოზი სახითა იუსტინიანე მეფისათა¹⁰ სამეფუფოთა¹¹ წესითა და განგებულთა და საპალატოითა¹² ერთთა, და ეტყოდა გალატოზთა: «მოძღვარ-

⁴⁰ В и л и н с к и й, Сказание, стр. 86; ხელნაწერთა ინსტიტუტი, 5—3345.

⁴¹ Т а к а й ш в и л и, Описание, стр. 585—600.

⁴² ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—691, გვ. 37—65. ხელნაწერის დათარიღებისათვის იხ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, არსენი საფარელი, გვ. 127. ტექსტის საერთო სათაურია უწყებამა და თხრობამა აღშენებისათვის დიდებულთა ტაძრისა ღმრთისა ეკლესიისა. რომელსა სახელედების წმიდამ სოფია, რომელარს სიბრძნე. ესრეთ აღუშენა პირველ და შემდგომად ქალაქსა კონსტანტინეპოელის. ახალსა პრომსა^ა.

ნო¹³, მნებაეს, რაათა იქმნეს სამსარკუმელ¹⁴ სანათელო¹⁵ ეკლესიისა¹⁶ სახელსა ზედა მამისა¹⁷, ძისა და სულისა წმიდისა». და წარვიდა და მიეფარა მათგან.

მაშინ მოძღუარი¹⁸ გალატოზთა წარვიდა პალატად და სარჩელ-უყო ზეფესა გულისწყრომით და ჰრქუა¹⁹: «შენ, მეფეო, ერთი სიტყუა²⁰ არა გაქუს²¹ და არცა ერთსა აზრსა²² ზედა დაადგები. პირველ გვბრძანე²³ ერთი კამარა ნათლისა შემოსავალი წმიდასა საკურთხეველსა²⁴ და კულად შემდგომად²⁵ ორი დაამტკიცე. აწ ოდეს ორი აღუაშენეთ და განვასრულეთ, წარმოგვდეგ²⁶ და გვბრძანე, ვითარმედ გნებაეს, რაათა სარკუმელნი²⁷ აღუაშენეთ ნათლისა შესავალნი²⁸ ზედა წმიდასა საკურთხეველსა²⁹.

მაშინ გამოიძია მეფემან და ცნა, რომელ³⁰ მას ღღესა. პალატით ყოვლად არა განსრულ-იყო და გულისკმაყო³¹, ვითარმედ ქეშმარიტად ღმრთისა ანგელოზი იყო. ჰრქუა³² გალატოზთა მოძღუარსა: «წარვედ და ვითარცა გიბრძანა, ეგრეთ იქმოდით. მე პალატით არა განსრულვარ. ეგე სწავლა³³ ზეგარდმო³⁴ ღმრთისა მიერ არსა».

1 ეკლესიისა A. 2 განსრულება B. 3 ნათლის B. 4 ეკლესიისა B. 5 ხელოვნებით B. 6 კერძო B. 7 ეკლესიისა B. 8 იყენენ B. 9 დიდ ზრუნვაში B. 10 მეფისათა B. 11 სამეფოთა B. 12 საპალატო B. 13 მოძღუარნი B. 14 სამსარკუმელ B. 15 სანათელო B. 16 ეკლესიისა B. 17 მამის B. 18 მოძღუარი B. 19 რქე B. 20 სიტყვა B. 21 გაქეს B. 22 სიტყუასა A. 23 გვიბრძანე B. 24 ეკლესიასა A; ნათლისა... საკურთხეველსა] ნათლისა შესავალნი ზედა წმიდასა საკურთხეველსა B. 25 შემდგომად] —A. 26 წარმოგვიდეგ B. 27 სარკუმელნი B. 28 შესავალნი] —B. 29 ეკლესიასა A. 30 რაათა B. 31 და გულისკმაყო] —B. 32 რქე B. 33 სასწავლითა A. 34 ზეგარდმო B.

როგორც ვხედავთ, სლავურსა და ქართულ ვერსიებში, ბერძნულსა და ლათინურისაგან განსხვავებით, უკვე სარკუმლების რაოდენობაზეა ლაპარაკი, ოღონდ მათში მაინც თავს იჩენს დედნის კვალი, როდესაც ვკითხულობთ, რომ ხან ერთი კამარით განათებაზე ფიქრობდნენ, ხან ორითო. ჩანს, იმ რედაქციის ავტორისათვის, რომელიდანაც ქართული და სლავური ტექსტები მომდინარეობენ, „კამარა“ უკვე „თაღოვან სათავსოს“ კი აღარ აღნიშნავდა, როგორც ეს კლასიკური და ბიზანტიური ხანის ბერძნულში გვაქვს⁴⁰, არამედ

⁴⁰ Дворецкий, I, стр. 870. Sophocles, p. 624.

მარტივად „თაღსაც“ მასთან ერთად, როგორც დასტურდება არაბულ-ში⁴¹, ძველ რუსულსა⁴², და ქართულში⁴³. კამარის სარკმლის თაღად მიჩნევამ შესაძლებლობა მისცა რედაქტორს სამი აფსიდის სიუჟეტი მისთვის უკეთ გასაგებ სარკმლებზე გადაეტანა. გვიანდელ სლავურ მოკლე რედაქციებში კი „კამარის“ ხსენება სრულიად გაქრა და მხოლოდ სამი სარკმლის შესახებ ლეგენდა დარჩა⁴⁴. ასე გადაიზარდა ბიზანტიური ხანის ბერძნულ-ლათინური ლეგენდის შინაარსი აფსიდებიდან სარკმლებში სლავურ და ქართულ რედაქციებში. ასეთი ცვლილება რომ ბუნებრივი ტენდენცია იყო, ჩანს თ. პრეგერის შენიშვნიდანაც: ტექსტოლოგიასთვის გაუგებარი დარჩა ბერძნული ტექსტის სამაფსიდიანი საკურთხეველის აგების შესახებ მსჯელობა და ივარაუდა: ეტყობა „სტოების“, „აფსიდებისა“ და „კამარების“ მაგიერ „სარკმლები“ უნდა ეწეროსო⁴⁵.

ამრიგად, ბერძნულ ლეგენდას ჰაგია-სოფიის საკურთხეველის აგების შესახებ არავითარი კავშირი არა აქვს სარკმლებთან და მათ სიმბოლიკასთან. ლეგენდები ყალიბდებოდნენ გვიან უკვე არსებული ნაგებობიდან ამოსვლით და დიდად იყვნენ დამოკიდებულნი ჩამწერებისა და რედაქტორების ფანტაზიაზე. შეიძლება სწორედ ჩვენთვის საინტერესო ლეგენდის შედარებით გვიანდელობაზე მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ იგი არა ჩანს „უწყების“ თურქულსა⁴⁶ და სპარსულ⁴⁷ ვერსიებში. ვერ ვხვდებით მას ვერც პროკოპი კესარიელთან და ვერც პავლე სილენციარიუსთან და, რაც მთავარია, XII ს-ის მწერალ მიქაელ თესალონიკელთან, რომელმაც დაგვიტოვა ჰაგია-სოფიის აღწერილობა და სიმბოლური ინტერპრეტაცია თავის *Ἐκφρασις*-ში. სამების სიმბოლიკით იგი ხსნის დასავლეთის სტოადან ცენტრალურ ნავში შესასვლელი სამი კარის არსებობას და წერს: *ს ა მ მ ა გ ი შ ე ს ა ს ვ ლ ე ლ ი ა*, „რადგან წმიდა ადგილები მისაწვდომია მათთვის, ვინც ქადაგებს, რომ *ს ა მ ე ბ ა შ ო გ რ თ ი ღ მ ე რ თ ი ა*“⁴⁸.

მაშასადამე, არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვივარაუდოთ,

⁴¹ ალ-ბუსთანი. 31 (XI. მეორე ნაწილი; ლა).

⁴² Спнайский Патерик, 31.

⁴³ ლომონარი, გვ. 19, 151.

⁴⁴ В и л и н с к и й, Сказание, стр. 36, 41.

⁴⁵ Preger, *Scriptores*, p. 90.

⁴⁶ С м и р н о в, Турецкие легенды.

⁴⁷ Та u e r, *Les versions persanes*.

⁴⁸ M a n g o - P a r k e r, *A Twelfth-century...*, p. 241.

რომ ჰაგია-სოფიის აგებიდან რაღაც 50 წლის შემდეგ უკვე არსებობდა იმდენად ფართოდ გავრცელებული ლეგენდები საკუროთხევლის სამი სარკმლის სიმბოლიკას შესახებ, რომ მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთში ეკლესიები ამის მიხედვით შენდებოდა. *a priori* დასაშვებია, რომ აღმოსავლეთის აფსიდის სამ სარკმელში სამების სიმბოლო ეგულისხმათ ყველგან და ყველა დროს, მაგრამ ამას კანონიკური ძალა, როგორც ჩანს, არასოდეს არა ჰქონდა სწორედ იმიტომ, რომ ერთი, სამების სიმბოლიკის თვალსაზრისით, არათუ უპირისპირდება სამს, არამედ გულისხმობს კიდევ მას. ამიტომ არის, რომ საქართველოში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სამების სახელობაზე აგებულ ყველა დროის ეკლესიას საკუროთხეველში აქვს ერთი სარკმელი და არა სამი. ასეთებია: კაწრეთის⁴⁹, ახმეტის⁵⁰, ბაიხოს⁵¹, იყალთოს⁵², გერგეტისა⁵³ და ვანის⁵⁴ სამებები.

2. სამი სარკმელი უბრალოდ სამების სიმბოლო რომ იყოს, როგორც ამას თ. თორამანიანი განმარტავდა, განაგრძობს მსჯელობას ა. ერემიანი, რატომ მიიღეს იგი მხოლოდ დიოფიზიტებმა და უარყვეს მონოფიზიტებმა? ავტორი, როგორც ჩანს, ვერ ამჩნევს, რომ აქსიომად იგი კვლავ იმ დებულებას იღებს, რომელიც ჯერ არ დაუმტკიცებია და რომლის შესახებ მსჯელობა მას ჯერ კიდევ წინა აქვს. რადგან წინასწარ დაუშვა ერთ და სამსარკმლიანი საკუროთხევლების ასეთი განაწილება, ა. ერემიანი ფიქრობს განაწილების მიზეზების „გასარკვევად საჭირო დოგმატურ ღვლარკნილ მსჯელობებში ჩაუღრმავებლადაც“ შეუძლია სამების შესახებ მოძღვრებაში ჩამოაყალიბოს განსხვავება დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის:

„ორბუნებიანები ქრისტეს არსებას კაცებრივად და ღვთაებრივად რომ ჰყოფენ, სამება სამი სხვადასხვა ბუნების ერთიანობად მიაჩნიათ: ღმერთი, ღმერთი და კაცი (ქრისტე თავისი ორი ბუნებით), და სული, რომელიც არც მამის თანასწორია და არც ძისა.

ერთბუნებიანი ეკლესია სამებას სხვაგვარად განმარტავს: ღმერთი-მამა, ღმერთი-ძე (თავისი ერთი ბუნებით)

⁴⁹ ყ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, Архитектура Кахети, стр. 56.

⁵⁰ იქვე, გვ. 73.

⁵¹ იქვე, გვ. 91

⁵² იქვე, გვ. 160.

⁵³ ს ა ნ ი კ ი ძ ე, გერგეტი, გვ. 12, 15, 19—20.

⁵⁴ ყ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, Архитектура Кахети, стр. 455.

და ღმერთი-სული: ე. ი. სამივე წევრს ერთი ბუნება და არსი აქვს, ეს არის ღმერთი“⁵⁵.

ჩამოყალიბებული განსხვავების დოკუმენტურად დასასაბუთებლად ა. ერემიანს მოაქვს ორი ადგილი „ეპისტოლეთა წიგნიდან“, რომელშიც სომხური მონოფიზიტური ეკლესიის თეოლოგიურ-ქრისტიანოლოგიური პოზიციაა გადმოცემული: პირველი ამოღებულია აბრაამ ალბათანელის ენციკლიკიდან, სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებას რომ მოჰყვა, ხოლო მეორე — ხაჩიკ I-ის ეპისტოლედან მელიტენეს მიტროპოლიტისადმი⁵⁶. მკითხველი ამაოდ ელის ასეთსავე დოკუმენტაციას დიოფიზიტური ეკლესიის წიგნდულებში გასარკვევად, თუმცა მისი მოლოდინი გასაგებია: განსხვავება, რომელიც ჩამოაყალიბა სამების საკითხში მონოფიზიტურ და დიოფიზიტურ ეკლესიებს შორის ა. ერემიანმა, მეცნიერებისათვის სრულიად ახალია, და სათანადო დოკუმენტაციის გარეშე ვერ ჩაითვლება დასაბუთებულად.

დავანებოთ თავი ჭერჭერობით დოკუმენტაციას და ვცადოთ ა. ერემიანის წინამძღვრებიდან გამოიყვანოთ მთელი ქრისტიანული ეკლესიისათვის დღემდე სავალდებულო ფორმულა: „სამება არის ერთარსება და სამპიროვანი“⁵⁷. „ბუნება“ და „არსება“ ა. ერემიანისათვის სინონიმებია („სამების სამივე წევრს ერთი ბუნება და ერთი არსება აქვს, ეს არის — ღმერთი“), მაშასადამე, მის მიერ ჩამოყალიბებული სამების დიოფიზიტური განსაზღვრება („ორბუნებიანებს სამება სამი სხვადასხვა ბუნების ერთიანობად მიაჩნდათ“) შეიძლება ასეც გამოეთქვათ: „ორბუნებიანებს სამება სამი სხვადასხვა არსების ერთიანობად მიაჩნდათ“. თუ მართლაც ასე „მიაჩნდათ“, მაშინ დიოფიზიტებს სამების შესახებ დოგმატი ასეთი ფორმულით უნდა ჩამოეყალიბებინათ: „სამება არის სამარსება და სამპიროვანი“. ცხადია, ასეთი ინტერპრეტაციით სამების შესახებ მოძღვრება სამის შესახებ საუბრით შეიცვალა. ამ სამს საერთო აღარაფერი დარჩა. მათ პირი ისედაც სამი ჰქონდათ (მამა, ძე და სული წმიდა), ხოლო ახლა არსებაც სამი გამოუვიდათ. სამება დაიკარგა და ა. ერემიანის დებულება „ორბუნებიანებს სამება სამი სხვადასხვა

⁵⁵ ს ქ ხ ა ნ, VII դარსი... ლე 154.

⁵⁶ იქვე, გვ. 154—155.

⁵⁷ „რამეთუ სამნი არიან, რომელნი წამებენ ცათა შინა: მამაჲ, სიტყუაჲ და სული წმიდაჲ; ესე სამნი ერთ არიან“ (იოანე 5, 7). ამ ფორმულის წინააღმდეგ ვერც ერთი ერეტიკული მოძღვრება ვერ წავიღოდა ამჟამად.

ბუნების ერთიანობად მიაჩნდათო“, გადაულახავი წინააღმდეგობის შემცველი აღმოჩნდა: რაღამ უნდა გააერთიანოს „ბუნებები“, როდესაც სამებაში არსებაც სამია და პირიც.

ვნახოთ ახლა, როგორ ახასიათებს ა. ერემიანი სამების წევრებს დიოფიზიტების თვალსაზრისიდან: თუ მონოფიზიტებისათვის სამების სამივე წევრი ღმერთია, დიოფიზიტებისათვის სრული ღმერთია მხოლოდ მამა. ძე ღვთისა ეჭოსა და იმავე დროს ღმერთიც არის და კაციც, ამიტომ იგი მამაზე ნაკლებია, ხოლო სული წმიდა ხომ ორივეს ჩამორჩება. აქ უკვე დოგმატიკის ისტორიის ელემენტების ცოდნა იყო საჭირო, რომ ეს მძიმე ფაქტობრივი შეცდომები თავიდან აგვეცილებინა.

მამისა და ძის სუბორდინაციის (უთანასწორობის) იდეა წამოაყენა არიოზმა IV ს-ის დასაწყისში, 325 წელს ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ იგი დაგმო და დაამუშავა დოგმატი სამების პირველი ორი წევრის კოორდინაციის (თანასწორობის) შესახებ. შემდეგ ეს საკითხი საკამათოდ აღარ გამხდარა და იგი მიღებული აქვს ქალკედონურ ეკლესიას ამოსავლად. უძველესი დოკუმენტი ქართული ქალკედონური (დიოფიზიტური) ეკლესიის პოზიციის შესახებ მამისა და ძის მიმართებასთან დაკავშირებით დაცულია იმავე „ეპისტოლეთა წიგნი“, საიდანაც სომხური მონოფიზიტური ეკლესიის მრწამსის შესახებ მაგალითები მოიტანა ა. ერემიანმა:

„ქ. ალექსანდრიაში იყო ვინმე, რომელიც შემოსილი იყო მღვდლობის სახელით, განშორებოდა ჭეშმარიტებას და წრფელ სარწმუნოებას, რომლის სახელი იყო არიოზ. ამ უსჯულო და საწყალობელმა მეორე იუდამ მიმართა სამების წმიდისა და განუხრწნელი არსების გინებას: ძე ზე ამბობდა, რომ მოვლინებულნი (ქრისტე — ზ. ა.) მომავლინებლის (მამა-ღმერთის — ზ. ა.) თანასწორი არ არისო. ამისათვის აღუდგა მას ეპისკოპოსთა წმიდა კრება, დაწყევლეს იგი...“⁵⁸.

„გვწამს უფალი ჩვენი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდობილი, სრული ღმერთი და სრული კაცი, მსგავსი მამისა ღვთაებით (არსებით, ანუ თანაარსი მა-

⁵⁸ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 103.

მისა — ზ. ა.), ასევე მსგავსი ჩვენი კაცობით, რადგან ორ ბუნებათაგან იყო შეერთებული, რის გამოც ერთ ქრისტიეს, ერთ ძეს, ერთ უფალს ვაღიარებთ აღურევნელი აზრით⁵⁹.

ამრიგად, დიოფიზიტური ეკლესია ერთ ძე ღმრთისას, ღმერთს, თანაარსს მამისა, აღიარებს და არავითარი სუბორდინაცია მის დოგმატში არ არის, ვინაიდან ბე ლეთისა, მათი აზრით, არის „ერთი უფალი და სრული ღმერთი“. ქრისტოლოგიაში დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს სულ სხვა ჰქონდათ სადავო, რომელიც თეოლოგიაშიც გადაჰქონდათ. მონოფიზიტები უკვირებდნენ დიოფიზიტებს: ქრისტეს ორი ბუნების აღიარებით სამებას კი არა, ოთხებას ქადაგებთო. „დოგმატიკის ღელარქნელ საკითხებში ჩაღრმავებულმა“ მონოფიზიტმა პოლემიკოსებმა კარგად იცოდნენ, რომ დიოფიზიტები სამების დოგმატს ოთხების დოგმატით არა ცვლიდნენ, რომ ეს მხოლოდ ლოგიკურად გამოჰყავდათ თვითონ მოწინააღმდეგის წანამძღვრებში სუსტი ადგილების გამოსაჩენად. ხოლო ვინც ეს არ იცის, მან კი დიოფიზიტურ ეკლესიას სამების სიმბოლოდ საკურთხეველში ოთხი სარკმელი უნდა მოსთხოვოს და არა სამი. მონოფიზიტების ეს ლოგიკური ბრალდება კარგად იცოდა ქალკედონურმა ეკლესიამ და თავს შემდეგნაირად იცავდა: იგი ქრისტეში ანსხვავებდა ორ ბუნებას და ერთ გვამს შეზავებულს. რომელიც მის ღმრთისძეობაში, უფლობაში, ღმერთობაში, სიტყვობაში გამოისახებოდა. ამ ერთი შეზავებული გვამით არის იგი სამების წევრი და ამიტომ მისი ორი ბუნება გავლენას ვეღარ ახდენს სამების წევრების რაოდენობაზე. ანტონ კათალიკოსი ასეთ კომენტარს უკეთებს აღნიშნულ დოგმატს:

„უკეთუ ორნი ბუნებანი და ერთი შეზავებული გვამი ვთქვნეთ ქრისტეს ზედა. შეურევნელად დავიცავთ შესაძრწუნებელსა უმწვერვალესსა შეერთებასა... ხოლო უკეთუ ორნი გვამნი ვთქვნეთ, ორთა ძეთა შემოიყვანებთ და ოთხებასა თაყვანის ვსცემთ, და ოთხებაჲ იყოს სამებაჲ — გვენებოს, თუ არა გვენებოს“⁶⁰.

⁵⁹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 107.

⁶⁰ მზამეტყველება, გვ. 12.

კიდევ უფრო მარტივია სული წმიდის საკითხი. ის, რაც ა. ერემიანმა ქალკედონიტებს მიაწერა, სინამდვილეში არის მაკედონიანთა ერესი, რომელიც დაწყევლა 381 წელს მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ. ეს იყო სამების წევრთა კოორდინაცია-სუბორდინაციის შესახებ კამათის მეორე და უკანასკნელი ეტაპი. ამის შემდეგ დოგმატიკის ისტორიაში იწყება ბრძოლა ქრისტოლოგიის საკითხებზე, სამების დოგმატი საბოლოოდ ჩამოყალიბებულია და მას აღარავინ ეხება. აი, ქართული დიოფიზიტური ეკლესიის პოზიციის შესახებ სათანადო დოკუმენტი „ეპისტოლეთა წიგნიდან“:

„იყო კონსტანტინეპოლს ვინმე, რომელსაც ერქვა მაკედონი. მანაც, ამ საბრალობელმა და უსჯულომ, წმიდა და გამოუძიებელი სამების არსების გინებას მიმართა და გაბედა, რომ სული წმიდა ნაკლულად, მამაზე და ძეზე მცირედ გამოეცხადებინა. როგორც უწინ შეცთუნებული არიოზი დაწყველეს წმიდა მამებმა და გააძვეეს, ასევე აქ ეს დაწყველეს და გააძვეეს წმიდა და მოციქულებრივი ეკლესიიდან და სარწმუნოება ასე გამოგვიცხადეს: «გვწამს სული წმიდა, რომელიც მამისაგან გამოდის და მამასა და ძესთან თაყვანიცემის»⁶¹.

ამრიგად, სამების შესახებ მრწამსი საბოლოოდ განსაზღვრულია ე. წ. ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლოში, ხოლო ეს სიმბოლო აბსოლუტურად ერთია მონოფიზიტებისა და დიოფიზიტებისთვის, ამიტომ რაიმე განსხვავების ძებნა მის სიტყვიერ თუ მატერიალურ გამოსახულებაში ფუჭი დროის დაკარგვაა⁶².

⁶¹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 104.

⁶² ერთი სარკმლის სამების სიმბოლოდ გამოყენება საერთოდ გაუგებარი დარჩებოდა ჰრეკელისათვის. წარმოდგენილია, რომ სამების მატერიალური სიმბოლო ერთიც იყოს და სამიც (გაერთიანებული სამი კი შეიძლება იყოს). ვთქვათ, იკონოგრაფიაში ცნობილი სამების სიმბოლო — სამი ანგელოზი აბრაამის ტაბლასთან ერთი ანგელოზით რომ შევეყალოთ, დარჩება რაიმე სასურველი სიმბოლოსგან? ერთი არც ართმლოგიაშია (რიცხეთა სიმბოლიკაში) სამების სიმბოლო. იგი მამა ღმერთის (სამების ერთ-ერთი წერის) სიმბოლოა: „ზღარ. „გვწამს ერთი ღმერთი...“ სულ სხვა საქმეა ქრისტეს ბუნებების სიმბოლიკასთან რომ გვქონდეს საქმე, მაგრამ მაშინ ერთი და ორი სარკმლის დაპირისპირების შესახებ უნდა გველაპარაკა და არა ერთისა და სამის, თუმცა ეს საკითხიც გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, და ისიც მოითხოვს „დოგმატიკის დელარქნილ საკითხებში ჩაღრმავებას“.

დარჩა მხოლოდ ერთი შესაძლებლობა: იქნებ ძველადაც იყვნენ ისეთი „მოძღვრები“, რომლებიც „დოგმატიკის ღვლარკნილ საკითხებს არ ჩაუღრმავდნენ“ და ერთი სარკმელი მონოფიზიტური მრწამსის სიმბოლოდ მიიჩნიეს, ხოლო სამი — დიოფიზიტურისა და ჰაგია-სოფიის აგების შესახებ ლეგენდებს ისეთივე ინტერპრეტაცია გაუკეთეს, როგორც ა. ერემიანის ნაშრომშია მოცემული? გავიხსენოთ ისევ „უწყების“ სლავური ვერსიის ჩვენ მიერ მოტანილი ადგილის დასაწყისი, სადაც ერთ საყურადღებო გლოსას ვკითხულობთ: საკურთხეველის სარკმლებით განათებაზე რომ ფიქრობდნენ, თავდაპირველად უნდოდათ ერთი კამარით გაენათებინათ „როგორც სხვა პატიოსანი ეკლესიებშიაო“. ჩვენ ვნახეთ, რომ სლავი მთარგმნელი თუ რედაქტორი „კამარაში“ „სარკმელს“ გულისხმობს. მაშასადამე, სლავი დიოფიზიტისათვის ჰაგია-სოფიის საკურთხეველის ერთი სარკმლით ამოყვანა ანალოგიური იქნებოდა „სხვა პატიოსანი ეკლესიებისა“, რომლებშიც, რა თქმა უნდა, იგი დიოფიზიტების ეკლესიებს გულისხმობდა. მაშასადამე, ეს ერთადერთი და უიმედო შესაძლებლობაც კი გამოგვაცალა ტელიდან სწორედ იმ ტექსტმა, რომელიც ამოსავალი გახდა მთელი ამ ფანტასტიური კონსტრუქციებისათვის.

3. მესამე მთავარი არგუმენტი არის ერთ და სამსარკმლიანი საკურთხეველის მქონე ტაძრების განაწილება ქრისტიანულ სამყაროში. ა. ერემიანის მონაცემებით, VI ს-ის პირველ მეოთხედამდე სამსარკმლიანი საკურთხეველები გვხვდება მხოლოდ სირიასა და მცირე აზიაში. მაგრამ აქვე, ამავე ხანებში, დადასტურებულია ერთიდან ხუთ ფანჯრამდე, რაც იმის ნიშანია, რომ აღნიშნულ არეალში სარკმელთა რაოდენობა ჯერ კიდევ არა ყოფილა დოგმატით განსაზღვრული⁶³. დანარჩენ სამყაროში გვხვდება ერთსარკმლიანი საკურთხეველები.

VI ს-ის პირველი მეოთხედის შემდეგ სურათი იცვლება. ეკლესიების უდიდეს ნაწილს სამი სარკმელი უჩნდება. ბერძნულს, იტალიურს, ქართულს (დიოფიზიტობის მიღების შემდეგ). რუსულს,

⁶³ ამ დებულების ავტორი, როგორც ჩანს, ვერ ამჩნევს, რომ ზედმეტი ხდება მთელი მისი წინა მსჯელობა დოგმატიკის საკითხებზე, თუნდაც „ჩაუღრმავებლად“, რადგან სარკმლების რაოდენობა მხოლოდ გარეშე ფაქტორათ (ჰაგია-სოფიის მიბაძვა) განსაზღვრული გამოდის. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა დამტკიცდეს, რომ მის ზიერ ნაჩვენებ სამების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მონოფიზიტებისა და დიოფიზიტებისაგან VI ს-ის პირველი მეოთხედის შემდეგ ჩამოყალიბდა. ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, რომ ასეთი განსხვავება არ არსებობდა და რომ არსებულები 451 წლის ქალკედონის IV მსოფლიო კრებაზე უკვე ნათლად იქნებოდა გამოკვეთილი.

ბალკანეთის ქალკედონურ ეკლესიებს სამი სარკმელი აქვთ საკურთხეველში. „ეს ვითარება მოწმობს, რომ მართლაც V ს-ის (უნდა იყოს VI ს-ის — ზ. ა.) მეორე მეოთხედიდან ბერძნული მრწამსის ეკლესიებისთვის საკურთხეველის განათების ჩვენ მიერ ნავარაუდევეი სახე (სამი სარკმელი — ზ. ა.) კანონად იქცა“⁶⁴.

ამის შემდეგ უკვე აღვილია ავტორისათვის კავკასიის ქრისტიანული ეკლესიისა და არქიტექტურის ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა: ყველა ერთსარკმლიანი ეკლესია სომხეთსა და საქართველოში მონოფიზიტების აშენებულია, ხოლო ყველა სამსარკმლიანი აქვე — დიოფიზიტებისა. ასე შესაძლებელი ხდება როგორც ძეგლების დათარიღება, ისე თვითონ ძეგლების თარიღის მიხედვით აღნიშნულ ქვეყნებში დიოფიზიტობა-მონოფიზიტობის მონაცვლეობის ეტაპების განსაზღვრა.

სომხეთში, ა. ერემიანის მიხედვით, VII ს-ის მანძილზე ქალკედონიტების ბატონობისას აშენებულია ბაგავანი და აგარაკი (ბაგრევანდში). მრენი (შირაკში), სისავეანი (სივნიეთში), თალინი, ართიკი და არუქი (არაგაწოტნში), ხოლო შედარებით გვიან (X ს-დან) — ვოროტანი (სივნიეთში), ვანევეანი (გელაქუნში), კერარუიქი (ვარაყუნნიქში), ახტალა (ძორაფორში), ბგავორი (გუგარეთში), ხუქაბავენიქი (ტაშირში), წულრაშულენი (?გუგარეთში)⁶⁵.

„ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ქართული ძეგლები. იმ ძეგლებს, რომლებიც VII ს-მდე თარიღდებიან, საკურთხეველში აქვთ ერთი სარკმელი. მაგალითად: ბოლნისის სიონი, ბოლნის-ქაფანაქჩი, აკუართა (აკაურთა — ზ. ა.), აკვანება, ზღუდერი და სხვ. 608 წელს ქართულმა ეკლესიამ გაწყვიტა კავშირი სომხურ ეკლესიასთან და მიიღო ქალკედონის კრების გადაწყვეტილებები. დაახლოებით ამ დროს აშენდა მთავარ აფსიდაში სამსარკმლიანი მცხეთის წმ. ჯვრის ეკლესია, რის შემდეგაც აფსიდის დამუშავების მხოლოდ ეს სახე (სამი სარკმელი — ზ. ა.) გახდა მისაღები ქართული ეკლესიისათვის“⁶⁶.

ამრიგად, აქსიომა მღლებულია, საჭიროა მხოლოდ მისი კონკრეტულ გამოკვლევებში გამოყენება. მართლაც, სულ სამი წლის მანძილზე გამოქვეყნდა სამი ნაშრომი, რომლებშიც ეს დებულება უკვე აქსიომის ფუნქციას ასრულებდა და ახალი დასკვნების ჩამოყალიბებას ემსახურებოდა.

⁶⁴ ხ რ ხ მ ა ნ, VII դარსი... ლ 153.

⁶⁵ იქვე, გვ. 155.

⁶⁶ იქვე, გვ. 154.

1968 წელს გამოქვეყნდა ზემოთ ჩვენ მიერ ბევრჯერ ნახსენებო სტატია პ. მურადიანისა „მცხეთის ჯვრის სომხური წარწერის“ შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „არქიტექტურის ისტორიაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთის აფსიდაში სამსარკმლიანი ეკლესიები სომხეთსა და საქართველოში დიოფიზიტურებია, რომლებიც გამოხატავენ სამწმიდა ერთობას. ჯვარს, როგორც ცნობილია, აქვს სამი სარკმელი. მაშასადამე, სტეფანოზ I-ის მმართველობის წლებში ძეგლის მშენებლობა არ იყო მიყვანილი სარკმლებამდე, ვინაიდან ქართული ეკლესია ოფიციალურად დიოფიზიტური გახდა სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ 608/9 წელს“⁶⁷.

ამავე წელს *Հանդես Ամսօրհայ*-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა პ. ტერ-პოლოსიანის რეცენზია გ. ჩუბინაშვილის წიგნზე «Разыскания по армянской архитектуре». რეცენზია ფაქტიურად ეყრდნობა მხოლოდ ა. ერემიანისა და პ. მურადიანის ნაშრომებს და მათ შინაარსს გადმოსცემს. ა. ერემიანის ჩვენ მიერ განხილულ წერილს იგი „სასარგებლო ნაშრომს“ უწოდებს და გაკვირვებას გამოთქვამს, რომ მასში ნაჩვენები ფაქტების (ერთ და სამსარკმლიანი საკურთხევლების განაწილება მონოფიზიტურ და დიოფიზიტურ სამყაროში) მიუხედავად, გ. ჩუბინაშვილი მაინც განსხვავებულ პოზიციაზე დგას და თავისებურად ათარილებს ჯვრის ტიპის (რეცენზიაში „რიფსიმეს ტიპის“) ძეგლებს⁶⁸.

1969 წელს დაბეჭდილ წერილში კი უკვე თვითონ ა. ერემიანმა გამოიყენა თავისივე აქსიომა ატენის სიონის მიმართ და დაასკვნა, რომ ძეგლი აგებულია, როგორც სომეხი ქალკედონიტების საეპისკოპოსო კათედრალი, 608 წლის შემდეგ⁶⁹.

ახლა განვიხილოთ მთელი ეს ზემოთ მოცემული სქემა საკურთხეველში ერთი და სამი სარკმლის მქონე ტაძრების განაწილებისა ქრისტიანულ სამყაროში და, განსაკუთრებით, კავკასიაში. პირველ

⁶⁷ М у р а д я н, Армянская надпись, стр. 70.

⁶⁸ Հանդես Ամսօրհայ, 1968, № 7 — 9, სვ. 357—366. პ. ტერ-პოლოსიანის რეცენზიის შესახებ მსჯელობას არ ექნება მეცნიერებისათვის ღირებულება, ვინაიდან ავტორი მხოლოდ სხვის აზრებს იმეორებს და განხილული საკითხები მისთვის სრულიად უცხო ჩანს. ამის მაგალითია, ა. ერემიანის სტატიაში გაპარული კორექტურული შეცდომის რეცენზიაში გამოვრება. რაც თავდაყირა აყენებს მთელ შემოთავაზებულ დათარილებას ერთ და სამსარკმლიანი ძეგლებისა. საჭმე რომ შემთხვევით უყუარადლებობასთან არა გვაქვს, მოწმობს რომაული V-ის (VI-ის მაგიერ) სომხური 5-ის აღმნიშვნელი ს გრაფემით გადატანა.

⁶⁹ Е р е м я н, К вопросу..., стр. 59, შენ. 44.

ყოველისა, ყურადღებას იქცევს თვითონ ავტორის დამოკიდებულება თავისივე მკაცრად განსაზღვრული სქემისადმი, რომელშიც ყოველი აბზაცის ბოლოს ვხვდებოდით გამოთქმებს „კანონად იქცა“, „მხოლოდ ეს სახე გახდა მისაღები“ და მისთ.

ა. ერემიანი წერს: ქალკედონური აღსარების ქვეყნებში შეიძლება შეგვხვდეს ერთსარკმლიანი საკურთხევლები. ასეთ შემთხვევაში სარკმელი სვეტებით იქნება სამ ნაწილად გაყოფილი. ბერძნული სარწმუნოების ქვეყნებში გვხვდება ერთსარკმლიანი საკურთხევლებიც, სვეტების გარეშე. ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ მოცემული ქვეყანა რაღაც პერიოდში გაემიჯნა ქალკედონიტობას. გარდა ამისა, ქალკედონურ ქვეყნებში შეიძლება ყოფილიყვნენ სხვა სარწმუნოების მიმდევრებიც, რომლებიც არ გაიმეორებდნენ ქალკედონური ტიპის ეკლესიების გეგმას და — პირიქით. ბოლოს და ბოლოს, სამი სარკმლით საკურთხევლის განათებას ეკლესია სხვადასხვა დროს ალბათ სხვადასხვა სიმკაცრით მოითხოვდა და ერთსარკმლიანი ტაძრები ლოიალური დამოკიდებულების პირობებშიც შეიძლება გაჩენილიყო.

ძნელი არ არის მივხვდეთ, რომ მთელი ეს სქოლიო მოსალოდნელი ოპონენტებისთვის არის გაკეთებული. არც იმის მიხვედრაა ძნელი, რომ ნაშრომში ჩამოყალიბებული ზუსტი სქემიდან ამ სქოლიომ სრულიად აღარაფერი დატოვა. ძნელი მხოლოდ იმის წარმოდგენაა, თუ როგორ ახერხებს ავტორი ასეთი უენიშვნის შემდეგ თავისი სქემა გამოიყენოს როგორც აქსიომა ქართული ეკლესიების დასათარიღებლად.

ჩვენ არ ვაპირებთ მსჯელობას მთლიანად ქრისტიანულ სამყაროში ერთ და სამსარკმლიანი ეკლესიების განაწილების შესახებ, ვინაიდან სავსებით ცხადია, რომ ქალკედონურ გარემოში სამსარკმლიანი ეკლესიები გვხვდება როგორც ჰაგია-სოფიამდე, ისე მის შემდეგაც, და პირიქით შეგვიძლია ვთქვათ ერთსარკმლიანების შესახებ. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ რუსეთის მაგალითი. XII—XIII სს-ში კიევში, სმოლენსკში, ოვრუჩში, ჩერნიგოვში, გალიჩში, ნოვგოროდსა და სხვა ქალაქებში შენდება კათედრალური ეკლესიები ერთი, ორი, სამი და ზოგჯერ ექვსი სარკმლით საკურთხეველში. ისტორია კი არ იცნობს რუსეთის ქალაქების რელიგიურ პოზიციაში ცვლილებებს.

სომხეთში ა. ერემიანს შვიდი სამსარკმლიანი ტაძარი აქვს დათვლილი, რიფსიმეს გარდა, რომლებსაც VII ს-ით ათარიღებს და ქალკედონიტების აშენებულად მიიჩნევს, თუმცა ამის დამადასტურებე-

ლი ისტორიული ცნობები არ მოეპოვება. ამათ რიცხვს უმატებს იგი კიდევ სამ ეკლესიას, რომლებსაც აღმოსავლეთის კედელი შერჩენილი არა აქვთ, მაგრამ, მისი ვარაუდით, ქალკედონიტებს აუშენებიათ და საკურთხეველში სამი სარკმელი ექნებოდათ. მაშასადამე, VII ს-ის სომხეთის ცენტრში ყველაზე მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრები ქალკედონური ყოფილა და ასე დარჩენილა მონოფიზიტების ბატონობის ხანაშიც, რადგან რიფსიმეს ტაძრის გარდა, ყველას შერჩენილი აქვს სამივე სარკმელი. სომხურ წყაროებში მსგავსი ვითარების ანარეკლიც კი არ მოგვეპოვება, ხოლო ქართულში შემოგვრჩა პირდაპირ მისი გამომრიცხავი ცნობა. X ს-ის დამდეგს სტეფანე მტბევარი წერდა:

„ესე ოთხმეოც და შუდი კევი (სომხეთისა — ზ. ა.) მოოგრდა (არაბებისგან — ზ. ა.) პირისაგან უფლისა, ძვირისაგან ცოდვათა მათთაჲსა ამისათჳს, რამეთუ არა იპოვა ამათ კევთა შინა საყდარი მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთაჲ, არცა მონასტერი მართლმადიდებელთა მორწმუნეთა მონაზონთაჲ“⁷⁰.

მაგრამ გვაქვს თუ არა სომხეთის ტერიტორიაზე ნამდვილად ისეთი ტაძარი, რომლის შესახებ ყველაფერი ვიცით და რომლის საკურთხეველის სარკმლების რაოდენობა მოგვეცემდა გასაღებს პრობლემისათვის? გვაქვს. ეს არის ვალაშკერტის საეპისკოპოსო კათედრალი სოფ. ჩანგლში, რომლის ქალკედონურობა მრავალი ისტორიული ცნობით და ძეგლის ქართულ-სომხური წარწერებით არასოდეს იწვევდა ეჭვს. მართალია დღეს ეკლესია თურქეთის ტერიტორიაზეა, მაგრამ ჩვენს ხელთაა ძეგლის ფოტოპირები, გეგმა და დაწერილებითი სიტყვიერი აღწერილობა⁷¹. რომლის მიხედვით „ფანჯრები აღმოსავლეთით (საკურთხეველში) და დასავლეთით თითო“⁷². საგულისხმოა, რომ ჩანგლის ეკლესიის ფოტოები, წარწერები და მისი ქალკედონურობის დასაბუთება, სხვებს გარდა, გამოკვეყნებული აქვს პ. მურადიანსაც⁷³, რომელიც მცხეთის ჭკრის მშენებლობის ეტაპებს სარკმლების რაოდენობით განსაზღვრავდა. ცხადია, ამის შემდეგ ლაპარაკი სომხეთში დოგმატიკით საკურთ-

⁷⁰ მარტჯლობაჲ ვობრონისი, გვ. 175.

⁷¹ T i e r y, A propos..., p. 81, pl. XXXVII, XXXVIII.

⁷² თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 81.

⁷³ შ ი რ ა ყ ა ნ, „ღრუანჭვიანი სარკმლის მონაზონის აღმშენებლობის ეტაპები“, ლ. 61 - 82.

ხველის სარკმლების რაოდენობის განსაზღვრისა და მათი გაკრა-
ამოქოლვის შესახებ უსაფუძვლოა.

ქართული ძეგლები ა. ერემიანმა ასე გაანაწილა: 608 წლამდე
საკურთხეველში ერთი სარკმლით, ხოლო 608 წლის შემდეგ —
მხოლოდ სამი სარკმლით. რომ არ დაეკვირვით მკითხველის ყუ-
რადლება, მოვიტან მხოლოდ იმ უმთავრესი ძეგლების სიას, რომ-
ლებიც 608 წლის შემდეგ არიან აშენებული, ა. ერემიანის სქემით
უნდა ჰქონდეთ სამი სარკმელი, მაგრამ სინამდვილეში კი აქვთ ერ-
თი: ძველი შუამთა⁷⁴, წრომი⁷⁵, სამწევრისი⁷⁶, (ყველა VII ს.), სამ-
შვილდე⁷⁷, ოპიზა⁷⁸, წირქოლი⁷⁹, გურჯაანის ყოვლაწმიდა⁸⁰, არმაზი
(IX ს.)⁸¹, ბოქორმა⁸², ტაოსკარი⁸³, ოთხთა ეკლესია⁸⁴, კუმურლო⁸⁵
(X ს.). სამთავრო⁸⁶, ნიკორწმინდა⁸⁷, სვეტიცხოველი (XI ს.)⁸⁸, მა-
ლაღანთ ეკლესია (XII ს.)⁸⁹, საფარა (XIII ს.)⁹⁰, ახალი შუამთა⁹¹
და გრემის მთავარანგელოზი (XVI ს.)⁹². ამ სიაში კახეთის ძეგლე-
ბიდან სულ ორიოდეა მითითებული, იმიტომ რომ კახეთის ეკლესი-
ების აბსოლუტური უმრავლესობა ერთსარკმლიანია და მათ ჩამოთ-
ვლას აზრი არა აქვს.

ამრიგად, საქართველოში ყველა კუთხეში და ყოველ პერიოდ-
ში გვხვდება ერთსარკმლიანი ძეგლები და მათი რიცხვი საგრძნობ-
ლად აღემატება სამსარკმლიანების რიცხვს. ცხადია, ახლა უკვე ვე-
ღარაფერს გვიშველის ის სქოლიოც კი, რომლითაც ა. ერემიანმა
თვითონვე უარყო თავისი გამოკვლევის ტექსტში მიღებული შედე-

⁷⁴ ვ. ბ. ე. რ. ძ. ე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, გვ. 110.

⁷⁵ იქვე, გვ. 112.

⁷⁶ იქვე, გვ. 114.

⁷⁷ იქვე, გვ. 116.

⁷⁸ იქვე, გვ. 127.

⁷⁹ იქვე, გვ. 117.

⁸⁰ იქვე, გვ. 119.

⁸¹ იქვე, გვ. 117.

⁸² იქვე, გვ. 122.

⁸³ იქვე, გვ. 123.

⁸⁴ იქვე, გვ. 125.

⁸⁵ იქვე, გვ. 130.

⁸⁶ იქვე, გვ. 142.

⁸⁷ იქვე, გვ. 144.

⁸⁸ იქვე, გვ. 137.

⁸⁹ იქვე, გვ. 157.

⁹⁰ იქვე, გვ. 161.

⁹¹ იქვე, გვ. 172.

⁹² იქვე, გვ. 173.

გები. ამ სქოლიოს მიხედვით უნდა გვევარაუდა, რომ ჩამოთვლილი ძეგლები აშენებულია საქართველოში მცხოვრები მონოფიზიტების მიერ, ან კიდევ სწორედ მათი აშენების პერიოდში ქართული ეკლესია მონოფიზიტობაზე იყო მოქცეული მაგრამ ერთსარკმლიანების რიცხვში ხომ დასახლებულია სვეტიცხოველი, ახალი შუამთა და გრემის მთავარანგელოზი, რომლების აშენების დრო, სიტუაცია და მომგებლები დეტალურად არის ჩვენთვის ცნობილი!

P. S.

ეს წიგნი უკვე აწყობილი იყო, როდესაც დასავლეთის აფსიდის ჩრდილო პილასტრზე, იატაკიდან დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე, აღმოჩნდა შავი საღებავით შესრულებული სამეწიფიანი წარწერა (იხ. სურ. 23, ტაბ. 18). წარწერათა შრიფტი და ენება ქართუ-

Handwritten Georgian inscription in a medieval script, likely the same as the one mentioned in the text. The text is written in a cursive style with some decorative elements. It appears to be a prayer or a commemorative text, possibly related to the church mentioned in the text.

სურ. 23.

ლი, სომხური და არაბული, ამავე თანამიმდევრობით. წარწერები ერთი ხელით არის შესრულებული. ყოველ შემთხვევაში, სომხური და ქართული აუცილებლად ერთი კაცის ნაწერია.

სომხური წარწერის ტექსტი:

- 1 † *ღაჟა ხა გრემი' ბაიახა ა(სთილი)ი, იქ ღაჟა*
- 2 *კარგა[ქ]ი' გ'ხა [ია]გი[შ]ა ქიხეცე:*
- 1 † *ეს მე დაწერე, მონამ ღმრთისა. ვინც ამა*
- 2 *კითხულობთ, ლოცვას მომიხსენეთ.*

წარწერა შესრულებულია შლაგირით (დახრილი, გაკრული ხელით ნაწერი). წერის ეს ტიპი უფრო გვიან შუასაუკუნეებშია გავრცელებული, მაგრამ მის არსებობას X საუკუნიდან ადასტურებენ. ჩვენი წარწერა დღემდე ცნობილთა შორის, შესაძლოა, უძველესი და ბოლომდე ჩამოყალიბებულიც იყოს. ყურადღებას იქცევს, რომ ტექსტი ოთხ ხაზშია დაწერილი, ყველა ნუსხურ ასოს უკვე თავისი ფორმა აქვს და გრაფემათაგან ზოგიერთი ერთმანეთს ებმის: *სს, ხე, აჟ, ქს, სჟ*. X ს-ზე აღრინჯელი არ უნდა იყოს *სს > ი* (*აჟაჟქჟ > აჟიქჟ*).

სომხური წარწერა ზუსტი თარგმანია ქართულისა და მის ძლიერ გრაფიკულ გავლენას განიცდის. ქართული წარწერა გაკრული ხელით არის დაწერილი. იგი ნუსხურია, მაგრამ მნიშვნელოვნად არის მომრგვალებული, ძლიერი მიდრეკილება ემჩნევა მხედრულისაკენ, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მხედრული, თუმცა ე, მ, ნ, ს, წ, და განსაკუთხებით კი ი ჩვენთვის კარგად არის ცნობილი XI—XIII საუკუნეებში მხედრულად დაწერილი დოკუმენტებიდან. ვვარაუდობთ, რომ საქმე გვაქვს იმ პერიოდთან, როდესაც მხედრული დამწერლობა უკვე საყოველთაოდ გავრცელებულია და მას ძლიერი გავლენა შეუძლია მოახდინოს ნუსხურზე. ატენის სიონის საღებავით შესრულებული წარწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი პერიოდია X საუკუნე.

ქართული წარწერის ტექსტი:

1 † *ღსჟ ბჟ შჟოჟიჟი ბჟჩნძჩ ითსჯ*

2 *ოჩი ჟსჟ ოჩჟოთჟთ ო[ა]ღ[ი]ოჩს ბჟბ[ჟჟ]სჟჩ[ი]თ*

1 † ესე მე დაწერე, მონამან ლ(მრ)თ(ი)სა.

2 ვინ ესე წაიკითხოთ, ლოცვას მომ[იქ]სე[ნეთ].

ჩვენი ტრილინგვა რომ ძეგლის აგების სინქრონული (VII ს.) არ შეიძლება იყოს, ამას გვიდასტურებს არაბული წარწერაც, რომელშიც სპეციალისტების წინასწარი დასკვნით იკითხება შემდეგი: „ეს არის ღმრთის... საყდარი“. არაბული დამწერლობის საქართველოში იმდენად გავრცელება, რომ ქართველი კაცი ეკლესიაში მასზე წარწერას აკეთებდეს VIII ს-ის მეორე ნახევრამდე შეუძლებელია.

ამრიგად, წარწერის სავარაუდო თარიღია X საუკუნე.

АРМЯНСКИЕ НАДПИСИ АТЕНСКОГО СИОНА

Резюме

Фасад и внутренние стены Атенского Сиона почти целиком покрыты лапидарными и фресковыми надписями, а также граффити пилигримов.

Наряду с многочисленными грузинскими надписями, встречаются надписи на греческом, армянском, сирийском и других языках.

Несмотря на то, что история изучения атенских надписей насчитывает более 150 лет, большая их часть все еще не выявлена и не прочитана с достаточной точностью.

Настоящий труд является одним из итогов работы комплексных экспедиций в Атены, ставящих целью заполнить эту брешь. В нем публикуются все, известные на сегодняшний день, армянские надписи и отдельные графемы на Атенском Сионе. Результаты палеографического, исторического и лингвистического анализа рассматриваются в связи с некоторыми аспектами проблемы генезиса и датировки памятников типа Джвари в Грузии.

I

Армянская ктиторская надпись (табл. I) в восточной нише южного фасада Атенского храма, дошедшая до нас с весьма значительными изъянами, усилиями нескольких поколений ученых была расшифрована следующим образом:

1. † ес Ծодосак шинол србој екеле

2. [цв] [ој] [с]

«Я, Тодосак, строитель [этой] святой церкви».

Надпись Тодосака до последнего времени считалась синхронной периоду строительства Атенского храма и датировалась 20—30 гг. VII века. Этот вывод основывался на неточной трактовке палеографических заметок И. А. Орбели, о чем речь пойдет ниже.

В 1965 и 1972 годах были опубликованы исследования Г. В. Абрамишвили, в которых автор убедительно доказал, что ктиторская надпись Атенского храма относится не к первому, а ко второму строительному периоду и должна быть датирована концом X века. Автор настоящего труда полностью разделяет точку зрения Г. В. Абрамишвили, принимая все его аргументы в пользу новой датировки. В книге представлены новые наблюдения и выводы, подкрепляющие эту концепцию.

1. И. А. Орбели подчеркивал схожесть строительной надписи Атенского Спона с такими эпиграфическими памятниками (Нахчеванским, Аламским, Багаванским), которые, по его мнению, могут иметь отношение к VII веку только по своему содержанию, однако палеографически принадлежат лишь к концу VIII или к началу IX веков. Поэтому, датировка Атенской строительной надписи VII веком, исходя из палеографических данных, якобы представленных И. А. Орбели, ошибочна и не может служить основанием для дальнейших обобщений.

2. В армянских эпиграфических памятниках термин шинол (строитель), нередко обозначает не строителя, в буквальном смысле, а реставратора, глагол же шинел, соответственно обозначает не только процесс строительства, но и перестройку, реставрацию. Благодаря такой полисемии, часто встречаются случаи, когда в разновременных надписях одного и того же архитектурного памятника в качестве «строителей» упоминаются разные лица, имеющие отношение к разным периодам строительства и восстановительных работ (Ср. например, строительные надписи церкви

«Лусаворич» села Норадуз, надписи Кармир-ванка в Карабахе и др.). Поэтому и в атенской строительной надписи шинол — вполне могло обозначать не архитектора храма, а его реставратора, откуда следует вывод, что и надпись на основании только одного из значений слова шинол, нельзя считать синхронной первоначальному периоду строительства храма.

3. Изучение надписи на месте показало, что в восстановление ее второй, поврежденной, строчки следует внести корректив (ср. рис. 1, 2):

1. † ес Тодосак шинол србој екеље
2. [ц] [о] [с]

Слово екељеци (церковь) относится к такому типу склонения на -о где конечное -и форме дат. ген. в соседстве с тематическим показателем -о- переходит (в грабаре) в биллабальный сонант в (им. екељеци, род. екељецој). Этот последний часто редуцируется, в результате чего получаем как раз ту форму, которая восстанавливается нами в надписи Тодосака: род. екељецој. Нередуцированная, полная форма этого слова не могла бы поместиться на отведенном для него месте. Этот фонетический процесс по данным строго датированных армянских письменных памятников относится к концу X века.

4. Над каждой графемой армянской строительной надписи округлым унциальным письмом вырезана грузинская транслитерация (табл. 1):

1. ес тодосак шинол срсси скехе
2. [цоис]

Транслитерация синхронна надписи и используется каллиграфом для того, чтобы заранее наметить распределение графем на стене. Особого внимания заслуживает тот факт, что древнеармянские графемы -j- и -ĵ- передаются соответственно грузинскими графемами -и- и -h-. Факт подобной транслитерации может послужить основанием для датиров-

ки рассматриваемой надписи. Передача сонанта $-l-$ заднефарингальным $-h-$ показывает, что заднеязычная артикуляция этой фонемы ($[l] > [ɣ]$) уже свершившийся факт и строгая надпись с подобной транслитерацией не может быть датирована периодом более ранним, чем конец IX века.

5. Сравнение графемы $\overset{\epsilon}{\Gamma}$ из ктиторской надписи Атенского Сиона с аналогичной графемой, высеченной на постаменте Михетского Джвари (рис. 3), показывает, что они существенно отличаются друг от друга и не «выявляют полную графическую, стилистическую, даже размерную идентичность». Поэтому только по этим признакам доказать идентичность выполнивших эти графемы резчиков, невозможно.

II

Рельефы Атенского Сиона, которые содержат рассмотренные армянские надписи и отдельные графемы, стилистически резко отличаются от других рельефов (ср. оленя у родника, сцены охоты и др.). Они составляют единую хронологическую и иконографическую группу, с идентичными стилистическими признаками. На некоторых рельефах этой группы округлым унциальным письмом (еркатагир) высечены антропонимы Годоса, Са[мсон], Ам[бакум], Григор Дапс (рис. 4, 5, 6, 7, 8; таб. 2, 3, 4), а на других в той же графической манере выведены отдельные графемы: АА, ББ, ГГ, ДД, З (рис. 9, 10, 11, 12, 13; табл. 5, 6, 7, 8, 9). Годоса и, по-видимому, Григор Дапс являются реставраторами храма, а Самсон и Амбакум — персонажами из изображенных на рельефах библейских сцен. Ошибочно высказанное в специальной литературе соображение, что высеченные на этих рельефах парные графемы, являются инициалами выполнивших их армян-мастеров. Можно считать уже доказанным другое положение: функцией этих графем было маркирование каменных плит, из которых составлялись рельефы, с целью подгона их друг к дру-

гу, чем и объясняется как дублирование графем, так и их выбор строго по алфавиту.

На рельефе Тодоса высечен автограф руководителя строительных (реставрационных) работ (рис. 4). Графически он значительно отличается от т. н. «строительной» надписи, а его инициал еще более резко расходится с графемой $\overset{\epsilon}{\Gamma}$ с постамента Мцхетского Джвари (рис. 3), что является дополнительным аргументом против идентификации по указанному признаку строителей Мцхетского Джвари и Атенского Сиона.

Надписи и графемы этой группы рельефов характеризуются следующими палеографическими особенностями: графема А — написана как с внутренней линией, так и без нее. Графема $\overset{\epsilon}{\Gamma}$ с несколько вытянутым вверх выступом и довольно ощутимо опущенной книзу закругленной частью. В надписи Г р и г о р Д а п с — чувствуется склонность к угловатому письму. Выступ графемы Г не продолжает непосредственно округлой головки, аналогично надписям более поздних эпох. Очертание графемы З резко отличается от образцов IX века и более ранних и точно совпадает с образцами X века.

По всем перечисленным признакам рельефы Атенского Сиона с армянскими надписями можно датировать X веком.

III

Впервые публикуется надпись, помещенная на центральном выступе западного фасада: «[Это] я, Гергиум, сын Эрпаса. Кто это прочтет, [да помянет] скульптора божьего. Когда царь Абхазский Баграт поссорился с царицей Картли... занял Уплисхихе...» (Рис. 14, табл. 10).

Надпись представляет интерес как с точки зрения графики (строчное письмо с примесью унциального) и орфографии (р<>ṛ в<>ṽ, о<>у и др.), так и с точки зрения морфологии (дат. тикини<>тикнодж и др.). По всем этим признакам она не может быть датирована ранее чем X веком. Для уточнения даты имеются и другие данные: в надписи

упоминаются исторические лица (Баграт III, его мать царица Гуарандухт) и реальные исторические события (занятие Уплисцихе Багратам III), что позволяет датировать надпись 982—986 гг.

Структура и расположение надписи Гергнума, сына Эрхасана, дает основание предположить, что портретное изображение ее автора сохранилось в орнаменте карниза окна, расположенного в центральном выступе западной апсиды, иконография которого идентична иконографии рельефов с армянскими надписями (таб. 11). Участие хотя бы одного армянского скульптора в украшении рельефами Атенского Сиона в 80-ые годы X века определяет одной и той же датой период создания всех рельефов с армянскими надписями, стилистическое и хронологическое единство которых не вызывает никакого сомнения. Поскольку среди них есть и рельеф с автографом архитектора Тодосака, упомянутого в армянской строительной надписи, высказанное в специальной литературе предположение о том, что в конце X века в Атенском Сионе армянскими мастерами были проведены значительные реставрационные работы, можно считать документально доказанным.

IV

В интерьере, на восточной стене южной апсиды высечены имена армянских мастеров — предположительно помощников Тодосака: Аһарон и Гиорг (рис. 16, таб. 12). Высказанное в специальной литературе мнение якобы Аһарон строил южную стену Сиона, а Гиорг — восточную и западную, основывается на ошибочных посылках. По-видимому, этим мастерам был поручен ремонт поврежденных мест облицовки интерьера. Несмотря на то, что обе надписи выполнены округлым унциальным письмом, в надписи «Гиорг» ощущается склонность к угловатому письму, что не дает возможности датировать ее ранее чем IX—X вв. На подобную нижнюю границу указывает и фонетический облик данного антропонима: Гэорг > Гиорг впервые зафиксирован в надписи 967 года.

На облицовочных каменных плитах интерьера встречаются графемы: а, г, з, о, в (рис. 17_{1,2,3,4} таб. 13). Некоторые из них повторяются несколько раз. Среди этих графем // можно интерпретировать и как армянское о, и как грузинское ġ, так как на этих же стенах наряду с армянскими высечены так же и грузинские графемы. Армянские графемы могли быть использованы в качестве маркеров облицовочных плит интерьера. С палеографической точки зрения существенно, что все графемы угловатые и могут быть интерпретированы и как унциальные и как строчные. Исключение составляет голько графема а, которая вырезана округлым унциальным письмом, и графема з, выполненная несомненно строчным письмом. Нижней границей для такого типа может быть X век, а верхней для всех графем — вторая половина XI века, так как некоторые из них частично покрыты штукатуркой стенной росписи, выполненной в XI веке.

VI

1. В юго-восточной камере имеются два граффити, которые, по-видимому, выцарапаны одним и тем же лицом: 1. «Я, Тодорос, раб божий» (рис. 18, таб. 14). 2. «Я, Тодорос, раб божий, кто это прочтет, да упомянет меня в молитвах». (Рис. 19, таб. 15).

Первый граффити выполнен смешанным округлым и угловатым письмом, а второй — целиком угловатым унциальным. В надписи встречаются интересные орфографические и фонетические особенности: лишняя —j, тс > тц, ав > о (Ѡ ѡ). Вместе взятые все эти признаки датируют граффити X веком.

2. На триумфальной арке северной апсиды строчным письмом выцарапан граффити: «Боже, всесвятый, взываю к тебе за Соломона, грешного душой, написал недостойный Закариа. рчкб [1162—1713/14] (рис. 20, таб. 16). В орфографии этой надписи привлекает внимание частота употребления лишней j, написание начальной графемы предложения унциальным письмом, в > в. Графемы: г, и, р, н, ѣ, ѡ напоминают канцелярский почерк XVII—XVIII вв.

3. На северном портале выцарапано: «Я, Аветис Абага, написал, раб Святого Сиона, кто прочтет, Боже, смилуйся... Боже, смилуйся над нами...» (рис. 21). Графитти не датирован, но наличие графемы ϕ позволяет датировать его периодом позднее XII (скорее XIV) века. Очертание графем $t, b, p, aj > \varepsilon, ea > ia$, и тот факт, что надпись выполнена на обломанном камне, позволяет датировать ее поздним средневековьем.

4. Публикуется фото и прорись графитти позднего средневековья, сохранившегося на восточном фасаде юго-восточной стены, полностью расшифровать который пока не удалось (рис. 22, таб. 17).



Во второй части книги критически рассмотрены следующие, исключаящие друг друга, положения, высказанные об Атенском Сионе в армянской специальной литературе:

1. Атенский Сион воздвигнут в VII веке армянским архитектором построившим так же и Мцхетский Джвари. Атенский храм служил кафедралом для армянской халкедонитской паствы.

2. Атенский Сион построен во второй половине VIII века или первой половине IX века армянским архитектором, который пристроил так же угловые помещения к Мцхетскому Джвари, строительство которого было завершено в 40-ые годы VII века армянским архитектором и мастерами.

По данным настоящего исследования, армянские надписи Атенского Сиона с точки зрения их палеографических, языковых и исторических особенностей делятся на две группы: а. относящиеся к X веку и б. относящиеся к XVII—XVIII вв. Большинство надписей первой группы касаются реставрационных работ. Надписи второй группы — исключительно графитти пилигримов. Проведенный анализ и фактологический материал, представленный в настоящей работе, не дает основания согласиться ни с одним из вышеприведенных положений.

Сравнительно-хронологический анализ всех надписей Атенского Сиона, выполненных на разных языках, показывает, что древнейшими являются фресковые грузинские надписи, покрытые стеной росписью XI века. На сегодняшний день еще не все из этой большой группы надписей полностью выявлены и расшифрованы, однако древнейшая из них — надпись мампала Степаноца — датируется 739 годом.

Таково фактическое положение вещей, что снимает большинство аргументов, которые приводились в доказательство вышеприведенных гипотез.

В этой же части книги подробно рассматривается высказанное в той-же специальной литературе соображение о том, что количество окон, прорезанных в восточной апсиде Атенского Сиона якобы predetermined христианской догматикой: в диофизитской церкви догмат о Святой троице якобы должен быть отражен посредством трех окон, а в монофизитской — одним окном. Некоторые исследователи предполагают, что эта традиция исходит из архитектурного замысла храма Святой Софии в Константинополе. Приверженцы этой гипотезы пытаются представить по этому признаку ареальное и хронологическое распределение церквей с одним или тремя окнами в христианском (в особенности в кавказском) мире.

В книге подробно изучены все, дошедшие до нас, версии легенды о строительстве алтаря Святой Софии и сделан вывод, что в древнейшей редакции речь шла не о постройке алтаря с тремя окнами, а о возведении трехапсидного алтаря, поэтому, по данным легенды о строительстве храма Святой Софии, символическую функцию могут нести апсиды, но никак не окна. Основываясь на документальном материале, автор далее доказывает, что с точки зрения интерпретации Святой троицы между диофизитами и монофизитами не могло быть различия, которое символизировалось бы числами один и три.

Особенно характерна в этом отношении грузинская архитектура. Значительная часть грузинских церквей с однооконным алтарем относится как раз к тому периоду, когда в Грузии нет и следа монофизитов. С этой точки зрения ха-

рактен Мцхетский Светицховели, халкедонитский кафедральный собор, построенный в первой половине XI века, с одним окном в восточной апсиде. Отсюда следует вывод: неправомерно датировать Мцхетский Джвари и Атенский Сион по количеству окон в алтаре. Невозможно также определить по этому признаку и религиозное кредо (диофизитское или монофизитское) лиц, по инициативе которых были воздвигнуты оба этих храма.

Z. N. ALEKSIDZE

ARMENIAN INSCRIPTIONS OF THE
ATENI SIONI

Summary

The facade and inner walls of the Ateni Sioni church are almost entirely covered with lapidary and mural inscriptions as well as with graffiti left by pilgrims.

Apart from numerous Georgian inscriptions there also occur inscriptions in Greek, Armenian, Syriac and other languages.

Although the study of the Ateni inscriptions has a history of 150-old years most of them have hitherto not been brought to light and read with adequate precision.

